საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№15 (202)
24 - 30 აპრილი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

მიხეილ სააკაშვილის მესამე მსოფლიო ომი 4

რატომ ეჩხუბა ივანიშვილი დავითაშვილს? 9

10 ყარსიდან გეორგიევსკამდე
დაიდება თუ არა ახალი ტრაქტატი?

«ვანოს გზა» და ახალი ეროვნული ბლეფი 11

უსამადან ტამერლანამდე, ანუ, ღმერთო, რატომ არ დაიფარე ამერიკა?! 18

მუჰამედი — ყველაზე გავრცელე-ბული სახელი ევროპაში 22



„მომავალი პრეზიდენტი, რა უფლებებითაც არ უნდა იქნეს ის წარმოდგენილი, აუცილებლად მისაღები უნდა იყოს როგორც აფხაზებისთვის, ისე ოსებისთვის და, რა თქმა უნდა, რუსეთისთვისაც. სხვანაირად ამ უკიდურესად გართულებული ურთიერთობების დარეგულირება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება."

გია ხუხაშვილი: 7

## ირაკლი ალასანია არც ფიქრობს პრეზიდენტობაზე და არც განიხილავს საკუთარ თავს კანდიდატად

2



## თქვენ ხომ არ გძმარავთ, მოქალაქე უსუფაშვილო?!

12



## დადეთ კომპრომატები, ბატონო ირაკლი...

თბილისი. 2013 წლის 19 აპრილი.
„ნაცმოძრაობის" აქცია.
გიორგი (ანჟელა) მაზმანიანი და
მიხეილ სააკაშვილი.
„საქართველოს ევროპული არჩევანი"



8

## ახალი «ერევნული» მოძრაობა...

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ უსუფაშვილს მართლაც ჰგონია, რომ ქართველი ამომრჩეველი 1 ოქტომბერს ნომერ 41-ს იმ იმედით ხაზავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადაერჩინა, ის ან თავს იტყუებს, ან მართლაც რაღაც „გასაოცარი დემოკრატიის“ ხიბლშია ჩავარდნილი! „ნაცმოძის“ გადარჩენა რომ გვდომებოდა, ხუთიანს შემოვხაზავდით და დარჩებოდნენ კიდეც ყოველგვარი თამაშისა და კეკლუცობის გარეშე!**

# თქვენ ხომ არ გძმარავთ, მოქალაქე უსუფაშვილო?!

**გამოთქმამ „გაგებით მოეკიდეთ“ ბოლოდროინდელ საქართველოში უკვე ანეკდოტური ელფერი შეიძინა. ხალხი იცინის და თანაც სიმწრით, მაგრამ გაგებით ეკიდება იმას, რომ ჩამორთმეული კერძო საკუთრებიდან მხოლოდ „ქართუ ბანკი“ დაუბრუნდა პატრონს, ხოლო დანარჩენები ეგრეთ წოდებული კეთილსინდისიერი მყიდველის პირისპირ აღმოჩნდნენ.**



**«ნაციონალური მოძრაობის», როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის, გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა»**

კეთილსინდისიერია, აბა, რა არის ის მყიდველი, რომელმაც ერთ თვეში დავით კეზერაშვილის ოთხჯერ გადაყიდული აქტივები შეიძინა!

**გაგებით ვეკიდებით** იმასაც, რომ, ბაჩო ახალაიას გარდა, ყველა გუშინდელი მაღალჩინოსანი „სვაბოდაზეა“, ხოლო აწ უკვე ოპოზიციის მანტიამოსხმული „ნაცმოძრაობის“ თითქმის ყველა საშუალო და დაბალჩინოსანი კვლავაც ინარჩუნებს სამუშაო ადგილს საბიუჯეტო სფეროში!

**გაგებით ვეკიდებით** იმასაც, რომ სააკაშვილმა თავისი მომხრეები გუბერნატორებად გაამწესა, ხოლო კარის მეხოტბეები თბილისის მერიის სამსახურებში დაასაქმა!

**გაგებით ვეკიდებით**, მაგრამ უკვე სულ უფრო ვკარგავთ „გაგებას“, რადგან ეს ყველაფერი „მეოცნებე“ პარლამენტის თავმჯდომარემ არ გვაკმარა და რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა:

**„მე ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, განსაკუთრებით აქეთ ყოფნისას, ევროპაში, ამერიკაში, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის, გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა“.**

აქ, ალბათ, დავით უსუფაშვილი მიხვდა, რომ საკუთარი ამომრჩევლის გაგებას წიხლი კისერში მიაჭირა და განმარტა:

**„რაც არ უნდა გამიბრაზდნენ ახლა ქართველი მსმენელები, რომლებიც თვლიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადასარჩენი კი არა, გასასამართლებელი და ასაკრძალია, მე ამას კიდევ ვიმეორებ და ყველას ვურჩევ, რომ კარგად დავუკვირდეთ, რაზეა აქ საუბარი. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც კოლექტიური დამნაშავე პოლიტიკური ძალა, ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებში და ასე შემდეგ — თუ ჩვენ ასე შორს წავედით, მაშინ ჯობია, დავიწყოთ ჯერ კომუნისტური პარტიით, მერე მივაყოლოთ მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ნაციონალური მოძრაობა, და ყველა ერთად ავკრძალოთ, გავაუქმოთ და ა. შ.“**

ამის შემდეგ უსუფაშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა და დაამატა:

**„რადგან ჩვენ ეს არ გვიქნია კომუნისტური პარტიის მიმართ, არც „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ იქნება ეს სწორი. ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალური პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს. ეს დადგება. თუმცა ამ განსაცდელს რამდენად გაუძლებს თავად „ნაციონალური მოძრაობა“ და ამ შიდა გაუგებრობებს და შეჯახებებს არ გადაყვება, ეს უკვე ჩემი საქმე არ და ვერ არის. მე ვისურვებ, რომ მისი შედარებით ჯანსაღი ნაწილი, ასე ვთქვათ, უვნებელი გამოვიდეს ამ პროცესიდან და ჩვენ მათ ისევ პოლიტიკურ ბრძოლაში დავამარცხებთ“.**

დავით უსუფაშვილის ამ გამონათქვამებმა ისედაც ზამბარასავით დაჭიმული საზოგადოება კიდევ უფრო ამოაგდო „გაგების“ რეჟიმიდან. როგორი მოსასმენია ეს იმ ამომრჩევლისთვის, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში ხელკეტებით სცემდნენ, გაზით წამლავდნენ, იჭერდნენ, ქონებას ართმევდნენ და სამსახურებიდან ყრიდნენ? ციხეში გაუპატიურებლებსა და მოკლულებზე „გაგებით“ გავჩუმდეთ? გაგება კარგია, მაგრამ იქნებ ახალმა მთავრობამაც გაგვიგოს, ან ეცადოს მაინც ამის გაკეთებას!

თუ უსუფაშვილს მართლაც ჰგონია, რომ ქართველი ამომრჩეველი 1 ოქტომბერს ნომერ 41-ს იმ იმედით ხაზავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადაერჩინა, ის ან თავს იტყუებს, ან მართლაც რაღაც „გასაოცარი დემოკრატიის“ ხიბლშია ჩავარდნილი! „ნაცმოძის“ გადარჩენა რომ გვდომებოდა, ხუთიანს შემოვხაზავდით და დარჩებოდნენ კიდეც ყოველგვარი თამაშისა და კეკლუცობის გარეშე!

ვინ მოგცათ უფლება, ჩვენი ბედით ითამაშოთ და ჩვენ მაგივრად აპატიოთ ყველაფერი ჯალათებს? ვინ დაგავალათ მათი გადარჩენა, ღიად და გულახდილად თქვით! ვინც ეს დაგავალათ, მათ თქვენთვის ხმა არ მოუცია! პირიქით, გაიძულეს, უპროტესტოდ გეღიარებინათ „ნაციონალების“ მიერ მიწერილი 40 პროცენტი!

**ბატონო უსუფაშვილო, როდესაც ამბობთ, რომ თქვენი სურვილია, „ნაციონალური მოძრაობის“ „შედარებით ჯანსაღი ნაწილი, ასე ვთქვათ, უვნებელი გამოვიდეს ამ პროცესიდან“, ჩვენ გვკითხეთ, გვინდა მათი უვნებლად დარჩენა?**

თქვენ აცხადებთ: „ჩვენ მათ ისევ პოლიტიკურ ბრძოლაში დავამარცხებთ“. უჩვენოდ როგორ დაამარცხებთ მათ? თუ ჩვენი ხმები კიდევ სამწელიწად-ნახევარი არ გჭირდებათ და ახლა თქვენც „ნაციონალებივით“ საკუთარ ჭკუაზე ჭრით და კერავთ?

მოკლე მეხსიერება საერთოდ პოლიტიკოსების მონაგონია. ისინი ადვილად ივიწყებენ საკუთარ წარსულს და ფიქრობენ, რომ ხალხსაც ავიწყდება ყველაფერი. გვახსოვს, ძალიან კარგად გვახსოვს 2003 წელიც და მიშას ატორღიალებული პოლიტიკური გვამები, რომელთა კარგა გვარიანი ნაწილი ახლა ივანიშვილს აეტორღიალა!

უსუფაშვილსაც უთუოდ ახსოვს და უნებლიეთ ეს სწორედ რადიო „თავისუფლებასთან“ ვრცელ ინტერვიუში წამოსცდა. კითხვაზე „დაპირებებს ყველა პოლიტიკური ძალა კარგს იძლევა ხოლმე, „ნაციონალური მოძრაობაც“ ხომ არაჩვეულებრივი დაპირებებით მოვიდა ხელისუფლებაში?“ მისი მყისიერი პასუხი ასე დაიწყო: „დიახ, ესეც ცნობილი ამბავია — ადამიანები ხშირად იმეორებენ იმას, რასაც პირიქით აკეთებენ“.

პირიქით აკეთებთ ახლა თქვენ ყველაფერს, ბატონო დავით, და რაღაც ძალიან ხშირად იმეორებთ იმას, რასაც პირიქით აკეთებთ! ამ ფრაზის გაგრძელება პოლიტიკურად გამართული, მაგრამ ისტორიულად მცდარია: „მე არ ვიყავი არასოდეს დარწმუნებული, რომ მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა გულწრფელი და სწორი პრეზიდენტი. 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში“ რესპუბლიკურ პარტიასაც ჰქონდა გარკვეული წვლილი. პირადად მე წინა ხაზზე არ ვყოფილვარ, მაგრამ სადაც ვიყავი, ცხადია, ვგულშემატკივრობდი ამ ამბებს. მაგრამ პოლიტიკურად არასოდეს დამისახავს ამოცანა, რომ სააკაშვილი გამხდარიყო პრეზიდენტი და ქვეყნის ლიდერი. იმიტომ, რომ მას ამის უნარი არ ჰქონდა“.

**პირადად დავით უსუფაშვილის ამოცანა იყო თუ არა სააკაშვილის გაპრეზიდენტება, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მისივე პარტიის თავმჯდომარე — ლევან ბერძენიშვილი მაშინ სააკაშვილთან ერთად იყო „ნაციონალური მოძრაობის“ თანათავმჯდომარე და რესპუბლიკელებს თავი არ დაუზოგავთ იმისთვის, რომ სწორედ მიხეილ სააკაშვილი წამოჯდომოდა ქვეყანას თავზე!**

„გარკვეული წვლილი“ კი რესპუბლიკელებს, შევარდნაძის გარდა, ზვიად გამსახურდიას დამხობაშიც მიუძღვით და არც ეს დაგვვიწყებია, ბატონო დავით! ლიდერებისგან „დროულად გამიჯვნის“ უნარი რესპუბლიკელებს ყოველთვის გამოარჩევდა და ამის კიდევ ერთი დასტური უსუფაშვილის იმავე ინტერვიუს შემდეგი ფრაგმენტია:

**რადიო „თავისუფლება“** — შეუძლია თუ არა დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობას, უარი უთხრას ან არ გაითვალისწინოს ივანიშვილის შეხედულებები და რჩევები, თუკი საჭიროდ ჩათვლის?

**დავით უსუფაშვილი:** — რამდენიც გნებავთ, იმდენი ყოფილა ასეთი შემთხვევა და კიდევ იქნება. რაც შეეხება საკუთრივ ამ ურთიერთობებს, ჩვენ ვართ მთავრობა და პარლამენტი, თუმცა, ამას გარდა, ერთ პოლიტიკურ ძალასაც წარმოვადგენთ. ეს უკვე ძალიან დელიკატური თემებია — როდისაა ეს ერთიანი პოლიტიკური ძალა და როდისაა ინსტიტუტები გაყოფილი და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ. ამ პრაქტიკასა და ტრადიციას ვამკვიდრებთ, რაც სწორია. პოლიტიკური გუნდის ერთიანობა იმას ნიშნავს, რომ, თუ არის პრობლემური საკითხი, აუცილებელია პოლიტიკური კონსულტაციების გამართვა მანამ, სანამ რომელიმე მხარე მიიღებს გადაწყვეტილებას. ამ კონსულტაციების შემდეგ მხარეებს უნდა ჰქონდეთ და აქვთ თავისუფლება, ის გადაწყვეტილება მიიღონ, რომელსაც სწორად მიიჩნევენ.

ამ ექვსი თვის განმავლობაში შემიძლია გავიხსენო ათამდე შემთხვევა, შესაძლოა, მეტიც, როცა დავინახეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვან კანონპროექტებზე აზრთა სხვადასხვაობა იყო მთავრობის წევრებსა და პარლამენტს შორის, პრემიერსა და პარლამენტს შორის ან პარლამენტს შიგნით სხვადასხვა ადამიანს შორის. ამ დროს მარტივი რამ ხდება — ჩერდება საკითხი, იმართება კონსულტაცია და ვიღებთ გადაწყვეტილებებს. თქვენ მიერ მოხმობილი მაგალითი სარეიტინგო კენჭისყრასთან დაკავშირებით — დიახ, იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენ სწორედ პოლიტიკური კონსულტაციების შედეგადაც გვქონდა გარკვეული გზა“.

ერთი სიტყვით, **როცა ჩავთვლით საჭიროდ, მაშინ გავემიჯნებით ივანიშვილსო, აი, ეს გზავნილია დაშიფრული უსუფაშვილის პასუხში!** მოკლე მეხსიერების მქონე პოლიტიკოსებს შეგახსენებთ: ქართველ ხალხს ხმა თქვენთვის არ მოუცია, ივანიშვილს მისცა! არც 2003-ში მოუციათ რესპუბლიკელებისთვის ხმა, მიშას მისცეს!

**ბატონო დავით! როგორი ჯანსაღიც არ უნდა გეჩვენებოდეთ თქვენ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთი ნაწილი, ხალხს ამის არ სჯერა, რადგან ჯანსაღი ადამიანი ვერ გაძლებდა იმ პარტიაში, რომელიც საკუთარ ხალხს ყოველდღიურად დასცინოდა და მშიერის ლუკმას ხან გასახდომ პროცედურებში, ხან კბენაკვნესით ჩატარებულ მასაჟებში და ხანაც საკუთარი ხარჭების დასაჩუქრებაში ფლანგავდა!**

ჯანსაღი ადამიანი ვერ გაძლებდა იმ წრეში, რომელიც დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ძეგლების გადამალვასა და მათ ადგილზე კვერცხების, „შლოპანცების“, გაჭეჭყილი ბოთლებისა და ველოსიპედების ძეგლების დადგმას საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეობის მწვერვალად მიიჩნევდა და მიიჩნევს დღესაც!

**ჯანსაღი ადამიანი ვერც იმაზე დახუჭავდა თვალს**, რომ ასზე მეტი ახალგაზრდა ქუჩებში დახვრიტა ნაქებმა და „რეფორმირებულმა“ პოლიციამ! სამაგიეროდ, თქვენი, რესპუბლიკელების, „სამჭედლოდ“ ცნობილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დღეს ისე უტევს ღარიბაშვილს, თითქოს საიას მძღოლს ტყვია ესროლა პოლიციელმა და არა სიგარეტი!

იურისტები ვახსენე და ერთიც მაინტერესებს: იურისტებით სავსე რესპუბლიკელები სულ არ შეგაშფოთათ მიხეილ სააკაშვილის განცხადებამ, რომ საჩუქრები და ბიუჯეტიდან გაწეული უხვი ხარჯები ინვესტიციების მოსაზიდად სჭირდებოდა? განა ეს ქრთამის მიცემის აღიარება არ იყო? რატომ არავინ იმჩნევთ პრეზიდენტის აღიარებით ჩვენებებს? განა ეს იმპიჩმენტის საფუძველი არ არის?

თუმცა ვიდრე „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტი (სააკაშვილმა 19 აპრილის მიტინგზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მხოლოდ ერთი პარტიის პრეზიდენტია და არა მთელი ქვეყნის!) ამ აღიარებით ჩვენებებს გამოაქვეყნებდა, მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა მოგმართათ სააკაშვილის იმპიჩმენტის მოთხოვნით, მაგრამ ახალმა უმრავლესობამ ყურიც არ გაიბერტყა. ბიძინა ივანიშვილმა კი განმარტა, იმპიჩმენტზე რომ დავიწყე ლაპარაკი, ჩვენს დასავლელ მეგობრებს ძალიან ცუდი რეაქცია ჰქონდათო!

ჩვენს რეაქციებზე არ გიფიქრიათ, პატივცემულებო?

თქვენ ხომ არ გძმარავთ?

**თამარ დავითულიანი**

**თუ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, რასაც სულ უფრო აქტიურად ითხოვენ პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები იმ საბაბით, რომ „ნაციონალებმა“ არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობა პარლამენტში არადემოკრატიული მეთოდების გამოყენებით მოიპოვეს, „ნაცმოძრაობა“, დიდი ალბათობით, გაცილებით ნაკლებ ხმებს მიიღებს და შეიძლება ფრაქციის შექმნაც კი გაუჭირდეს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ველოსიპედის დღე და ეშმაკის ადვოკატი

**საცოდაობა — სავარაუდოდ, სწორედ ესაა „ნაციონალური მოძრაობის“ 19 აპრილის აქციის ყველაზე მოკლე და ზუსტი დახასიათება, რაც ეჭვქვეშ არც ერთ სერიოზულ კომენტატორს არ დაუყენებია. მაგრამ ვიდრე ხსენებული თავყრილობის პოლიტიკურ შემადგენელზე ვისაუბრებთ, ალბათ, ორიოდე სიტყვა 19 აპრილის უცნაურ ისტორიულ დატვირთვაზეც უნდა ვთქვათ.**



**დოქტორ ჰოფმანს უდავოდ მოეწონებოდა ეს სტოპ-კადრი — მარტოსული ველოსიპედისტი და ვარდისფერი კენგურუ, უცხო, უცნაური რეალობა, რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს**

საქმე ისაა, რომ „ნაციონალები“ რუსთაველზე ე. წ. ველოსიპედის დღის 70-ე წლისთავზე შეიკრიბნენ. ველოსპორტთან ამ თარიღს საერთო არაფერი აქვს; 1943 წლის 19 აპრილს შვეიცარიელმა ქიმიკოსმა ალბერტ ჰოფმანმა, რომელმაც აღმოაჩინა დ-ლიზერგინული მჟავის დიეთილამიდი, მარტივად რომ ვთქვათ, LSD, პირველად კაცობრიობის ისტორიაში მიიღო ეს ფსიქოაქტიური, ჰალუცინაციების გამომწვევი საშუალება და ველოსიპედით იმოგზაურა. მოგვიანებით ჰოფმანი წერდა, რომ ნაცნობ ქუჩებს სალვადორ დალის სურათებად აღიქვამდა, ხოლო მოგზაურობა ძალიან ნელი იყო (სინამდვილეში სწრაფად მოძრაობდა). ის ხედავდა უცნაურ ფერად ობიექტებს, სახლში მისულს მოეჩვენა, რომ მას ავეჯი ემუქრება, რომ დემონებმა შეიპყრეს და ა. შ. LSD-კულტურის ისტორიაში ამ თარიღს დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, ფრანგული რევოლუციის მატიანეში; **19 აპრილი კაიფისა და ჰალუცინაციების საერთაშორისო დღეა.**

საინტერესოა, რომ „ნაციონალების“ აქციამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა ინციდენტი, რომელმაც ეს ორი, ერთმანეთს 70 წლით დაცილებული მოვლენა კიდევ უფრო დააახლოვა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი თურქეთში ველოსიპედით სატვირთო მანქანას დაეჯახა, თავად ფიგურანტი კი ირწმუნება, რომ ორმოში ჩავარდა. ვინ იცის, იქნებ გზა ყველაზე ცნობად ქართველ ველოსიპედისტს ვარდისფერმა კენგურუმ გადაუღობა, რომელიც საუკეთესო LSD-ტრადიციებში ნელი ნახტომებით მიემართებოდა ანტალიიდან ჰალუცინოგენურ უსასრულობაში?! დოქტორ ჰოფმანს უდავოდ მოეწონებოდა ეს სტოპ-კადრი — მარტოსული ველოსიპედისტი და ვარდისფერი კენგურუ, უცხო, უცნაური რეალობა, რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგალითად, დაგიდგინდეს მხრის სამმაგი მოტეხილობა (სააკაშვილის ადმინისტრაცია ირწმუნებოდა, რომ საცდელი ფრენა ველოსიპედით სწორედ ამ შედეგით დაგვირგვინდა), ხოლო ორიოდე დღეში ამ მძიმე დაზიანების არაფერი დაგეტყოს.

მაშ ასე, 19 აპრილი — „ველოსიპედის დღე“, ჰალუცინაციების ფესტივალი. რა გასაკვირია, რომ დავით ბაქრაძეს მოეჩვენა, რომ ათიათასობით მხარდამჭერის გარემოცვაში იმყოფება, ხოლო თვალებდახუჭულმა მიხეილ სააკაშვილმა, როგორც LSD-ექსტაზში შესულმა როკმუსიკოსმა, სცენიდან აუდიტორიის შუაგულში ჩახტომა სცადა. მართალია, სიმძიმის ცენტრმა ულალატა, ფიზიკის ულმობელმა კანონებმა უმუხთლა და, რომ არა დაცვის დახმარება, ეს აღმაფრენა მორიგი მოტეხილობით დასრულდებოდა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამ პროზაულ დეტალებს, მთავარი ხომ თვითნასწავლი (და თვითგამოცხადებული) იკაროსის სურვილია, თუნდაც წამით ცოდვილ დედამიწას მოსწყდეს. პირადად ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება გიორგი ვაშაძის გამოსვლამ მოახდინა, რამეთუ ის ძლიერ მოაგონებდა ჩებურაშკას, რომელიც ცდილობდა, ჩე გევარა განესახიერებინა. მოკლედ, „ველოსიპედის დღემ“ შექმნა საკმარისზე მეტი საბაბი იმისთვის, რომ დავფიქრდეთ იმაზე, შეეხება თუ არა მხოლოდ წარსულს გიგა ბოკერიას ერთობ არასტანდარტული ფრაზა (იმავე დღეს თქვა, „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში): **„ჩვენს გუნდში სხვადასხვა ეტაპზე ყოფილან ადამიანები, რომლებიც შემდგომ ბოდვასა და აბსურდში შევიდნენ“.**

საზოგადოების დიდი უმრავლესობისთვის ის, რაც 19 აპრილს პარლამენტის შენობასთან ისმოდა, არა მხოლოდ და არა იმდენად განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრება იყო, რამდენადაც რაღაც სრულიად გაუგებარი, პარალელური რეალობის, უცხო დისკურსის ნაწილი, რაც რამდენადმე დამაკმაყოფილებელ კომუნიკაციას და, შესაბამისად, ყოფილი მმართველი პარტიის ინტეგრაციას ახალ პოლიტიკურ რეალობაში პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. „ოცნების“ (და ზოგადად „ძველი ოპოზიციის“) მხარდამჭერთა დიდ ნაწილს დისკუსია „ნაციონალებთან“ ისეთივე უაზრობად მიაჩნია, როგორც დიალოგი LSD-ს ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანთან; იდენტური დამოკიდებულება ოპონენტების მიმართ „ნაციონალების“ ფრიად შეთხელებულ რიგებშიც დომინირებს. ძალზე საეჭვოა, რომ ამ ორი პარალელური რეალობისგან ერთიანი დემოკრატიული სივრცის კონსტრუირება მოხერხდეს (ბრალდებები მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით გვერდზე რომც გადავდოთ) და ამისთვის, სავარაუდოდ, სხვა გზების გამონახვა მოგვიწევს.

**ის ფაქტი, რომ პარტიას ორთვიანი მომზადების, უდიდესი პროპაგანდისტული და ფინანსური ძალისხმევის კვალობაზე ქუჩაში 15 ათასი მხარდამჭერიც კი ვერ გამოყავს, საუბარს მასზე, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალაზე, უადგილოს ხდის. მეორე ეშელონის ნებისმიერი პარტია, თავმოყვარე არასამთავრობო ორგანიზაცია ან პროფკავშირი, ძალიან დიდი ალბათობით, უფრო შთამბეჭდავ შედეგს მიაღწევდა „ნაციონალების“ (მართალაც რომ წყალში გადაყრილი) რესურსების თუნდაც მეხუთედი რომ გამოეყენებინა.** ტოტალური მობილიზაცია სანათესაოში, პარტიულ აქტივსა და გამგეობებში — და რა?! ისე, საინტერესო კია, რამდენი მხარდამჭერის გამოყვანას შეძლებენ (500? 1500?) მას შემდეგ, რაც სააკაშვილი, უგულავა და გუბერნატორები თანამდებობებს დატოვებენ, თუმცა ეს, პრინციპში, „ნაცმოძრაობის“ პრობლემაა, რომელიც საზოგადოებისთვის აქტუალური აღარ არის. ხოლო იმ ფსიქოლოგიური ეფექტის აღწერა, რომელიც ამ აქციამ მოახდინა, სავარაუდოდ, შეიძლება შემდეგ ჩარჩოში მოვაქციოთ: **რევანში აბსოლუტურად გამორიცხულია, „ნაციონალებს“ არც ამის შნო აქვთ და არც შესაბამისი რესურსი.**

თუ ჩვენ ყურადღებით გავაანალიზებთ ნაცლიდერების გამოსვლებს, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ **მათ უარი თქვეს სწრაფი რევანშის რიტორიკაზე, რომელიც ასე თუ ისე აქტუალური იყო მანამ, სანამ სააკაშვილს მთავრობის ერთპიროვნული დათხოვნა-დანიშვნის უფლებას წაართმევდნენ.** ისინი თითქოს სთხოვდნენ ახალ ხელისუფლებას: „ნება მოგვეცით, მოვირგოთ ის როლი, რომელსაც ჩვენთვის ქრისტიან-დემოკრატები ასრულებდნენო“. ეს გასაგებიცაა, იმ შემთხვევაში, **თუ ჩატარდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რასაც სულ უფრო აქტიურად ითხოვენ პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები იმ საბაბით, რომ „ნაციონალებმა“ არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობა პარლამენტში არადემოკრატიული მეთოდების გამოყენებით მოიპოვეს, „ნაცმოძრაობა“, დიდი ალბათობით, გაცილებით ნაკლებ ხმებს მიიღებს და შეიძლება ფრაქციის შექმნაც კი გაუჭირდეს.** თუმცა აქ მთავარია არა მანდატების რაოდენობა, არამედ ის, რომ ამ არჩევნების შემდეგ, ყოფილი მმართველი პარტია გარანტირებულად დაემშვიდობება „მეორე ძალის“, „ხელისუფლების ერთადერთი ოპონენტის“ სტატუსს და, შესაბამისად, დაკარგავს ხელშეუხებლობის (დაუწერელი, მაგრამ რეალურად არსებული) გარანტიების ნაწილს მისი ლიდერებისთვის. გამორიცხული არაა, რომ **19 აპრილის მოკრძალებული თავყრილობის მთავარი გზავნილი შემდეგი გახლდათ: „ჩვენ ივანიშვილისთვის კომფორტული ოპოზიცია ვიქნებით“.** შესაძლოა, ეს სუბიექტური შთაბეჭდილებაა, თუმცა ზოგიერთი სხვა კომენტატორიც მიიჩნევს, რომ ეს ქვეტექსტი ნაცლიდერების გამოსვლებში ნამდვილად იყო.

ასეთი ხანგრძლივი საუბარი უმაღლესი ლიგიდან გამოვარდნილ პარტიაზე მიზანშეწონილი, ალბათ, არ იქნებოდა, რომ არა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, საზოგადოებისთვის აქტუალური თემა და მოსაზრება, რომელიც 17 აპრილს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში გაახმიანა: **„ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, განსაკუთრებით აქეთ ყოფნისას, ევროპაში, ამერიკაში, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის, გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა. რაც არ უნდა გამიბრაზდნენ ახლა ქართველი მსმენელები, რომლებიც თვლიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადასარჩენი კი არა, გასასამართლებელი და ასაკრძალია, მე ამას კიდევ ვიმეორებ და ყველას ვურჩევ, რომ კარგად დავუკვირდეთ, რაზეა აქ საუბარი. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც კოლექტიური დამნაშავე პოლიტიკური ძალა, ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებში და ასე შემდეგ — თუ ჩვენ ასე შორს წავედით, მაშინ ჯობია, დავიწყოთ ჯერ კომუნისტური პარტიით, მერე მივაყოლოთ „მრგვალი მაგიდა“, „მოქალაქეთა კავშირი“, „აღორძინება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა ერთად ავკრძალოთ, გავაუქმოთ და ა.შ. რადგან ჩვენ ეს არ გვიქნია კომუნისტური პარტიის მიმართ, არც „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ იქნება ეს სწორი. ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალური პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს. ეს დადგება. თუმცა ამ განსაცდელს რამდენად გაუძლებს თავად „ნაციონალური მოძრაობა“ და ამ შიდა გაუგებრობებს და შეჯახებებს არ გადაყვება, ეს უკვე ჩემი საქმე არ და ვერ არის“.**

(არც ისე) ძნელი სათქმელია, მოეწონება თუ არა ამომრჩევლებს უსუფაშვილის იდეები „ქართული დემოკრატიის ამოცანაზე“, თუმცა აქ სულ სხვა რამ არის მთავარი: ერთის მხრივ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის (გამონაკლისის გარეშე!) პრინციპი, რომელზეც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, დგას ევროპა; მეორე მხრივ კი, ძალიან ფართოდ გავრცელებული, ძველად რომ იტყოდნენ, გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაული იყო ორგანიზაციის ყოველდღიური პრაქტიკა, ცხოვრების წესი. სხვათა შორის, მათ მიჯნაზე ჩამოყალიბდა ნიურნბერგის ტრიბუნალის ისტორიული ფორმულირება — გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, მას არც ერთი ორგანიზაცია, ყველაზე ოდიოზურის ჩათვლით, დანაშაულებრივად არ გამოუცხადებია; განაჩენი მხოლოდ „პირთა ჯგუფებს“ შეეხო. ციტატა: **„ტრიბუნალი, წესდების თანახმად, აღიარებს დანაშაულებრივად ჯგუფს, რომელიც შედგება გესტაპოს და „სდ“-ს იმ წევრებისგან, რომლებიც იკავებდნენ წინარე პარაგრაფში ჩამოთვლილ თანამდებობებს, გაწევრიანდნენ ორგანიზაციის რიგებში ან რჩებოდნენ მასში, მაშინ, როდესაც იცოდნენ, რომ ის გამოიყენება იმ ქმედების ჩადენისთვის, რომელიც გამოცხადებულია დანაშაულებრივად წესდების მე-6 მუხლის შესაბამისად, ან, როგორც ორგანიზაციის წევრები, პირადად მონაწილეობდნენ მსგავსი დანაშაულის ჩადენაში“.** ყურადღება მივაქციოთ ფორმულირებას „იცოდნენ... ან პირადად მონაწილეობდნენ“.

საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი და გაუგებარია, რა პრინციპს უნდა დავეყრდნოთ „ნაცმოძრაობასთან“ მიმართებაში, ამიტომ დავით უსუფაშვილი და მისი თანამოაზრეები, ალბათ, უნდა გამობრძანდნენ, გამართონ დისკუსია ოპონენტებთან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „ნაცმოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციად უნდა გამოცხადდეს და აუდიტორია საკუთარი მოსაზრების სისწორეში დაარწმუნონ. ამის გარეშე ვერ მოხდება თუნდაც ფარდობითი კონსენსუსის მიღწევა იმასთან დაკავშირებით, უნდა აღიქვას თუ არა საზოგადოებამ „ნაცმოძრაობა“, როგორც სრულფასოვანი, ლეგიტიმური პარტია; ამის გარეშე კი პოლიტიკური პროცესის ნორმალიზაცია ვერ მოხდება. ამიტომ კარგი იქნება, თუ დავით უსუფაშვილი არ შეუშინდება იმას, რომ „ეშმაკის ადვოკატად“ გამოაცხადებენ და „ნაცმოძრაობის“ შეურიგებელ მოწინააღმდეგეებთან დებატებს გამართავს, რომელთაც, ალბათ, გაცილებით დიდი ინტერესით დავაკვირდებით, ვიდრე „ველოსიპედისტის დღის“ 70-ე წლისთავის აღნიშვნას — ფატალური რღვევის სტადიაში მყოფი ჯგუფის მიერ.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკაშვილის მონათხრობს თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ იმ დროს, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი აწარმოებდა ოფიციალურად დადასტურებულ კონსულტაციებს თურქეთის ხელისუფლებასთან ხომალდების გატარებაზე, ...ამერიკელი ადმირალი აპირებდა, ფეხებზე დაეკიდებინა კონვენცია და მოეხდინა გარღვევა შავ ზღვაში პირველი მსოფლიო ომის სტილში?!**

# მიხეილ სააკაშვილის მესამე მსოფლიო ომი

**აგვისტოს ომთან დაკავშირებით დაკითხვის მოლოდინში მიხეილ სააკაშვილი საინტერესო მოგონებებს გვიზიარებს. მართალია, „ნაციონალური მოძრაობის“ ბელადის აუდიტორია ძალიან შეთხელებულია და მის განცხადებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ, მაგრამ ყურადღების გამახვილება იმაზე, რაც მან ამას წინათ „რუსთავი 2“-ის ეთერში თქვა, ნამდვილად ღირს. სააკაშვილი 2008 წლის ომის ერთ-ერთ ყველაზე ბუნდოვან ეპიზოდებს შეეხო და, თითქოს შემთხვევით, საკმაოდ სკანდალური ინფორმაცია გააჟღერა. რა მიზნის მიღწევას ცდილობდა სააკაშვილი ამ ტელემემუარების გავრცელებით და რა გავლენას მოახდენს ისინი მის მომავალზე?**



## რად გადააქცია წყალი დიკ ჩეინიმ?

რამდენიმე ციტატა მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან (სტილი დაცულია, ამ შემთხვევაში ეს აუცილებელია) ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოზიციაში“: „2008 წელს, აბა, რამ გადაგვარჩინა, სხვასთან ერთად? ის მეექვსე ფლოტი ამერიკის არ იყო? მართლა წყლის ჩამოსატანად ხომ არ ჩამოსულა, ხო?“. „მითხრა, სხვათა შორის, ჩეინიმ, კიდევ ერთხელ ეხლა ვნახე, იქ ამერიკაში, და დამიდასტურა, რომ ჩვენ ვაპირებდით, ვიხილავდით სერიოზულად როკის გვირაბის დაბომბვას. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს გადაწყვეტილება არ მიიღეს“. „ამერიკის ხელმძღვანელობის შიგნით და ეს იყო რონ ასმუსის წიგნიც, რომელიც ინსაიდერია, იმიტომ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა, ის წერს, რომ ის იხილავდა იქ (?). და ჩეინის რომ ვკითხე, როგორც ვიხსენებო, ალბათ, ასეაო და მე ვუთხარი, თუ შეიძლება, მაშინ კარგად გაიხსენეთ კიდევ და კარგი იქნება, რომ მემუარებში ან სადმე საჯაროდ ახსენოთ“. „როცა ჯორჯ ბუში დაბრუნდა იქიდან, პეკინიდან... დამირეკა თვითონ, მანამდე ორჯერ ველაპარაკე, მაგრამ ეს არის ის პერიოდი, გზიდან, თვითმფრინავიდან დამირეკა, თუ არ ვცდები და მერე უკვე... მაგრამ ყოველთვის ისე მირეკავდა — მაგრად დადექი, მიშა, ყოჩაღ, მიდით, უფრო სწორად, გამხნევდით, არ ჩამყაროთ ხელები, მარა ისე, მორალური ზოგადი მხარდაჭერა, არაფერი კონკრეტული“. „ბუში მირეკავს და მეუბნება: აბა, როგორა ხარ, მიშა? მთლად კარგად, ალბათ, ვერაო, — პირველად მეუბნება თვითონ... მე ვუთხარი, მე როგორ ვარ, ძვირფასო პრეზიდენტო, ამას არანაირი მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. მე შეიძლება ხვალ აღარ ვიყო, მაგრამ თქვენ არ უნდა იყოთ კარგად, მე ასე მგონია, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა მამათქვენის პრეზიდენტობის დროს, თქვენი პრეზიდენტობის დროს დღეს თბილისში დაძრული ჯარი თუ შემოვიდა, საბჭოთა კავშირი ისევ აღდგება. და როგორ ჩაიწერებით ისტორიაში, ამაზე რატომ არ ფიქრობთ? რაზეც მითხრა, მოიცა, მოიცა, დამაცადე ახლა, აი ახლა, ნახავ, მე ახლა მივდივარ, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში გვაქვს თათბირი, ლენგლიში, იქ ბუნკერში სადღაც, იქ იყო გეითსი, კონდი, გამოვიდა და ამის პარალელურად დაძრეს მეექვსე ფლოტი. თურქებმა უთხრეს, რომლებიც, პრინციპში, თანამშრომლობდნენ ჩვენთან, მაგრამ უთხრეს, რომ ისე ჩქარა ვერ გავატარებთ, იმიტომ, რომ ეს საერთაშორისო კონვენციებია ბოსფორში გატარება. მეექვსე ფლოტის უფროსმა, რომელსაც მე შევხვდი შემდეგ, არაერთხელ მითხრა, რომ ჩვენ ვუთხარით რომ, რომც დოკუმენტები არ გვქონდეს, მაინც გავივლით. თითოეულ ამ სარაკეტო იმას, ჰქონდა საკმარისი რაკეტები რომ ყველა რუსული თვითმფრინავი ჩამოეყარა და უფრენი ზონა შეექმნა საქართველოს თავზე. და მითხრა მე ჩეინიმ, რომელიც ჩამოვიდა მერე, შენ ხომ იცი, რომ ამ იმაზე სასმელი წყალი არ ყოფილა და მართლა არ ყოფილა. ყველაზე, ერთერთი ყველაზე თანამედროვე კრეისერი გამოაგზავნეს, პირველი სარაკეტო კრეისერი რომელიც არის, რომელიც ერთი აჯობებდა მართლა, ყოველ შემთხვევაში, საჰაერო ძალებს და ფლოტს რუსეთის ნამდვილად. მერე რუმინეთში საჰაერო ბაზაზე გადმოფრინდა, თუ არ ვცდები, 26 „ფ-16“, ეგრევე, თურქეთის ბაზა მოიყვანეს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, უზარმაზარი ბაზა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპაში, ასე რომ... თურქეთის დიდი შენაერთებიც ამ ნატოს საერთო მზადყოფნის პონტში (??) იყვნენ მოყვანილნი მზადყოფნაში, რუსებისადმი სიგნალი იყო ასევე. ასე რომ, რუსებს ძალიან ნათლად უთხრეს, რომ მე ვფიქრობ, მაინც დაგვიანებით, ეხლა უკვე გავლებულია აქ წითელი ხაზი“ (ციტატის დასასრული).

**საკაშვილი, გამორიცხული არაა, რომ თავისი «მემუარებით» ამერიკელ პარტნიორებს მიანიშნებს — «მიშველეთ, თორემ თქვენს როლზე აგვისტოს ომში სკანდალურ ინფორმაციას გავავრცელებო»**

ზოგადად, მიხეილ სააკაშვილის ნებისმიერ გამოსვლაში ძალიან რთულია ერთმანეთისგან ფაქტების, ვარაუდებისა და ფანტაზიის ნაყოფის გამიჯვნა, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებლად უნდა ვცადოთ, რადგან **ფიგურანტი მიუახლოვდა (უპირველესად, მისთვის) სახიფათო ზღვარს და ამერიკელების როლი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში ერთობ ორაზროვნად წარმოაჩინა.** ამ ნიადაგზე შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ მას ძალიან შეეშინდა პროკურატურის მიერ დაანონსებული დაკითხვის ან შესაძლო გასამართლების და გამორიცხული არაა, რომ თავისი „მემუარებით“ ამერიკელ პარტნიორებს მიანიშნებს — „მიშველეთ, თორემ თქვენ როლზე აგვისტოს ომში სკანდალურ ინფორმაციას გავავრცელებო“ (მიუხედავად იმისა, სიმართლეს იტყვის თუ იცრუებს, 2008-ში მისი სტატუსიდან გამომდინარე, რეზონანსი და სკანდალი საკმაოდ დიდი იქნება). თუ ეს მართლა ასეა, ეს, ალბათ, ძალიან სულელური ჩანაფიქრი და საკუთარი თავისთვის განაჩენის გამოტანაა. ძია სემი, უბრალოდ, არ დაუშვებს, რომ მას ასე აშანტაჟებდნენ (თან ვინ?!). **ჩვენ არ გვაქვს საკმარისი ფაქტები იმისთვის, რომ ერთმნიშვნელოვნად ვამტკიცოთ, რომ სააკაშვილმა ამ შემთხვევაში შანტაჟის ტაქტიკა აირჩია, მაგრამ ზოგიერთმა მონაკვეთმა მისი გამოსვლიდან შეიძლება სწორედ ამ ვერსიის განვითარებისკენ გვიბიძგოს.**

სააკაშვილი უკავშირებს ამერიკული ძალების გადაადგილებას არა ჰუმანიტარულ, არამედ სამხედრო-პოლიტიკურ აქციას და ვითარებას აღწერს ისე, თითქოს საქმე ეხებოდეს კუნთების თამაშს კარიბის კრიზისის სტილში, რაც ვაშინგტონის ოფიციალურ პოზიციას არსებითად ეწინააღმდეგება. აშშ უძლიერესი ზესახელმწიფოა და, როგორც წესი, არ ერიდება იმის დაფიქსირებას, რომ ძალის დემონსტრირება მოახდინა ან მოკავშირეს სამხედრო დახმარება აღმოუჩინა, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოფიციალური ვერსიით, მან მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება მოგვაწოდა. სააკაშვილის განცხადება ამ პოზიციასთან წინააღმდეგობაში შედის, რაც ამერიკელებმა შეიძლება პირველ საგანგაშო სიგნალად ჩათვალონ.

**„მართლა წყლის ჩამოსატანად ხომ არ ჩამოსულა, ხო?“, „მითხრა მე ჩეინიმ, რომელიც ჩამოვიდა მერე, შენ ხომ იცი, რომ ამ იმაზე სასმელი წყალი არ ყოფილა“** — ეს ორი ფრაზა ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა: **ა) ამერიკულმა ხომალდებმა ჩამოიტანეს შეიარაღება საქართველოსთვის; ბ) მათი რეალური მისია რუსეთისთვის ძალის დემონსტრირება იყო.** საინტერესო მონაკვეთია **„ამ იმაზე სასმელი წყალი არ ყოფილა“,** რომელსაც სააკაშვილი, არც მეტი, არც ნაკლები, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს მიაწერს. ერთის მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ წყალი ნამდვილად იყო (ეს დაფიქსირებულია უამრავ განცხადებასა და რეპორტაჟში), მაგრამ სააკაშვილის მსმენელებს შეიძლება შეექმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ **იქ წყლის ნაცვლად ან კიდევ წყალთან, როგორც** ▶

**სააკაშვილი უკავშირებს ამერიკული ძალების გადაადგილებას არა ჰუმანიტარულ, არამედ სამხედრო-პოლიტიკურ აქციას და ვითარებას აღწერს ისე, თითქოს საქმე ეხებოდეს კუნთების თამაშს კარიბის კრიზისის სტილში, რაც ვაშინგტონის ოფიციალურ პოზიციას არსებითად ეწინააღმდეგება**



## დავითაშვილი ივანიშვილის საყვედურს არ იზიარებს

**საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი კობა დავითაშვილი მის მიმართ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საყვედურს არ იზიარებს და საკუთარ არგუმენტებს იცავს.**

როგორც დავითაშვილი აცხადებს, მას გუნდურობის პრინციპი არ დაურღვევია. ამასთან, დავითაშვილი პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო საუბარზე საჯარო განმარტებების გაკეთებისგან თავს იკავებს. დეპუტატის მხრიდან ჯანდაცვის უწყებისადმი არსებული შენიშვნები და პოზიციები კვლავ უცვლელი რჩება. კობა დავითაშვილის განცხადებით, ის თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და მმართველი გუნდიდან წასვლას არ აპირებს.

უმრავლესობაში აცხადებენ, რომ სერგეენკოს მიმართ დავითაშვილის ბრალდებებს არ იზიარებენ, თუმცა ჯანდაცვის მინისტრი, შესაძლოა, პარლამენტში კვლავ დაიბარონ. კობა დავითაშვილის საკითხი კი პოლიტსაბჭოს სხდომაზე დადგება. სხდომა მას შემდეგ გაიმართება, რაც ბიძინა ივანიშვილი საქართველოში დაბრუნდება.

## თამარ ჩერგოლეიშვილი: ტრაგიკული მოვლენის კარიკატურად ქცევა, არ ვფიქრობ, რომ მისასალმებელია

**ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტომონტაჟს აკრიტიკებს, რომელზეც ჩერგოლეიშვილი მიხეილ სააკაშვილთან და გიგა ბოკერიასთან ერთად არის გამოსახული. ეს არის ცნობილი ფოტო, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ მოვლენებს ასახავს.**

„ტრაგიკული მოვლენის კარიკატურად ქცევა, არ ვფიქრობ, რომ მისასალმებელია, თორემ ჩემი თავი აქაც მომწონს“, — წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

ფოტომონტაჟზე გაკეთებულია წარწერა „ახალი ეროვნული მოძრაობა, ეროვნული მოძრაობის სათავეებთან...“. ფრაზა 19 აპრილის აქციის გამოძახილია, როდესაც ყოფილ პარლამენტის შენობასთან მიტინგზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა: „დღეს აქ იბადება ახალი ეროვნული მოძრაობა, ახალი ოპოზიცია, ახალი ევროპული საქართველო“.

# ვაშინგტონში შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ საფრთხის მოახლოებასთან ერთად, კუთხეში მიმწყვდეულმა სააკაშვილმა შეიძლება უარესი რამ თქვას, მაგალითად ის, რომ რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციისკენ აშშ-ის პრეზიდენტი და მისი გუნდი უბიძგებდნენ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


დიკ ჩეინი

## რა უნდა უთხრას რესპუბლიკელ ამომრჩეველს და სრულიად ამერიკას «საჯაროდ» ჩეინიმ, როგორც ამას სააკაშვილი მოითხოვს? რომ ადმინისტრაცია იხილავდა რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციის ვარიანტს და მასზე უარი თქვა?

**◄ ძალზე უმნიშვნელო ტვირთთან, ერთად, იყო რაღაც სხვა, საიდუმლო ტვირთი. ამ მონაკვეთში სააკაშვილი სახიფათო ზღვარს უახლოვდება და, შეიძლება ითქვას, ცეცხლს ეთამაშება.**

2008 წლის 26 აგვისტოს „ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თქვა: **„ის, რასაც ამერიკელები ჰუმანიტარულ ტვირთს უწოდებენ, მათ, რა თქმა უნდა, იარაღი შემოაქვთ. ჩვენ არაფერს ვეწინააღმდეგებით".** თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტონი ფრატომ უარყო მედვედევის ეს მოსაზრება და მას „შეუსაბამო" უწოდა. **სააკაშვილის კომენტარები ისე ჟღერს, თითქოს ის, ამერიკულის საპირისპიროდ, მხარს რუსულ პოზიციას უჭერს და მედვედევის ნათქვამს ადასტურებს.** ამერიკელებმა ეს შეიძლება კიდევ ერთ საგანგაშო სიგნალად განიხილონ.

### ბუში – ბუნკერში და ესკადრა – ბოსფორში

აშშ-ის ოფიციალური წყაროების ინფორმაციით, განხილულ პერიოდში ბუშისა და სააკაშვილის სატელეფონო საუბარი სამჯერ — 9, 11 და 13 აგვისტოს შედგა. სხვათა შორის, რუსმა კომენტატორებმა შეიძლება იოლად დაუკავშირონ რეპლიკა „მაგრად დადექი, მიშა, ყოჩაღ, მიდით, უფრო სწორად, გამხნევდით, არ ჩამყაროთ ხელები" ომის საწყის პერიოდს (ტექსტიდან ასეთი დასკვნის გამოტანაც შეიძლება) და განაცხადონ, რომ ბუში სააკაშვილს აქეზებდა, თუმცა აქ უფრო საინტერესო სხვა მომენტია: ერთი შეხედვით, სააკაშვილი 13 აგვისტოს საუბარს იხსენებს, ამაზე მიუთითებს რეპლიკა „მანამდე ორჯერ" და ის ფაქტი, რომ 13 აგვისტოს გაკეთდა განცხადება ჰუმანტარული ოპერაციის დაწყების თაობაზე და თავდაცვის მდივნის, რობერტ გეითსის, მითითების შესაბამისად, მასში აშშ-ის შეიარაღებული ძალები ჩაერთნენ („დაძრეს მეექვსე ფლოტი"), მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ იმ დღეს აშშ-ის პირველი პირები არა თეთრ სახლში, როგორც ამაზე ოფიციალური ინფორმაცია მიუთითებს, არამედ ლენგლიში თათბირობდნენ (თან ბუნკერში, საუკეთესო კონსპიროლოგიურ ტრადიციებში). ოფიციალური ინფორმაციით, შტაბბინას ლენგლიში ბუში 15 აგვისტოს ესტუმრა. ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი არიელ კოენი მაშინ ვარაუდობდა, რომ „აშშ-ის პრეზიდენტი გასცემს განკარგულებას, რომ ჩატარდეს შიდა მოკვლევა, მაგალითად, ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს იმას, არის თუ არა სისტემური ჩავარდნები და როგორ მოიტანა აშშ-ის 15-წლიანმა პოლიტიკამ საქართველოში დღევანდელი შედეგები". მაგრამ 15 აგვისტოს თათბირს ლენგლიში კონდოლიზა რაისი ვერანაირად ვერ დაესწრებოდა (სააკაშვილის რეპლიკა: „ლენგლიში, იქ, ბუნკერში სადღაც, იქ იყო გეითსი, კონდი"), რადგან ფიზიკურად სხვა კონტინენტზე იმყოფებოდა — ჯერ საფრანგეთში სარკოზის ხვდებოდა, შემდეგ საქართველოში — სააკაშვილს. ამ ნიადაგზე შეიძლება გაჩნდეს **სამი ვერსია:** ორი უწყინარი და ერთი არც ისე უწყინარი: **ა) სააკაშვილს ეშლება; ბ) კონდოლიზა რაისი თათბირს დისტანციურად შეუერთდა (ტექნიკურ დეტალებში ჩაღრმავების გარეშე რომ ვთქვათ, შედგა „სკაიპის" ზარის ტიპის კონტაქტი); გ) პერიოდში „ბუშის დაბრუნებიდან ფლოტის დაძვრამდე" მართლაც გაიმართა რაღაც საიდუმლო თათბირი ლენგლიში, რომელიც არანაირად არ ფიქსირდება ოფიციალურ ამერიკულ წყაროებში;** ეს კი ბუნებრივად წარმოშობს კითხვას: ვინ ესწრებოდა მას და რა გადაწყვეტილებები მიიღეს? ასე იყო თუ ისე, ამერიკელები, სავარაუდოდ, დაფიქრდებიან იმაზე, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს სააკაშვილი თავის შემდგომ ვარიაციებში ამ თემაზე.

ცალკე ნონსენსია სააკაშვილის მონაყოლი მეექვსე ფლოტის სარდლის ულტიმატიურ დიალოგებზე თურქებთან: **„ჩვენ ვუთხარით, რომ რომც დოკუმენტები არ გვქონდეს, მაინც გავივლით".** სხვათა შორის, სწორედ იმ პერიოდში შეიცვალა მეექვსე ფლოტის სარდალი, ჯეიმს ვინეფელდის ადგილი ბრიუს კლინგანმა დაიკავა („სტარს ენდ სტრიპეს" 2008 წლის 12 აგვისტოს ინფორმაციით, ვინეფელდმა თანამდებობა 11 აგვისტოს დატოვა, ამიტომ, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჰიპოთეტურ დებატებში თურქებთან კლინგანი შევიდა). **სააკაშვილის მონათხრობს თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ იმ დროს, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი აწარმოებდა ოფიციალურად დადასტურებულ კონსულტაციებს თურქეთის ხელისუფლებასთან ხომალდების გატარებაზე (ომი ამ დროისთვის უკვე დასრულებული იყო, ხოლო სამშვიდობო შეთანხმება — ხელმოწერილი), რაც დასრულდა იმით, რომ თურქებმა გაატარეს „მაკფოლი", „დალასი" და „მაუნტ უიტნი", მაგრამ არ გაატარეს „მერსი" და „კომფორტი", რომელთა პარამეტრები აღემატებოდა მონტრეს კონვენციით დადგენილ ლიმიტს** (სხვათა შორის, არც ერთი ჩამოთვლილი ხომალდი სარაკეტო კრეისერი არ არის, თუმცა, როგორც ცნობილია, სააკაშვილს მსგავსი ნიუანსების არაფერი გაეგება, ალბათ, ჯობდა ისევ „სარაკეტო ის" ეთქვა), **ამერიკელი ადმირალი აპირებდა, ფეხებზე დაეკიდებინა კონვენცია და მოეხდინა გარღვევა შავ ზღვაში პირველი მსოფლიო ომის სტილში?!** ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს სკანდალური შინაარსის განცხადება თურქებს ან ამერიკელებს მოეწონათ; ვერ გამოვრიცხავთ, რომ ვაშინგტონსა და ანკარაში სერიოზულად დაფიქრდნენ, თუ რა შეიძლება თქვას ფიგურანტმა შემდეგ ჯერზე.

### კონტუზია ხომ არ მიიღო?

რაც შეეხება თათბირს, სადაც როკის გვირაბის დაბომბვა განიხილებოდა, ის, როგორც ჩანს, მართლაც გაიმართა. რონალდ ასმუსის წიგნის თანახმად, ეს 11 აგვისტოს მოხდა; მასში ბუში და ჩეინი მონაწილეობდნენ, ხოლო საკითხის განხილვის ინიციატორი სტივ ჰედლი (მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში) იყო. **ასმუსი** წერს, რომ **ჰედლი მიიჩნევდა, რომ სამხედრო მოქმედებები მეტად სარისკო იქნებოდა, მაგრამ მან მაინც წამოაყენა ეს საკითხი** 11 აგვისტოს შეხვედრაზე ბუშთან, ჩეინისთან და სხვა მაღალჩინოსნებთან, რათა გამოეწვია „ღია განხილვა და აეძულებინა ჩეინი და სხვები, პროტოკოლისთვის განცხადებები გაეკეთებინათ". **ასმუსი წერს, რომ თათბირზე „როკის გვირაბის დაბომბვა და გადაკეტვა" და „სხვა წერტილოვანი დარტყმები" განიხილებოდა.** მოგვიანებით, „პოლიტიკო"-სთან საუბარში ჰედლიმ თქვა, რომ „იყო მსჯელობა თემაზე „შეიძლება თუ არ განვიხილოთ სამხედრო მოქმედება ჩვენი მიზნების მიღწევისთვის?" და **„საერთო აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ეს მიმზიდველი ვარიანტი არ არის... ყოველივე ეს ძალიან შორს ხდებოდა და რუსეთთან პირდაპირ სამხედრო შეტაკებაში გადაიზრდებოდა".** იმას, რომ ძალისმიერ ვარიანტს მხარი არავინ დაუჭირა, თავის ინტერვიუებში ასმუსიც ადასტურებდა.

კონდოლიზა რაისი თავის მემუარებში ამ თათბირს ასე აღწერს: „შეხვედრა, ცოტა არ იყოს, რთულად სამართავი იყო. ბევრი რუსების გამო გულში მჯიღს იცემდა. ერთ მომენტში სტივ ჰედლი ჩაერია, რასაც ის იშვიათად აკეთებდა ხოლმე. ამ დროს იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რით შეიძლება დაიმუქროს აშშ. **„ერთი შეკითხვა მინდა დავსვა,** — **თქვა ჰედლიმ თავშეკავებით, — მზად ვართ იმისთვის, რომ საქართველოს გამო რუსეთს ვეომოთ?".** ხმაური ჩაწყნარდა და მან ადგილი დაუთმო კონსტრუქციულ საუბარს იმაზე, თუ რის გაკეთება შეგვეძლო რეალურად".

დიკ ჩეინი (სააკაშვილის მიხედვით) ამ თათბირს ძნელად იხსენებს. უარყოფა არ შეუძლია, რადგან მსჯელობა ამ თემაზე ასახულია არა მხოლოდ მემუარებში, არამედ პროტოკოლშიც (რისთვისაც, სავარაუდოდ, წამოწია საკითხი ჰედლიმ), მაგრამ რა უნდა უთხრას რესპუბლიკელ ამომრჩეველს და სრულიად ამერიკას „საჯაროდ" ჩეინიმ, როგორც ამას სააკაშვილი მოითხოვს? რომ ადმინისტრაცია იხილავდა რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციის ვარიანტს და მასზე უარი თქვა? და რა აზრი აქვს ამას? რა მოტივებიდან გამომდინარე უნდა აკეთოს ჩეინიმ მსგავსი განცხადებები? იმისთვის, რომ ირიბად გაამყაროს სააკაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აშშ-ის მიერ საქართველოსთვის ქმედითი სამხედრო დახმარების აღმოჩენა რეალური იყო? ამ დადასტურებიდან ორი ნაბიჯი დარჩება იმის მტკიცებამდე, რომ ჩეინი და მისი თანაგუნდელები ქართველ პარტნიორებს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე აიმედებდნენ. ამ შემთხვევაში სააკაშვილის მიახლოება საშიშ, ამერიკელებისთვის არასასურველ ზღვართან არც ისე თვალსაჩინოა, თუმცა, შესაძლოა, ადგილი მას ამ შემთხვევაშიც აქვს.

საერთოდ, სააკაშვილის ინტერვიუს ზოგიერთმა მონაკვეთმა როგორც ადგილობრივ, ისე დაინტერესებულ უცხოელ მკითხველს შეიძლება შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ ის, უბრალოდ, ფსიქიურად დაავადებულია. ფრაზა „ძალიან ვწუხვარ, რომ ეს (დამომბვის) გადაწყვეტილება არ მიიღეს", სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ნაკლებად ტოვებს. მესამე მსოფლიო ომი უნდოდა? სერიოზულად? აშშ-რუსეთის სამხედრო შეჯახება საქართველოში, რომლის შემდეგ აქ ქვა ქვაზე არ დარჩებოდა? გასაგებია, რომ სააკაშვილის წარმოსახვაში ამერიკულ ხომალდს (1 ც.) მთელი რუსული ფლოტისა და ავიაციის (გაუგებარია, რატომ გამოტოვა სახმელეთო ძალები) განადგურება შეუძლია, მაგრამ, **საინტერესოა, სმენია თუ არა მას რაიმე ტაქტიკური ბირთვული იარაღის შესახებ და წარმოუდგენია თუ არა, რა შედეგს მოიტანდა მისი გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე? თუ იმის იმედად უნდა ვყოფილიყავით, რომ რუსები ურალამდე გაიქცეოდნენ, მას შემდეგ, რაც ამერიკული ავიაცია როკის გვირაბზე იერიშს მიიტანდა?** რაზე ფიქრობდა, რისი იმედი ჰქონდა? შესაძლოა, მას მართლა ეგონა, რომ ჩვენი გულისთვის აშშ რუსეთთან ომს დაიწყებდა. საბრალო მიშა, უბედური საქართველო!

თუმცა ბელეტრისტიკა გვერდზე გადავდოთ და შევეცადოთ, მოკლე დასკვნა ჩამოვაყალიბოთ. ფაქტები შემდეგია: მას შემდეგ, რაც აგვისტოს ომთან დაკავშირებით დაკითხვა და, შესაძლოა, გასამართლება დაემუქრა, სააკაშვილი ადგა, ტელევიზიაში მივიდა და დაიწყო ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ოფიციალურ ამერიკულ ვერსიას ეწინააღმდეგება, რაც აქამდე აზრადაც არ მოსვლია და რაღაც ორაზროვანი მინიშნებებიც გააკეთა. ამ ნიადაგზე, **ვაშინგტონში შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ საფრთხის მოახლოებასთან ერთად, კუთხეში მიმწყვდეულმა სააკაშვილმა შეიძლება უარესი რამ თქვას, მაგალითად ის, რომ რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციისკენ აშშ-ის პრეზიდენტი და მისი გუნდი უბიძგებდნენ.** ეს კი თეთრ სახლს (მიუხედავად იმისა, თუ ვინ ზის ოვალურ კაბინეტში) არანაირად ხელს არ აძლევს.

და ბოლოს, ორი წინადადება ეპილოგის ნაცვლად: ოფიციალური ინფორმაციით, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს არასოდეს ჩაუტარებია ოპერაციები, რომელთა მიზანს ამა თუ იმ უცხოელი პოლიტიკოსის გარანტირებული გაჩუმება წარმოადგენდა. საინტერესოა, შეუძლია თუ არა მიხეილ სააკაშვილს, მშვიდად იძინოს ამ გარემოების გათვალისწინებით?!

**დიმიტრი მონიავა**

**სააკაშვილის ინტერვიუს ზოგიერთმა მონაკვეთმა როგორც ადგილობრივ, ისე დაინტერესებულ უცხოელ მკითხველს შეიძლება შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ ის, უბრალოდ, ფსიქიურად დაავადებულია**



## «ბატონო ბიძინა, მაგან ხელის შემობრუნება იცის»

**საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე კობა დავითაშვილთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ეხმაურება.**

„ბ-ნო ბიძინა, მაგან ხელის შემობრუნება იცის... :)", — წერს ხაჩიძე „ფეისბუქში" საკუთარ გვერდზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კობა დავითაშვილს დავით სერგეენკოსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო „ეჩხუბა". „ვესაუბრე კობა დავითაშვილს და საკმაოდ ვეჩხუბე. მან უნდა მოახერხოს და ჯერ საკუთარ გუნდში უნდა გააკეთოს განმარტებები. იგი მუდამ ახერხებს გარედან ინფორმაციის შემოტანას და თანაც ისე, რომ ეს არაფერს ეფუძნება. ძალიან საწყენი იყო, რომ დავითაშვილმა ეს გააკეთა", — განაცხადა ივანიშვილმა.

სერგეენკოსა და კობა დავითაშვილს შორის ურთიერთბრალდებები გაზეთ „ქრონიკაში" გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ გამოიწვია, სადაც კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ ჯანდაცვის მინისტრი კერძო სადაზღვევო კომპანიებს ლობირებს და ჯანდაცვის სისტემაში რეფორმა არ მიმდინარეობს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც კობა დავითაშვილი დაპირისპირების თანამონაწილეა. 2013 წლის თებერვალში ტელეკომპანია „მაესტროს" პირდაპირ ეთერში დავითაშვილსა და უმცირესობის წევრ სერგო რატიანს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. სტუდიიდან ორივე მათგანი ტელეკომპანიის დაცვის თანამშრომლებმა გაიყვანეს.

## ხელისუფლება საბჭოთა ანაბრების მოცულობის დადგენაზე მუშაობს

**როგორც „პირველ რადიოს" ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დავით ებრალიძემ განუცხადა, სპეციალური კომისია ამ ეტაპზე კოოპერატიულ ბინათმშენებელთა საკითხით არის დაკავებული.**

„არსებობს კომისია სახელმწიფო შიდა ვალის შესახებ. ამ კომისიამ პირველ ეტაპზე კოოპერატიულ ბინათმშენებელთა საკითხების შესწავლა დაავალა მუშა ჯგუფს. ამ ჯგუფმა საკითხის შესწავლა დაასრულა. ახლა კომისიას უნდა ჩააბაროს ანგარიში. ამის შემდეგ მუშა ჯგუფი ანაბრების საკითხის შესწავლას დაიწყებს", — განაცხადა ებრალიძემ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღევანდელი ხელისუფლების პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს მინდა ვუთხრა, რომ ამდენ ბჭობას თავი დაანებონ და საქმეს მიხედონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წლის ბოლოს დღევანდელი ხელისუფლება სერიოზულ „ჯანყს“ მიიღებს, შეუსრულებელი დაპირებებისა და უნიათობის გამო, რასაც ისინი დღემდე ამჟღავნებენ.“**



# თემურ ქორიძე: ეროვნულ მოძრაობაზე ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულს

**19 აპრილს „ნაცმოძრაობამ“ კანის შეცვლა გადაწყვიტა და განაცხადა, რომ ახალ ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დიდი იმედი აქვს, რომ მათ უკანასკნელად მოიქნიეს კუდი და ამიერიდან პოლიტიკურ ასპარეზზე ვერც ერთ მათგანს ველარ ვიხილავთ. „ნაციონალების“ სახეცვლილებაზე და ქვეყანაში არსებულ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ პირველი ეროვნული მთავრობის უზენაესი საბჭოს განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილოლოგს, ბატონ თემურ ქორიძეს ეწვია.**

**— ბატონო თემურ, „ნაციონალებმა“ განაცხადეს, — ახალ ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო...**

— ჩვენი ძვირფასი დროის ძალიან დიდ ნაწილს ხომ არ ვუთმობთ იმ უმსგავსობას, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი მიტინგი ქვია?! არ ვიცი, რა საჭირო იყო ტელევიზიითა და გაზეთებით ამხელა კამპანიები, რატომ ილაპარაკეს ამ თემაზე პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა?! ნუთუ ამდენი საუბარი 19 აპრილზე ღირდა?! ისინი უფსკრულისკენ მიექანებიან, ეს ნათლად ჩანს და ამაზე ლაპარაკით საზოგადოება არ უნდა მოვაცდინოთ, ეს იაფფასიანი თემაა. **ნაციონალების მხრიდან ეროვნულ მოძრაობაზე საუბარი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჩვენ, ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ ექცეოდნენ ისინი ეროვნული მოძრაობის წევრებს, როგორი ცინიზმითა და აგდებით საუბრობდნენ 80-90-იან წლებზე. მათ სურდათ, მოსახლეობის 98%-ის ღვაწლი მიეჩქმალათ, რომლითაც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილი გამოთქვეს. „ნაციონალებისგან“ ეროვნული მოძრაობის ხსენებაც კი შეურაცხყოფაა იმ ქართველებისა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გაიღეს დრო, ნერვები და ბევრმა სიცოცხლეც კი.** მათი მხრიდან ეროვნულობაზე საუბარი არის იდეის დასამარება, პროფანაცია; მადლობა ღმერთს, რომ მათი ავანტიურიზმი მთლიანად გაშიფრულია და აღარავინ სატყუარაზე არ წამოეგება. როგორი დროშაც არ უნდა ააფრიალოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ის ვერასოდეს შეძლებს, ქართველი ხალხი აცდუნოს და კვლავ სათავეში მოექცეს თუნდაც უმნიშვნელო აქციას. ეროვნულ მოძრაობაზე ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულს. არ გამოუვათ სახეცვლილება, მათი თამაშის მანერები გაშიფრულია, აღარავინ აჰყვება ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს. **ასე რომ, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს მინდა ვუთხრა, რომ ამდენ ბჭობას თავი დაანებონ და საქმეს მიხედონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წლის ბოლოს დღევანდელი ხელისუფლება სერიოზულ „ჯანყს“ მიიღებს, შეუსრულებელი დაპირებებისა და უნიათობის გამო, რასაც ისინი დღემდე ამჟღავნებენ.**

**— ბატონო თემურ, „ნაციონალების“ მხრიდან ეროვნულ მოძრაობაზე ყურადღების გამახვილების პროვოცირება ახალი ხელისუფლების ქმედებებმა ხომ არ მოახდინეს?**

— შესაძლებელია, რომ გარკვეულწილად ასეც იყოს. ივანიშვილის გუნდის მოსვლამ საზოგადოებაში დიდი მოლოდინები გააჩინა. მათ უხვად გასცეს დაპირებები და ბუნებრივია, წააწყდნენ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა არც ისე ადვილი აღმოჩნდა და ახალი ხელუსფლება უკმაყოფილო ხალხის წინ პირისპირ აღმოჩნდა. ჩვენმა საზოგადოებამ გამოიარა შოკური თერაპია, რომელიც ძალიან გაგრძელდა. **მოხდა საზოგადოების პოლარიზება, მდიდრები უფრო გამდიდრდნენ და ღარიბები უფრო გაღარიბდნენ. ეს პროცესი თვალშისაცემი გახდა და, ბუნებრივია, რომ უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვი თანდათანობით იზრდება. დღევანდელი ვითარება, შესაძლებელია, „პერესტროიკის“ დასაწყისს შევადაროთ, როდესაც გორბაჩოვმა ციხიდან პოლიტპატიმრები გაათავისუფლა, გასაქანი მისცა სიტყვის თავისუფლებას. ხალხი გამოთქვამდა თავის კრიტიკულ მოსაზრებას, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო. დღესაც დაახლოებით ასეა: პასუხები არ ჩანს, ხელისუფლება თვითიზოლაციის გზას ადგას და ამაოდ ველოდებით პასუხს.** გარდა ტრაფარეტული ფრაზებისა, მაგალითად, როგორიც არის საქართველოს ერთიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, ის, რომ ჩვენ უნდა გავხდეთ მიმზიდველნი აფხაზებისთვის და ოსებისთვის, რაც, უკვე 20 წელიწადია, უცხოელი მრჩევლებისგან გვესმის და რაც რეალობისგან დღესდღეობით მეტისმეტად მოწყვეტილია, პრაქტიკულად, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური პრობლემა საწყისი წერტილიდან არ დაძრულა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მკაფიოდ განსაზღვრული, კონცეპტუალური გეგმა ახალ ხელისუფლებას არ გააჩნია არც ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებთ და არც ფუნდამენტალურად განსაზღვრული ჩვენი ადგილი არ გვაქვს მსოფლიოში. **საუბარი იმაზე, რომ აუცილებლად ნატოში უნდა შევიდეთ, სადაც ჩვენთვის რატომღაც ჩინური კედელია აღმართული და არამც და არამც კარს არ გვიღებენ, სისულელედ მიმაჩნია, რადგან, უკვე 20 წელიწადია, ამ კარზე ვაკაკუნებთ, მხრებითა და წიხლებით ვცდილობთ ამ კარის შემტვრევას, მაგრამ არავინ იქ კეთილი მასპინძლის როლში არ გვხვდება და ძალზე საეჭვოა, რომ ეს იდეა განხორციელდეს. ალბათ, მალე ნატოც დაიშლება, მოგეხსენებათ, ამქვეყნად მარადიული არაფერია.** 20-იანი წლების ქართველებმა, იმჟამინდელმა ინტელექტუალურმა ელიტამ თვალნათლივ დაინახა, რომ ევროპა, როგორც იდეა, მოკვდა; ევროპას აღარ აქვს გასასესხებელი იდეები, ასე რომ, ჩვენ ვერაფერს ავიღებთ კრიზისულ ცნობიერებაში მყოფი ევროპიდან. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საზოგადოება საკმაოდ ობიექტურად აფასებდა საერთაშორისო მდგომარეობას, ჩვენს ადგილს, ჩვენს დამოკიდებულებას ევროპასთან. შემდეგ უკვე ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძის თაობებმა დაგვიტოვეს მკაფიო ჩამოყალიბებული თვალაზრისი, კონცეფცია, თუ რამ შეიძლება გადაარჩინოს ქართველი ხალხი. მადლობა ღმერთს, ქართველ ხალხში არსებობს შინაგანი რესურსები იმისათვის, რომ შევძლოთ ერთი ნაბიჯით წავიწიოთ წინ. სამწუხაროდ, „პოლიტიკური ელიტა“ მე-19 საუკუნის აზროვნების სიღრმეებს ძალიან ჩამორჩება, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ის არ დგას 21-ე საუკუნის სიმაღლეზე. მინდა ავღანეთში ჩვენი ჯარების მონაწილეობაზეც ორი სიტყვა ვთქვა, რადგან ეს ჩვენს ისტორიაში, როგორც სამარცხვინო ფაქტი ისე დარჩება. მაშინ, როდესაც შენი ქვეყნის ტერიტორია ოკუპირებულია უცხო ძალების მიერ, თავად ოკუპანტის როლში გამოდიხარ?! ეს პარადოქსია. თქვენი შეკითხვის პასუხამდე მივდივარ, ასეთმა თემებმა, რაზეც ვილაპარაკე, და ამ თემების გარშემო დასმულ შეკითხვებზე პასუხგაუცემლობამ უბიძგა საზოგადოების ნაწილს, 19 აპრილის აქციაში მიეღო მონაწილეობა. **ვიმეორებ, წლის ბოლოს არა „ნაციონალების“ მხრიდან, არამედ საზოგადოება ახალი ხელისუფლების მისამართით თავის კრიტიკულ მოსაზრებას აუცილებლად გამოხატავს.**

**— პოლიტიკის დასავლური ვექტორით დაკავებულნი არიან პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, საპარლამენტო კომიტეტები, სპეციალურად შექმნილი სამინისტროები, ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობებისთვის არსებობს მხოლოდ რეინტეგრაციის სამინისტრო. საკმარისია თუ არა ერთი სამინისტროს და თუნდაც მინისტრის რანგი ამ მნიშვნელოვან მიმართულებაზე წარმატების მისაღწევად?**

— ცხადია, ერთი სამინისტრო და ერთი მინისტრი საკმარისი არ არის, რომ კონცეპტუალურად შეისწავლოს, ჩამოაყალიბოს პრობლემა და კოცენტრირება საქართველოს გაერთიანებისკენ მიმართოს. ერთიანი საქართველო, გაერთიანებული საქართველო — ეს ჩვენი საზოგადოების უმთავრესი მიმართულება უნდა იყოს. სამწუხაროდ, ასეთი სწრაფვა არც საზოგადოებაში იგრძნობა და არც „პოლიტიკურ ელიტაში“.

ხშირად პოლიტიკოსებს უყვართ ხალხისკენ თითის გაშვერა, რაც აბსოლიტურად ამორალურ საქციელად მიმაჩნია, აპელირება ხალხზე უმსგავსობაა, პრემიერსაც უყვარს იმის თქმა, რომ „საზოგადოება მოუმწიფებელია“. მოდით ასე ვთქვათ: „პოლიტიკურმა ელიტამ“ მოთხოვოს მომწიფება თავის თავს და მერე მოთხოვოს ხალხს. მინდა გავიხსენო ნაპოლეონი, რომელიც ხშირად ახსენებდა ცხვრის ფარას, რომელსაც ლომი ედგა სათავეში, და უპირისპირდებოდა ლომების ჯოგს, რომელსაც ცხვარი ედგა სათავეში. მათი შერკინებისას იმარჯვებს ცხვრის ფარა, რომელსაც წინ მიუძღვის ლომი. ჩვენ ლომები არ გვყავს ხელისუფლების სათავეში. პოლიტიკანებს უყვართ ლაპარაკი რიგით ადამიანებზე, საიდანაც საკუთარ თავს გამოყოფენ ხოლმე, ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ ზეგარდმო სიბრძნეს ფლობენ, რომ მათ ხელეწიფებათ პრობლემის მოგვარება, მაგრამ ეს ასე არ არის, პრობლემის არსი საძიებელია იმაში, რომ ჩვენ არ გვყავს პოლიტიკური ელიტა, ჩვენ საოცრად გონებაშეზღუდული ხელისუფლება გვყავს, მათ ელემენტარული ცოდნა არ გააჩნიათ, ისინი საკუთარი თავს ვერ ცნობენ და ზედმეტია წინაპრების გამოცდილების ცოდნაზე საუბარი. დიტერ ბოდენისკენ და კიდევ ვილაცებთან მისასვლელ გზას ხელის ცეცებით დავეძებთ, მაშინ, როდესაც ჩვენი ეროვნული გონი ფლობს საიმისო ცოდნას. თუ ასე დეტალურად მივუდგებით საკითხს, ცხადია, ერთი სამინისტრო ვერაფერს შეძლებს.

**— გამოითქვა მოსაზრება, რომ აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, მათ შორის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან, ურთიერთობები რეალურად ავიყვანოთ სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგში და ამ საქმისთვის გამოვიყენოთ პრეზიდენტის პოსტი, რომელიც მალე გამოთავისუფლდება, ანუ ახალ პრეზიდენტს კანონმდებლობით უნდა დაევალოს ამ მიმართულებით არსებული პრობლემის გადაწყვეტა.**

— **ის წარმოდგენა პრეზიდენტზე, რომელიც ახალი კანონმდებლობით მკვიდრდება, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გვყავდეს პრეზიდენტი არარაობა. ამის ფუფუნება ნამდვოლად არ გვაქვს, ჩვენ უნდა გვყავდეს ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი, რომელიც თავისი პოლიტიკური წონით არ იყოს ისეთი, როგორც აშში უწოდებენ პოლიტოლოგები მეფე-პრეზიდენტს, ისეთი, როგორიც სააკაშვილი იყო, ანომალიური მოვლენა.** საქართველოში ადამიანი, რომელიც იქნება აღჭურვილი პრეზიდენტის უფლებამოსილებით, უნდა იყოს პიროვნება, რომელიც პრეზიდენტის პოსტს შეავსებს და არა პირიქით. საქართველოს უნდა ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც წარსდგება ხალხის წინაშე, რომელიც შეაკავებს პოლიტიკანების ამბიციებს. ის უნდა იყოს რეალური გარანტი საქართველოს ერთიანობის, პრეზიდენტის საზრუნავი უნდა იყოს ქვეყნის გაერთიანება. **პრეზიდენტი უნდა იყოს ერთიანი საქართველოს ისტორიული ამოცანის აღმასრულებელი, ეროვნული განათლების მამა. ვიღაცამ შეიძლება გაიცინოს და თქვას, რომ ასეთი დიმიტრია გელოვანიო, მაგრამ ჩვენ გვყავს ასეთი დიმიტრი გელოვანები. ხალხს რაღაც პერიოდში შეუძლია, რომ იყოლიოს სულელი მმართველი, მაგრამ ჩვენ ახლა ამის ფუფუნება არ გვაქვს, ჩვენ გვჭირდება მმართველი, რომელიც ანთებული ლამპრით უკან კი არ დაგვედევნება, არამედ თავად გაგვინათებს გზას.** ვეთანხმები ივანიშვილს, როდესაც ამბობს, რომ მომძლავრდნენ მედროვენიო, ეს დღევანდელი პრობლემა არ არის, მედროვენი მართლაც მომრავლდნენ და ეს მის გუნდში განსაკუთრებით შეიმჩნევა.

დღეს ძალიან ძნელია, იყო ლიდერი, საქართველოს ჰყავდა შვილები, რომელთაც ამის ძალა შესწევდათ, საწყენად ნუ მიიღებს ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ეს უნდა ითქვას: 1990 წლის არჩევნებში ბატონი ბიძინა, თავისი ფინანსურ-საქველმოქმედო შესაძლებლობების მიუხედავად, კატასტროფულად დამარცხდებოდა.

**— ბატონო თემურ, ახლა ცოტას კონტექსტიდან ამოვვარდები, რადგან დიდი ხანია, თქვენთან აღარ მისაუბრია და გკითხავთ: იყო თუ არა შეცდომა საქართველოს ხელისუფლების მხრდიდან ჩერქეზთა გენოციდის აღიარება?**

— ვფიქრობ, ეს ფაქტი პოლიტიკურ კონტექსტში ვერ თავსდება. შესაძლებელია, „გულკეთილი“ იყო, მაგრამ უნდა განსაზღვრო, რა არის საჭირო შენი ქვეყნისთვის. **შესაძლებელია, ვიღაცას გული შესტკიოდა ჩერქეზ ხალხზე, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესები უზენაესია.** სანამ ჩერქეზთა გენოციდს გავიხსენებთ, გავიხსენოთ, ის რაც აღმოსავლელმა მეზობლებმა ჩვენს ხალხს მოუწყვეს — შაჰების ირანმა, სულთნების ოსმალეთმა. მე-12 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე 12 მილიონი ქართველია სტამბულის ბაზარზე გაყიდული; ეთნიკური წმენდა, ძალმომრეობა, ის, რაც მოაწყვეს აღმოსავლურმა იმპერიებმა ქართველი ხალხის ამოსაძირკვად. გავიხსენოთ ხოლმე ასეთი ისტორიული ფაქტები და ჩვენი ქვეყნისთვის დედინაცვლის როლში არ აღმოვჩნდებით.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„თქვენი გაზეთის მოსაზრება ძალიან საინტერესოდ მეჩვენება. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია და, ალბათ, სწორიც იქნება, სწორედ პრეზიდენტი გახდეს ცენტრალური ფიგურა კონფლიქტური რეგიონების ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის გზაზე.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გია ხუხაშვილი:

# ირაკლი ალასანია არც ფიქრობს პრეზიდენტობაზე და არც განიხილავს საკუთარ თავს კანდიდატად

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება „საქართველოს განვითარების კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი.**

**— ბატონო გია, უწინარესად, 19 აპრილის აქციაზე მინდა გკითხოთ: რას ფიქრობთ „ნაცმოძრაობის“ ახალ იდეებზე, ახალ ეროვნულ მოძრაობაზე?**

— ეს არის მათთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ცინიზმი, ვინაიდან „ნაციონალებს“ აქვთ უნიკალური უნარი, თავიანთი თავით გასვარონ ნებისმიერი ისეთი ფასეულობა, რომელიც ქართველებისთვის მნიშვნელოვანია. ისინი მიებნენ იმ ისტორიულ დღეს, რომელთანაც არა თუ კავშირი არა აქვთ, არამედ ყველაფერს აკეთებდნენ ზუსტად მისი იდეალების წინააღმდეგ. რაც შეეხება ამ ყველაფრის შინაარსს, ვფიქრობთ, მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო... იქ საუბრობდნენ ევროპაზე და ევროპულ ღირებულებებზე, დემოკრატიაზე. ჯერ ერთი, სასაცილოა, როცა მერაბიშვილი და სააკაშვილი ამაზე გელაპარაკებიაან, მაგრამ მე არაერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: თუ ვინმე დემოკრატიულად მოიქცა იმ დღეს, ესაა შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც უზრუნველყო აქციის მშვიდობიანად ჩატარება. საერთოდ, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ევროპა არ არის მხოლოდ გეოგრაფიული კატეგორია, პირველ რიგში, ეს არის ფასეულობათა გარკვეული სისტემა და „ნაციონალური მოძრაობა“ არა თუ აქეთ არ მიდიოდა, არამედ საერთოდ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებდა. 19 აპრილის აქცია, ვფიქრობ, იყო ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი, რომელიც მათ გამართეს, ვინაიდან, ძალიან უცნაური განწყობა იგრძნობოდა ხალხში, — თითქოს სამუშაოზე მოვიდნენ და, დამთავრდა თუ არა მიტინგი, მაშინვე დაიშალნენ, რაც საქართველოში ძალიან იშვიათად ხდება. ასევე ისტერიული მომეჩვენა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების გამოსვლები და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მათთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა სააკაშვილის გამოჩენა. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ერთ-ერთი ბოლო გაფრთხილება ვნახეთ „ნაცმოძრაობის“, რაც, ალბათ, ლოგიკურია.

**— ბოლო გაფრთხილება რადგან ახსენეთ, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები აქციაზე მოსული ხალხის რაოდენობით კმაყოფილნი დარჩნენ. მათ თქვეს, რომ ათიათასობით ადამიანი მოვიდა. თქვენი აზრით, რამდენად მრავალრიცხოვანი იყო ეს აქცია და ელოდით თუ არა ამდენი ხალხის მოსვლას?**

— მე არ მინდა ახლა რიცხვებზე და რაოდენობაზე ვისაუბრო. მათ, უბრალოდ, დაადასტურეს, რომ აქვთ ორგანიზების კარგი უნარი, მაგრამ მიტინგის შემადგენლობას თუ გადავხედავდით, იქ აშკარად იგრძნობოდა, რეალურად რა მოხდა, — 80-90 პროცენტი იყო მოყვანილი ხალხი. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, არ ჩანდა ნამდვილი საპროტესტო მუხტი, ეს ადამიანები შეკრიბეს, დააყენეს ორი საათით, აკვრევინეს ტაში და დაშალეს.

**— მოკლედ, თქვენ ამბობთ, რომ ამ აქციის შემდეგ, რომელიც, ალბათ, დამეთანხმებით, არც თუ მცირე მასშტაბის იყო, მაინც ვერ ვიტყვით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზულ ძალას წარმოადგენს?**

— არა, ეს აბსურდია, სერიოზული ძალა კი არა, როგორც გითხარით, კვდომის პროცესი მიდის, რომელიც გარდაუვალია. „ნაციონალურ მოძრაობას“ დამოუკიდებელი პოლიტიკური მოღვაწეობის პერსპექტივა არ აქვს, ჩვენი მიზანი კი არის არა ის, რომ „ნაცმოძრაობა“ შევინარჩუნოთ, არამედ ის, რომ ეს კვდომის პროცესი რაც შეიძლება რბილად და უმტკივნეულოდ დასრულდეს.

**— „ახალი ეროვნული მოძრაობა“ ერთგვარი გადატვირთვისა და გადახალისების მცდელობაა. მათ თქვეს, რომ ეს მოძრაობა იქნება ზეპარტიული.**

— ეს აბსურდია, ამით გამოიწვიეს საზოგადოებაში კიდევ უფრო დიდი გაღიზიანება. მათ კიდევ ჰქონდათ შანსი, გარკვეული ელექტორატი მიემხროთ და ზუსტად ის ელექტორატი განაწყვეს მათდამი კრიტიკულად.

**— რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომის საგამოძიებო კომისიას, როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭიროა დღეს მსგავსი კომისიის შექმნა და როგორ აღიქვამს ამ ყველაფერს დასავლეთი?**

— ვფიქრობ, რომ ეს ჩვეულებრივი პროცესია და აქ მთავარია არა ის, თუ როგორ შეხედავს ამას დასავლეთი, არამედ მთავარია, რა არის დღეს ქართული საზოგადოების ინტერესში. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ძირითადი საკითხი არაა, ვინ დაიწყო ომი, ამ კუთხით ყველაფერი ნათქვამია და გამოსაძიებელიც პრინციპში არაფერია.



**«მომავალი პრეზიდენტი, რა უფლებებითაც არ უნდა იქნეს ის წარმოდგენილი, აუცილებლად მისაღები უნდა იყოს როგორც აფხაზებისთვის, ისე ოსებისთვის და, რა თქმა უნდა, რუსეთისთვისაც. სხვანაირად ამ უკიდურესად გართულებული ურთიერთობების დარეგულირება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება»**

**— მაშინ მოდი ვთქვათ, რა არის გამოსაძიებელი?**

— მთავარი კითხვები სულ სხვაა, შეეხება იმავე ომის წინა პერიოდს, მის მსვლელობას და ა.შ. აქ შეიძლება ძალიან ბევრი ბნელი ფაქტი გამომზეურდეს წინა ხელისუფლების მოღვაწეობასთან დაკავშირებით და სწორედ ესაა ქართული საზოგადოების ინტერესი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ, როგორ მოქმედებდა იმ პერიოდში. ასე რომ, შესაძლოა, ძალიან მძიმე ამბები გავიგოთ. მათ შორის მხედველობაში მაქვს სახელმწიფო ინტერესებისთვის საზიანო მოქმედებებიც, რომლებიც, არ გამოვრიცხავ, შესაძლოა, გამოვლინდეს ამ გამოძიების პროცესში.

**— უკვე მერამდენედ ახსენა პროკურორმა სააკაშვილის დაბარების შესაძლებლობაც პროკურატურაში. ძალიან უცნაურად ვითარდება მოვლენები ახალაიების ოჯახის გარშემოც. კერძოდ, დათა ახალაიას განცხადებას ვგულისხმობ, რომელშიც მან ვანო მერაბიშვილი ამხილა. თქვენი აზრით, რაზე მიანიშნებს ეს ყველაფერი?**

— პრეზიდენტი, პირველ რიგში, მოქალაქეა და ის უარს არ უნდა აცხადებდეს დაკითხვაზე. მე შემიძლია დავასახელო უამრავი ფაქტი იმავე ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც პირველი პირები არა მხოლოდ დაიბარეს პროკურატურაში, არამედ დააპატიმრეს და ჩასვეს კიდეც. ეს ჩვეულებრივი ამბავია, გავიხსენოთ თუნდაც საფრანგეთისა და იტალიის შემთხვევები. რაც შეეხება ახალაიებს, აქაც ძალიან ბუნებრივადაა ყველაფერი. დათა ახალაია აქამდე სრულ მოქმედებაში იყო და ფიქრის საშუალება არ ჰქონდა. ახლა კი შვიდი თვეა, რეალური საქმიანობით არ არის დაკავებული და, როგორც ჩანს, ანალიზი გააკეთა. მისი ეს საჯარო განცხადებები, ვფიქრობ, სწორედ ამ ანალიზის შედეგია და მგონი, ამაში უცნაური არაფერია.

**— ბაჩო ახალაია სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო კადრი იყო. ამ დროს ისე მოხდა, რომ დღეს ციხეში მხოლოდ ის ზის. სხვები ზოგი გირაოთი გამოუშვეს, ზოგმა თავს გაქცევით უშველა. ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობამ“ ახალაია გაწირა?**

— საერთოდ კონფლიქტი დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გარდაუვალია, იმიტომ, რომ შემსრულებლის გამოვლენა ხდება ბევრად უფრო ადრე და, როგორც წესი, ძირითადი სიმძიმე გადადის ხოლმე მასზე. ჩემი აზრით, ახალაიამ გააცნობიერა, რომ ის იყო პოლიტიკური ინსტრუმენტი სხვის ხელში, მიხვდა, რომ, ფაქტობრივად, გამოიყენეს იმ განტევების ვაცად, რომელსაც უნდა ეტვირთა ყველა დანაშაული, რომელშიც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და არ ჰქონდა, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, ესაუბრა საჯაროდ ბევრ რამეზე. მე მგონი, ამაში გასაკვირი არაფერია, ასე რომ, ძალიან ლოგიკურად და კანონზომიერად ხდება ყველაფერი.

**— როგორ ფიქრობთ, მოსალოდნელია თუ არა, რომ თანაგუნდელებზე განაწყენებულმა ახალაიამ სხვებიც მოისვას გვერდით?**

— არა თუ მოსალოდნელი, მე ვფიქრობ, რომ ეს გარდაუვალია.

**— საპრეზიდენტო არჩევნებზეც გკითხავთ. საზოგადოებამ დღემდე არ იცის, რა ხდება კოალიციაში კანდიდატის საკითხთან დაკავშირებით: შეაჯერეს პარტიებმა პოზიციები, განხილვები მიდის თუ ჯერ რეალურად არ დაწყებულა ეს პროცესი? დრო არც თუ ისე დიდი დარჩა.**

— დარწმუნებული ვარ, კოალიცია ჩამოყალიბდება ამ პერიოდის განმავლობაში. მე მაქვს, რასაკვირველია, ჩემი მოსაზრებები, მაგრამ, ვინაიდან არ ვარ „ქართული ოცნების“ წევრი, არ მივცემ თავს უფლებას, ზედმეტი ვისაუბრო ამ საკითხებზე.

**— ჩვენს გაზეთში არაერთხელ დაისვა საკითხი, რომ მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს არა ბუტაფორია, არამედ კონკრეტული ფუნქციისა და პასუხისმგებლობის მატარებელი ფიგურა. რადგან ახალმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტად კონფლიქტური რეგიონები დაისახა, მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად, რომ სწორედ პრეზიდენტზე უნდა იყოს ეს ფუნქციაც მიბმული, ანუ მას დაეკისროს აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის წარმართვა?**

— მიმაჩნია, რომ ეს მთლიანად ხელისუფლების საკეთებელია და პრეზიდენტსაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი ექნება. სხვათა შორის **თქვენი გაზეთის მოსაზრება ძალიან საინტერესოდ მეჩვენება. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია და, ალბათ, სწორიც იქნება, სწორედ პრეზიდენტი გახდეს ცენტრალური ფიგურა კონფლიქტური რეგიონების ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის გზაზე.**

**— კონფლიქტური რეგიონების პრობლემის მოგვარება პირდაპირაა დაკავშირებული რუსეთთან. აქედან გამომდინარე, კოალიციის მესვეურებს საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევის დროს იმაზეც მოუწევთ ფიქრი, თუ ვინაა რუსეთთან ურთიერთობისთვის უფრო შესაფერისი და ვინ არა. ვაღიაროთ, ქართულ ოცნებაში არიან გარკვეული სუბიექტები, რომლებსაც სოხუმსა თუ კრემლში, რბილად რომ ვთქვათ, მოლაპარაკებათა მაგიდასთან არ დაუჯდებიან.**

— ცხადია, კანდიდატის შერჩევის დროს კოალიციას ბევრი რამის გათვალისწინება მოუწევს, მათ შორის იმისაც, რომ არ დასახელდეს ისეთი პიროვნება, რომელიც ცალსახად გამაღიზიანებელი იქნება ამ მხარეებისთვის. რაც შეეხება იმ სუბიექტებს, რომლებსაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, სოხუმსა და მოსკოვში არ დაუჯდებიან, არ მინდა ძალიან შორს წასვლა და ანალიზის გაკეთება, მაგრამ იმავე თუნდაც პროამერიკულზე რომ ვილაპარაკოთ, ირაკლი ალასანია, რამდენადაც მესმის, უკვე არც ფიქრობს პრეზიდენტობაზე და არც განიხილავს საკუთარ თავს კანდიდატად, ვინაიდან მან თქვა, რომ მომდევნო ორი წელი არმიასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტით იქნება დაკავებული. აქვე მის სასარგებლოდაც უნდა ვთქვა, რომ ალასანია, თავისი აშკარად გამოკვეთილი პროდასავლური ბეგრაუნდის მიუხედავად, აფხაზებისთვის ყოველთვის მისაღები პერსონა იყო მოლაპარაკებების დროს. ასე რომ, ცალსახად რამის თქმა ძნელია, ერთ რამეში კი გეთანხმებით: მომავალი პრეზიდენტი, რა უფლებებითაც არ უნდა იქნეს ის წარმოდგენილი, აუცილებლად მისაღები უნდა იყოს როგორც აფხაზებისთვის, ისე ოსებისთვის და, რა თქმა უნდა, რუსეთისთვისაც. სხვანაირად ამ უკიდურესად გართულებული ურთიერთობების დარეგულირება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება.

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა ნაქართველარის, ნასომხარის, ნაფრანგალის და ა.შ. დედაც ვატირე, თორემ ყველა ერს გაუმარჯოს, მითუმეტეს თბილისელ სომხებს შემოევლოს ჩემი თავი, რომელთა შორისაც ბევრი მეგობარი მყავს!**

# ახალი «ერევნული» მოძრაობა...

**თითქოს აღარაფერი უნდა გვიკვირდეს ე.წ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან, რადგან 9 წლის მანძილზე მან, როგორც ხელისუფლებამ, ყველაფერი უკეთურობა იკადრა. ხოლო გაოპოზიციონერებულმა ფაშისტებმა 1 ოქტომბრის შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა მათ შიზოიდ ფიურერ მიშა სააკაშვილს და მის რაიხსფიურერებს ის ცოცხის ტარი გაუკეთა, რომლითაც მთელი საქართველო გააუპატიურეს, კოაბიტაციის რეჟიმში ხომ თავხედობისა და ცინიზმის ყველა რეკორდი მოხსნეს!**

მაგრამ ასეთი?! რა პროგნოზები აღარ კეთდებოდა 2 თვის წინ დაანონსებული 19 აპრილის მიმართ. ლამის არმაგედონ აპოკალიფსს წინასწარმეტყველებდნენ მავანნი, მაგრამ ამათ უარესი მოიფიქრეს — ახალ ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო, გაგონილა, კაცო?!

საერთოდ, როგორ ბედავენ ეს მანქურთები სიტყვა „ეროვნულის“ ხსენებას, როცა სწორედ ეროვნულს, ტრადიციულს, ანუ დიდი ილიას მიერ ანდერძად დატოვებულ „მამული, ენა, სარწმუნოებას“ ებრძოდნენ შეფარვითა თუ აშკარად; ყოველივე ქართულის ამოსაგდებად, ქართველი კაცის მენტალიტეტის შესაცვლელად, ახალი ქართველის „გასაკეთებლად“ იყვნენ მოვლენილნი ოკეანის გაღმიდან და აკი ნაწილობრივ მოასწრეს კიდეც დავალების შესრულება — 20 % ჩვენი ძირძველი ტერიტორიებისა ოკუპირებულია, ხოლო დანარჩენის კოლონიზაცია აგერ ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს: ინდოელების, არაბების, ჩინელების, თურქების თუ სხვა გადამთიელების ჩამოთესლებით, მათთვის სახნავ-სათესი მიწების მიყიდვით; 9 წლის მანძილზე, როგორც მინიმუმ, ჩვენი შვილების ერთი თაობა მაინც გადააკეთეს „ახალ ქართველებად“ პატრიოტთა ბანაკებსა და მის მიმდებარე ბუჩქებში!

ახლა ვიცი, ამის თქმის გამო, ე. წ. უფლებადამცველები გამომიხტებიან ლაჯებში მეზობლის კურდღელივით და დაიწყებენ რატრატს: ქსენოფობია, ჰომოფობია, სიძულვილის ენა და ა. შ. მსგავს ლიბერასტულ მიეთ-მოეთს, მაგრამ რა ვქნა? ის „სიძულვილი“ ჩემი სამშობლოს სიყვარულიდან მოდის! სამშობლო, რომელიც ამ მანქურთებმა ბითუმად და „ოპტომ“ გაგვიყიდეს და ზემოთ ამიტომ დავსვი რიტორიკული კითხვა, როგორ ბედავენ სიტყვა „ეროვნულის“ ხსენებას-მეთქი?..

თანაც სად? სადაც გასული საუკუნის მიწურულს მართლაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო; სადაც ახლაც კი, როდესაც რუსთაველზე ჩავივლი, თითქოს იმ დროის „ლანდები მელაციცებიან“, თითქოს კვლავ მესმის იმ 9 აპრილის დღეს (რომლის უშუალო მონაწილეც გახლავართ. — დ. მ.) უსინათლოთა განწირული „დაუკარით“ და მერაბ კოსტავას გრგვინვა: „ეს წამი ერთ-ერთი დიდებულთაგანია“...

თანაც ვინ? გიგა ბოკერია, მიშა სააკოვი, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ა.შ., ვინც 26 მაისს იმ წმინდა ადგილზე ქართველების სისხლი დაღვარეს...

19 აპრილის წინ, ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა, როგორც სჩვევია ხოლმე, გონებამახვილურად ლექსად „იანგლა“:

**„სამწუხაროდ,**
**ვზივარ სიმწუხარეში,**
**ადრე მუდამ საქართველოს**
**ვლოცავდი.**
**ქართველი ხარ?**
**— არ მოხვიდე 19-ში!**
**სომეხი ხარ? —**
**კი, ბატონო, მობრძანდი!“**

გონებამახვილურად-მეთქი, ანუ „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა“ და მე სულაც არ გამიგია ეს, როგორც არმენოფობია, არამედ...

**საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ ე.წ. ვარდების რევოლუცია, რომელმაც ლამის ფესვიანად მოგვთხარა და ამოგვაგდო, ოკეანის გაღმა არსებული, რეაქციული სომხური ლობის პროექტია, ხოლო მისი ძირითადი შემოქმედნი აქ გვარგადაკეთებული სომხები არიან, ანუ ნასომხარები. ჰოდა, რა ვქნათ ახლა: წავიყაროთ თავზე ნაცარი და ვაიმე, ქსენოფობია ფაშისტობა არ დაგვწამონო და სიმართლე არ ვთქვათ?**

კი, ბატონო, ყოველი ადამიანის უფლებაა და ახლა ძალიან გაადვილებულიც, ვისაც რა გვარი უნდა, იმაზე დაეწერება, მაგრამ, კაცი რომ საკუთარ გვარს უარყოფს, ბაბუამისის საფლავზე რომ მივა და იქ სხვა გვარი ეწერება, ასეთი კაცი, კაცია?

ეს ჰქონდა, ალბათ, მხცოვან პოეტს უზურში და არა სომეხთა სიძულვილი. ჰოდა, ყველა ნაქართველარის, ნასომხარის, ნაფრანგალის და ა. შ. დედაც ვატირე, თორემ ყველა ერს გაუმარჯოს, მითუმეტეს თბილისელ სომხებს შემოევლოს ჩემი თავი, რომელთა შორისაც ბევრი მეგობარი მყავს!

ამიტომაც დავასათაურე წინამდებარე წერილი ასე. ახლა იმაზე, რაც ერთი შეხედვით არ უკავშირდება 19 აპრილის აქციას, მაგრამ...

„მე ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, განსაკუთრებით აქეთ ყოფნისას, ევროპაში, ამერიკაში, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის, გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა. რაც არ უნდა გამიბრაზდნენ ახლა ქართველი მსმენელები, რომლებიც თვლიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადასარჩენი კი არა, გასასამართლებელი და ასაკრძალია, მე ამას კიდევ ვიმეორებ და ყველას ვურჩევ, რომ კარგად დავუკვირდეთ, რაზეა აქ საუბარი. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც კოლექტიური დამნაშავე პოლიტიკური ძალა, ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებში და ასე შემდეგ — თუ ჩვენ ასე შორს წავედით, მაშინ ჯობია, დავიწყოთ ჯერ კომუნისტური პარტიით (ნაცების ეროვნულობის არ იყოს, რა პირით ახსენებს კომუნისტებს, როცა 9 აპრილის მეორე დღეს, როდესაც პარტიის წევრები მასიურად ხევდნენ მანდატებს, გაწევრიანდა მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილი დავით უსუფა კომუნისტურ პარტიაში(?!) — დ. მ.), მერე მივაყოლოთ მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ნაციონალური მოძრაობა, და ყველა ერთად ავკრძალოთ, გავაუქმოთ და ა. შ.“ რადიო „თავისუფლება“. 2013 წლის 17 აპრილი. პრაღა.

აი, რა ბრძანა ბატონმა დავით უსუფაშვილმა ჩეხეთში — არა, ბატონო, ეგ ქართული დემოკრატიის კი არა (მითუმეტეს ქართველი ხალხის, რომელიც მართლაც გავბრაზდით), „ლიჩნად“ რესპუბლიკური პარტიის ამოცანაა, რადგანაც მეცოცხე ნაცების ფონზე რესპუბლიკელებიც კი შედარებით სიმპათიურად გამოიყურებიან, თუმცა არც იმდენად, რაც ამ ჩვენი ცოდვით სავსე ლუის ნავარომ დაუწერა რეიტინგად — ქმარს 66, ხოლო ცოლს 59%.

ისემც კარგი დაგემართოთო, ამაზეა ნათქვამი...



**თბილისი. 2013 წლის 19 აპრილი. „ნაცმოძრაობის“ აქცია. გიორგი (ანჟელა) მაზმანიანი და მიხეილ სააკაშვილი. „საქართველოს ევროპული არჩევანი“**



**აქცია, რომელზეც „ნაცმოძრაობამ“ ახალი ეროვნული მოძრაობა დააანონსა**

ენდიაის რეიტინგები ვახსენე და ადრე, 1 ოქტომბრამდე თუ ნავარო „ქართული ოცნების“, ანუ საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მუშაობდა და ნაცების რეიტინგებით გვაოცებდა, ახლაც იმავეს სჩადის, რადგანაც, მისი ბოსების სამწუხაროდ, ნაცების უმრავლესობაში ყოფნა ველარ გაგრძელდა, ახლა ნავარო გამალებით მუშაობს, რათა როგორმე „გაუპრავოს“ ნაცებს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი და, როგორც იტყვიან, ამ ოპერიდან არის მეცოცხეთა პარტიის 53% და დავით ბაქრაძის 47-იც. ასე რომ, აქედან გამომდინარე, **19 აპრილის აქცია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაც-რესპუბლიკელების ერთიანი აქცია, სახელად კოაბიტაცია იყო!..**

კაცმა რომ თქვას, ერევანს რას ვერჩი? ასე უფრო უპრიანია 19 აპრილის შესახებ...

რადგანაც ჰომოსექსუალიზმი, ანუ ჩვენებურად და ყველასთვის გასაგებად, პედერასტობა მხოლოდ ამ საქმის პირდაპირ მიმდევრობას არ გულისხმობს (თუმცა მასეთებიც ბლომად ამოვიცანი), არამედ პედერასტობა, პირველ რიგში, „ფილოსოფია“, გნებავთ, ცხოვრების წესია — მაგალითად, სანდრო გირგვლიანს, ბუტა რობაქიძეს, გიორგი გამცემლიძეს, ზურა ვაზაგაშვილს ჯერ ქუჩაში რომ დახვრეტ და შემდეგ „დააკანტროლკებ“, ციხეში პატიმრებს რომ ცოცხით გააუპატიურებ და ა.შ. სხვა მრავალი სისაძაგლის ჩამდენი და მათი მხარდამჭერები პედერასტები არიან ყველანი, აბა, რა?

დღეს ბევრს ლაპარაკობენ, რამდენი ხალხის მიყვანა შეძლეს „ნაცებმა“ „ცოცხზე კაცის“ აქციაზე. გააჩნია ვინ, მაგრამ ყველა სათავისოდ ითვლის, ამიტომ მარჩიელობას ვერ დავიწყებ და, როგორც თვითმხილველი, ვიტყვი — პოლიტიკური პარტიისთვის, მითუმეტეს ახალი ერევნული მოძრაობის დაწყებისთვის, ნამდვილად ცოტანი იყვნენ, მაგრამ პედერასტების აღლუმისთვის ბევრზე ბევრი მეჩვენა!

**ისე, ცნობისთვის: ნაცგეი პარადის დასრულების შემდეგ, ვიღაცის ფოტოობიექტივმა ჩვენი გაბადრული პრეზიდენტი და ევროკავშირის დროშაშემოხვეული ცნობილი „ქათამი“, ანჟელა მაზმანიანი, დააფიქსირა მიშასთან ჩახუტებულ მდგომარეობაში, ალბათ, როგორც სიმბოლო, საქართველოს ევროპული არჩევანისა...**

**დავით მხეიძე**

მოკლედ

## რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზებას დასავლეთი მიესალმება

**„რა კითხვაც არ უნდა დასვას რუსეთის დელეგაციამ, ახალი ხელისუფლება ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის ერთგულია და ეს არის შეუქცევადი“. ეს განცხადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ, ტელეკომპანია მაესტროს ეთერში გაკეთა.**

„ახალი ხელისუფლება ერთგულია იმ კურსისა, რასაც ჰქვია არაღიარება ოკუპირებული ტერიტორიების. ეს ჩვენი მთავარი მიმართულებაა. ისევე, როგორც ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაა. ეს არის შეუქცევადი, ამიტომ რა კითხვაც არ უნდა დასვას რუსეთის დელეგაციამ, რა თქმა უნდა, ეს რეალობა რაც არის, აბსოლუტურად სწორად იქნება გადმოცემული და პასუხი გაცემული იქნება პრემიერის მხრიდან. აქ ნამდვილად არაფერი იცვლება“, — განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას და ეკონომიკური კავშირების აღდგენას დასავლელი პარტნიორებიც მიესალმებიან.

**„ის, რომ ჩვენი ტერიტრიები არის ოკუპირებული, ეს ცალსახაა და საქართველო ამასთან დაკავშირებით უკან დახევას არ აპირებს, თუმცა უნდა მოხდეს ურთიერთობის ნორმალიზება და ეკონომიკური კავშირების აღდგენა. ჩვენ ვართ ერთგული დასავლური კურსის და არანაირი საშიშროება ამ კურსს არ ელოდება“,** — აღნიშნა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

**რაც შეეხება საჯარო განხილვას, იგი კობა დავითაშვილს არ წამოუწყია. თუ პარლამენტარები ან ჯანდაცვის სამინისტროს მოხელეები ერთხელ მაინც მივლენ სადაზღვევო კომპანიაში და პენსიონერების რიგში ჩადგებიან, ბევრად უფრო მკვახე შეფასებებს მოისმენენ. პარლამენტარებსა და ჯანდაცვის მინისტრს შეუძლიათ ამ „გაუგებრობას“ წერტილი დაუსვან, თუმცა გაუგებრობა, რომელშიც პენსიონერები მოხვდნენ, კერძო სადაზღვევო კომპანიების წყალობით, მინისტრისა და უმრავლესობის შეხვედრით, ძნელი სავარაუდოა, რომ ამოიწუროს.**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევრიკა! «არქიმედე» შიშველია!

## ანუ რატომ ეჩხუბა ივანიშვილი დავითაშვილს?

**კობა დავითაშვილის განცხადებას სადაზღვევო სფეროს მოუწესრიგებლობის შესახებ სტრასბურგიდან პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ასე გამოეხმაურა: „ვესაუბრე კობა დავითაშვილს და საკმაოდ ვეჩხუბე. მან უნდა მოახერხოს და ჯერ საკუთარ გუნდში უნდა გააკეთოს განმარტებები. იგი მუდამ ახერხებს გარედან ინფორმაციის შემოტანას და თანაც ისე, რომ ეს არაფერს ეფუძნება. ძალიან საწყენი იყო, რომ დავითაშვილმა ეს გააკეთა. მე მას ავუხსენი, რომ, თუ მას სურს გუნდში დარჩენა, გუნდს ანგარიში უნდა გაუწიოს და ინფორმაცია პირველად გუნდში გააჟღეროს. ელემენტარული წესები არსებობს ყველაფერში. სერგეენკო უპატიოსნესი კაცია და ეს თემა არის ხელოვნურად მოგონილი. არავითარ კორუფციას არ აქვს ადგილი, ის აბსოლუტურად წესიერი კაცია“.**





**550 ლარად ღირებული სახელმწიფო დაზღვევა თავისთავად არ უზრუნველყოფს მაღალტექნოლოგიურ ოპერაციას, მაგრამ, როგორც ვარკვევ, იმ ერთ კლინიკაში, რომელსაც «არქიმედე» დაჟინებით «ურჩევს» პენსიონერებს, ამ ოპერაციას 250 ლარად აკეთებენ**

თავის დროზე, როცა პარლამენტის თავმჯდომარემ (და არა მარტო) სერგო რატიანთან „მაესტროს“ სტუდიაში დაპირისპირების გამო კობა დავითაშვილი საჯაროდ გაკიცხა, მაშინ პრემიერს გუნდურობის პრინციპის დარღვევის გამო უსუფაშვილისთვის შენიშვნა არ მიუცია. **საფიქრებელია, რომ ასეთ სიტუაციებში მნიშვნელობა იმას აქვს, თუ ვინ მიაწვდის ინფორმაციას პირველი და რომელ ინტერპრეტაციაში დაარწმუნებს პრემიერს.**

„გარედან შემოტანილი ინფორმაცია, რომელიც არაფერს ეფუძნება“, — საქართველოში ყველამ იცის, ვისაც ძვირადღირებულ კლინიკებში ან უცხოეთში მკურნალობის არანაირი საშუალება არ აქვს. **დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერ-მინისტრს ინფორმაცია იმგვარად მიაწოდეს, თითქოს კობა დავითაშვილმა რაღაც ისეთი გააკეთა, რაც „ქართული ოცნების“ ერთიანობას საფრთხეს უქმნის. არც იმას გამოვრიცხავ, რომ სტრასბურგში ამ კითხვის დასმა, როცა პრემიერს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები აქვს, სწორედ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ სიტუაციაში გარკვევამდე მისთვის მკვახე კომენტარი გამოეტყუებინათ.**

მაინც რა თქვა კობა დავითაშვილმა ისეთი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება?

ის, რომ პენსიონერებისა და 6 წლამდე ბავშვების პოლისებს სახელმწიფო კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან იძენს, ანუ სახელმწიფო ფული მიდის კერძო სადაზღვევო კომპანიებში.

ის, რომ ამ ფულის უდიდესი ნაწილი სადაზღვევო კომპანიებში რჩება. ეს თანხა 57 პროცენტს შეადგენს და სადაზღვევო კომპანიის ადმინისტრაციას ხმარდება.

ის, რომ ამ სადაზღვევო კომპანიებს კონტრაქტები, რომლებიც 2013 წლის 1 აპრილს უმთავრდებოდათ, ჯანდაცვის სამინისტრომ ერთი წლის ვადით გაუგრძელა.

ის, რომ, სადაზღვევო კომპანია „არქიმედე გლობალ ჯორჯიას“ წყალობით, ავტოავარიაში მოყოლილი, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მკურნალობა საავადმყოფოში არ დაიწყეს იმის გამო, რომ სადაზღვევო კომპანია მოითხოვდა, ჯერ დადგენილიყო, ვისი ბრალეულობით მოხდა ავტოკატასტროფა(!), რაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გარეშე ვერ დადგინდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი წელი უნდა გასულიყო, რათა ეს დადგენილიყო და მერე დაიწყებოდა პაციენტის მკურნალობა. ეს ქალბატონი სადაზღვევო კომპანიისა და კლინიკის უპასუხისმგებლობის გამო გარდაიცვალა.

**და რა არის აქ ტყუილი?**

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს“ დირექტორი უმრავლესობის ლიდერის — დავით საგანელიძის ძმისშვილია,** ჩემთვისაც ცნობილია მას შემდეგ, რაც „არქიმედესთან“ შეხება მომიწია. საინტერესოა, **როგორ აღმოჩნდა დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ძმიშვილი დავით კეზერაშვილის კომპანიის დირექტორი?** თუმცა ამ კითხვაზე პასუხი „ქართული ოცნების“ იმ ლიდერებს, რომლებიც კობა დავითაშვილს ამ ამბის „გარეთ გატანაში“ ადანაშაულებენ, არ გაუციათ.

დავითაშვილმა ამბავი გარეთ კი არ გაიტანა, არამედ გარედან — ხალხიდან პარლამენტში შეიტანა და პარლამენტარის მოვალეობა სხვა არც არაფერია; მან სწორედ ხალხის სატკივარი უნდა მიიტანოს კანონმდებლებამდე და მთავრობამდე! ახლა — იმის შესახებ, თუ როგორ ექცევა ეს სადაზღვევო კომპანია პენსიონერებს. თავად რომ არ გადამხდენოდა ეს ისტორია, შეიძლება, მეც შემეტანა ეჭვი კობა დავითაშვილის განცხადების სისწორეში.

**პირველი უტიფარი ტყუილი** იყო ის, რომ „არქიმედეს“ მენეჯერმა თვალისდაუხამხამებლად გვამცნო — **„ნიუჰოსპიტალთან“ ხელშეკრულება აღარ გვაქვსო.** სინამდვილეში ხელშეკრულება 30 აპრილის ჩათვლით მოქმედებს, მაგრამ კატარაქტიან პენსიონერებს სხვა კლინიკაში აგზავნიან, ოღონდ ოთხთვიანი რიგში დგომის შემდეგ და თან არწმუნებენ, რომ ის საუკეთესო თვალის კლინიკაა. არადა, სექტემბერში იგივე სადაზღვევო კომპანია ირწმუნებოდა, რომ სწორედ „ნიუჰოსპიტალია“ საუკეთესო კლინიკა! **550 ლარად ღირებული სახელმწიფო დაზღვევა თავისთავად არ უზრუნველყოფს მაღალტექნოლოგიურ ოპერაციას, მაგრამ, როგორც ვარკვევ, იმ ერთ კლინიკაში, რომელსაც „არქიმედე“ დაჟინებით „ურჩევს“ პენსიონერებს, ამ ოპერაციას 250 ლარად აკეთებენ.** თუ ვინმე ფიქრობს, რომ პაციენტებს იმ კლინიკაში მოტყუებით, მატერიალური დაინტერესების გარეშე უშვებენ, პირადად მე ამის დაჯერება ძალიან გამიჭირდება.

ლაპარაკიც არ ღირს გაცილებით უფრო მძიმე შემთხვევებზე. კობა დავითაშვილის ეს განცხადება უამრავი კონკრეტული მაგალითით შეიძლება გამყარდეს: „მაინტერესებს, მაგალითად, გადაუდებელი ოპერაციების ჩამონათვალში რატომ არის აუცილებელი, ადამიანი მივიდეს სიკვდილის პირას, რომ დაფინანსდეს მისი ოპერაცია. მაგალითად, მეც და ძალიან ბევრს აწუხებს ჩაჭედილი თიაქარი, რომელიც უმძიმეს ტკივილს იწვევს. ამ პროგრამით არ ფინანსდება. თუ დაიწყო ნეკროზი და კვდომა სხეულმა, მარტო მაშინ აფინანსებს სახელმწიფო. მე მაინტერესებს, როცა ადამიანი, რომელსაც ერთ დღეში დაეწყება ნეკროზი, რატომ უნდა დაველოდოთ მისი სხეულის ნეკროზს, რომ ის დავაფინანსოთ? ვინ მოიფიქრა ეს პროგრამა“?

კობა დავითაშვილის განცხადებამდე კი არა, არჩევნებამდეც პენსიონერები ხშირად უჩიოდნენ „არქიმედეს“ გაუთავებელი რიგებისა და სივიწროვის გამო. **ამ კომპანიამ ისე ჩაიგდო სახელმწიფო დაზღვევის თანხები ხელში, რომ არავის შეუმოწმებია, რა პირობებში ემსახურებოდა იგი პენსიონერებს.** „არქიმედეს“ მომსახურება იმდენად „მოწინავეა“, რომ ერთ ოთახში ქალსა და მამაკაცს ერთდროულად სინჯავენ, ოჯახის ექიმის გამოძახებას კი მთელი დღე უნდა ელოდო, რომ დღის ბოლოს მკვახედ მოგიჭრან: — საერთოდ არ ვართ ვალდებული, ექიმი გამოვგზავნოთ!

„ქართული ოცნების“ დეპუტატები დავითაშვილს საყვედურობენ, მაგრამ თუნდაც ერთ მათგანს რომ მოუწიოს სადაზღვევო მედიცინით სარგებლობა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ აყვირდებიან! გია ცაგარეიშვილი აცხადებს: „ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა და მე მესმის, რატომ ნერვიულობს ბატონი კობა ამ მიმართულებით, იმიტომ, რომ არჩევნებამდე დაპირებები იყო საკმაოდ დიდი. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ამ მიმართულებით საქმე ასე ტრაგიკულად არ არის და ეს განმარტებები მე დღესაც მივიღე კომიტეტის თავმჯდომარისგან, ბატონი ხუნდაძისგან. რატომ ვერ მიიღო ბატონმა დავითაშვილმა თავისი კომიტეტის თავმჯდომარისგან ეს განმარტებები, სჯობს მას ჰკითხოთ“.

რამდენად ტრგიკულია ვითარება, ამის განმარტებებს კომიტეტის თავმჯდომარეზე უკეთ ის პაციენტები გააკეთებენ, რომელთაც კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობა მოუწიათ, თუმცა მათ სიტყვას რა ფასი ექნება, თუ პარლამენტის წევრის ნათქვამ სიმართლეს ასეთი ალიაქოთი მოჰყვება?

ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე არ იზიარებს განცხადებას, რომელიც უკავშირდება დავით სერგეენკოს რაიმე კავშირს კორუფციასთან, ხოლო აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით აცხადებს: „შესაძლებელია, რომელიმე დეპუტატს კითხვები აქვს ჯანდაცვის მინისტრთან, ეს არის საკითხი, რომელიც ძალიან მარტივად გადასაწყვეტია. სერგეენკო შეხვდება უმრავლესობას და ყველა კითხვას გასცემს პასუხს. მე დარწმუნებული ვარ, ეს არის გაუგებრობა, რომელსაც ნამდვილად დაესმევა წერტილი, რადგან ეს არ იყო თემა, რომელიც საჯარო განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო“.

მრავალი წელია, მანანა კობახიძეს ვიცნობ, როგორც პრინციპულ და სამართლიან ადამიანს, ადვოკატს და უფლებდამცველს. არც მე მჯერა, რომ სერგეენკოს კორუფციასთან რაიმე კავშირი აქვს, მაგრამ იგი მარტო არ არის ჯანდაცვის სფეროში და „კოაბიტირებულ“ ძველ მოხელეებზე თავს ვერც მე დავდებ და ვერც ვერავის ვურჩევ!

ისიც ხომ ფაქტია, რომ დაზღვევით სარგებლობა ბევრი პენსიონერისთვის პრობლემად არის ქცეული, ხოლო მომსახურების ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს? **რაც შეეხება საჯარო განხილვას, იგი კობა დავითაშვილს არ წამოუწყია. თუ პარლამენტარები ან ჯანდაცვის სამინისტროს მოხელეები ერთხელ მაინც მივლენ სადაზღვევო კომპანიაში და პენსიონერების რიგში ჩადგებიან, ბევრად უფრო მკვახე შეფასებებს მოისმენენ. პარლამენტარებსა და ჯანდაცვის მინისტრს შეუძლიათ ამ „გაუგებრობას“ წერტილი დაუსვან, თუმცა გაუგებრობა, რომელშიც პენსიონერები მოხვდნენ, კერძო სადაზღვევო კომპანიების წყალობით, მინისტრისა და უმრავლესობის შეხვედრით, ძნელი სავარაუდოა, რომ ამოიწუროს.**

ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგში ვიზიტისას კობა დავითაშვილის განცხადებების შესახებ დასმული კითხვებით იმდენად გაალიზიანეს, რომ მან დაუფარავად თქვა: „ვესაუბრე კობა დავითაშვილს და საკმაოდ ვეჩხუბე. მან უნდა მოახერხოს და ჯერ საკუთარ გუნდში უნდა გააკეთოს განმარტებები... ძალიან საწყენი იყო, რომ დავითაშვილმა ეს გააკეთა. მე მას ავუხსენი, რომ, თუ მას სურს გუნდში დარჩენა, გუნდს ანგარიში უნდა გაუწიოს და ინფორმაცია პირველად გუნდში გააჟღეროს“.

**დარწმუნებული ვარ, როდესაც პრემიერი თბილისში დაბრუნდება და საკითხში გაერკვევა, იგი კობა დავითაშვილს მადლობას ეტყვის, თუმცა ეს არ არის მთავარი. მთავარია, პენსიონერებს ეშველოთ და დაზღვევას მოევლოს, ეს კი ისე ვერ მოხდება, თუ ერთი დეპუტატი მაინც არ წამოდგება და არ იტყვის: „ევრიკა! „არქიმედე“ შიშველია!**

გეოპოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და მაინც, დაიდება თუ არა ახალი გეორგიევსკის ტრაქტატი? დავთმობთ თუ არა რწმენას იმისთვის, რომ „ახლობლის ახლობელს“ არ ვაწყენინოთ? სტრატეგიული პარტნიორი ჩვენი ორთოდოქსული რელიგიის გადასარჩენად, ალბათ, დიდად არ შეწუხდება... თუმცა როგორ უნდა დაიდოს ტრაქტატი, როდესაც ქვეყანას პატარა კახის ნაცვლად დიდი გაუგებრობა მართავს?!**

# ყარსიდან გეორგიევსკამდე

# დაიდება თუ არა ახალი ტრაქტატი?






**ინტერნეტში გავრცელდა თურქი პუბლიცისტის, უმიტ ნაზმის სტატია „გახდება თუ არა თურქეთი ანატოლიის შეერთებული შტატები?“. მასში ავტორი თურქეთის სავარაუდო დანაწევრებაზე საუბრობს და იმასაც აღნიშნავს, რომ ეს აშშ-სა და ევროკავშირს სურს. „თურქეთის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციასთან ერთად, შესაძლოა, აღნიშნული სახელმწიფოს ტოპონიზმის შეცვლაც, რადგანაც „თურქობა“ – ეს არაა იდენტურობა, არამედ ერთ-ერთია ეთნიკურობებიდან.**

**ასე რომ, ჩნდება შემდეგი კითხვები:**

**პირველი: დაამთავრებს თუ არა თურქეთი თავის არსებობას, როგორც ეროვნული სახელმწიფო?**

**მეორე: როგორად მოგვევლინება თავისი რესპუბლიკის 100-წლიან იუბილეზე 2023 წელს — როგორც ანატოლიის შეერთებული შტატები თუ დაიშლება ნაწილებად ცალკე გასულ ქურთისტანთან ერთად?“ — წერს უმიტ ნაზმი.**

> **ცოტა ხნის წინ გაზეთმა MILLIYET-მა «ახალი თურქეთის რუკა» გამოაქვეყნა. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, რუკაზე თურქეთის შემადგენლობაში, დღევანდელი ტერიტორიების გარდა, შედის კუნძული კვიპროსი, ჩრდილოეთ საბერძნეთი, სირიის ჩრდილოეთის რეგიონები და ჩრდილოეთ ერაყი, ბულგარეთის, საქართველოს, ირანის ნაწილები და აზერბაიჯანის ნახჭევანი**

თუ თურქულ პრესას გადავხედავთ, ასეთი განწყობის მაგივრად ისეთ სურათს წავაწყდებით, რომლის შესახებაც ძალიან მონდომებულად საუბრობს თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი.

ცოტა ხნის წინ გაზეთმა Milliyet-მა „ახალი თურქეთის რუკა“ გამოაქვეყნა. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, რუკაზე თურქეთის შემადგენლობაში, დღევანდელი ტერიტორიების გარდა, შედის კუნძული კვიპროსი, ჩრდილოეთ საბერძნეთი, სირიის ჩრდილოეთის რეგიონები და ჩრდილოეთ ერაყი, ბულგარეთის, საქართველოს, ირანის ნაწილები და აზერბაიჯანის ნახჭევანი.

როგორც რიგი ექსპერტებისა მიიჩნევენ, თურქეთი ამ ტერიტორიების ერთ წნეხქვეშ მოქცევას ისლამის მეშვეობით შეეცდება.

თურქეთის ასეთი სცენარი, საქართველოს, წესით, არ უნდა გაუკვირდეს, თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიას კარგად გადავიკითხავთ. საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ მრავალი საუკუნის მანძილზე ცდილობდა სხვადასხვა დამყრობელი მის გამაჰმადიანებას, მიუხედავად ამისა, დღეს ქართველი ერი მაინც მართლმადიდებლური რჯულით ცხოვრობს.

იცვლება დრო და იცვლება ბრძოლის წესებიც. ადრე თუ მტერი შემოგვესეოდა და გვაოხრებდა, ახლა ხელსაყრელი ბიზნესგარემოსა და მზარდი ინვესტიციების ნიღბით შემოდის ქართულ მიწა-წყალზე. ნატოსა და ევროკავშირს მოწყურებულმა ქართველმა ერმა თავიდან ეს პროცესი ვერ შენიშნა, თუმცა უკვე მიღებული შედეგით დაინახა, რომ თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, კერძოდ კი დავით აღმაშენებლის გამზირი სტამბოლის პატარა ფილიალია, ბათუმში კი კვლავ აზიზის მეჩეთს აშენებენ, მაშინ, როდესაც ოშკი და იშხანი განადგურების პირასაა.

**„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“,** — წერდა ილია ჭავჭავაძე.

ილია მართალი, რომელიც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, საქართველოს ზუსტად ამ სამი შემადგენელით ახასიათებდა „ენა, მამული, სარწმუნოება“. როგორც კი ამ „სლოგანიდან“ ერთ-ერთი კომპონენტი დაიკარგება, აღარც საქართველო იარსებებს. ჩვენი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორის სტრატეგიული „ახლობელი“, როგორც ჩანს, კარგად მიხვდა ამ სიტყვების აზრს და ყველაფერიც ზუსტად თურქულენოვანი აზრებით დაიწყო...

ილია ჭავჭავაძე გარდა იმისა, რომ პატრიოტიზმით იყო გამსჭვალული, არც ტოლერანტობის გრძნობას კარგავდა არასოდეს და არც ის უთქვამს, „საქართველო — მუსლიმების გარეშე“-ო.

**„ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის — მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებას“.**

თუ საქართველოს ისტორიას დავუბრუნდებით, შეგვიძლია მაგალითად 1712 წლის ყანდარის იერიშიც მოვიყვანოთ, რომლის შემდეგაც შაჰმა თავისთან ვახტანგი დაიბარა.

ვახტანგი თავისი ამალით ირანში გაემგზავრა. მას თან ახლდა სულხან-საბა ორბელიანიც. ქართლის მეფედ დანიშვნისთვის მთავარი პირობა გამაჰმადიანება იყო. ვახტანგმა გამაჰმადიანებაზე უარი განაცხადა, რასაც მისი დატყვევება მოჰყვა.

**„თურქებმა ჯავრი ქალაქზე იყარეს, გაანადგურეს და ააოხრეს ყველაფერი, რაც რუსებმა დაინდეს. სახლებმა, რომლებიც შემორჩენილი იყო ციხე-სიმაგრის გარშემო, დიდი დაბრკოლება შეუქმნეს რუსებს, ვინაიდან იქ დაბანაკებული თურქები ცეცხლს უხსნიდნენ ალყაშემორტყმულებს. მათი გაქცევის შემდეგ, რუსები იძულებულნი გახდნენ, გაეწმინდათ ეს ადგილი. მათ აიღეს ციხესიმაგრის გარშემო არსებული ყველა სახლი და ნანგრევი...**

**ეს ქალაქი (ახალციხე) თურქების დროს აწარმოებდა საკმაოდ მნიშვნელოვან ვაჭრობას. საფაშოს მთავარ ქალაქში განვითარებული იყო მრეწველობა. მას კავშირი ჰქონდა ყარსთან და არზრუმთან. ამასთანავე, ახალციხეში იყო მონათა მნიშვნელოვანი ბაზარი. იგი ხელმისაწვდომი იყო ლეკებისთვის, რომლებიც არა მარტო მსახურობდნენ ფაშათა დროშის ქვეშ, არამედ იყენებდნენ ყველა შესაძლებელ შემთხვევას, რათა მოეტაცებინათ ქართველები, რომლებიც მათ ადვილად გადაჰყავდათ თურქთა საზღვრებზე. თუმცა რუსებმა იმდენი დაბრკოლება შეუქმნეს, რომ მალე ახალციხე აღარ იქნება მონათა ბაზარი“,** — წერს ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე სამცხე-ჯავახეთის შესახებ, სადაც რაბათის ციხის რეაბილიტაციისთვის მილიონები დაიხარჯა.

თურქულ პრესაში გავრცელებული სხვა სტატიის მიხედვით კი, ჩვენი მეზობელი ძალიან განიცდის საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს.

**„დღეს საქართველო ორიენტირებულია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაზე სომხეთთან, რუსეთის მოკავშირესთან სამხრეთ კავკასიაში, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა. მითუმეტეს, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმისას საქართველო თითქოს არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას აზერბაიჯანისა და თურქეთის სავარაუდო რეაქციას, რომელთანაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ერთ რეგიონულ**

▶

**მიხეილ მაჭავარიანი: „რატომ უნდა დავერბიეთ? ჩვენ არაფერი დაგვირღვევია; თუ ახლა მაინც და მაინც განვიხილავთ იმ ალბათობას, რომ რამე მომხდარიყო, ეს იქნებოდა ძალიან დიდი შეცდომა ხელისუფლების მხრიდან, ფაქტობრივად, პოლიტიკური თვითმკვლელობა“.**

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბლოკში აღმოჩნდა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ურთიერთობებს ავითარებდა. ამასობაში, ეს სიტუაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გასვლით წერტილს, რომელიც გვაძლევს უფლებას, ვამტკიცოთ, რომ კონკურენციის სეისმური აქტივობა სამხრეთ კავკასიაში იზრდება...**

**როგორც საქართველო, ისევე სომხეთიც ქვეყნებია, რომლებიც ორიენტირებულები არიან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პროექტის შემადგენლობაზე, რომლის მიზანიც მისი მთელ ევრაზიაში გავრცელებაა. ამ ინიციატივის წარმატებამ და საქართველოს, დასავლეთის მოკავშირის შემოერთებამ ამ გაერთიანებაში, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში ევროატლანტიკური მსოფლიოს აღმოფხვრას და რუსეთის მრავაპოლარულობის შესახებ კონცეფციის ამუშავებას შეუწყოს ხელი“,** — წერს გეკტერიუკ ტიუსიუზოლლუ.

თურქებს ისტორიამ ჭკუა ასწავლა და არც გეორგიევსკის ტრაქტატი დავიწყებიათ, როგორც ჩანს. რაც უნდა ბევრი იკამათოს ისტორიკოსებისა და ექსპერტების ჯგუფმა აღნიშნული ტრაქტატის შესახებ, ფაქტი ერთია: თავად ტრაქტატის ტექსტში ოთხჯერაა მოხსენიებული ერთმორწმუნეობა...

**„ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პილიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო, ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ამისთვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედისგამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად“,** — წერდა წმინდა **ილია მართალი.**

**და მაინც, დაიდება თუ არა ახალი გეორგიევსკის ტრაქტატი? დავთმობთ თუ არა რწმენას იმისთვის, რომ „ახლობლის ახლობელს“ არ ვაწყენინოთ? სტრატეგიული პარტნიორი ჩვენი ორთოდოქსული რელიგიის გადასარჩენად, ალბათ, დიდად არ შეწუხდება... თუმცა როგორ უნდა დაიდოს ტრაქტატი, როდესაც ქვეყანას პატარა კახის ნაცვლად დიდი გაუგებრობა მართავს?!**

**მაია ჩუბინიშვილი**

# «ნეონაცმოძრაობა,» ანუ «ვანოს გზა» და ახალი ეროვნული ბლეფი

**19 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე სატინგიცოდ გამოსულმა „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურმა ბანდამ კიდევ ერთხელ პირწმინდად დაამტკიცა, რომ სააკაშვილის ავადმყოფური ფანტაზია ნამდვილად უსაზღვრო და უკიდეგანოა; რომ უკვე მართლაც და 100 პროცენტით შეურაცხად „მამამთავარს,“ რომელსაც საკუთარი დაცვაც ვერ აკავებს და სად, რომელ ტრაილერს ჩაუვარდება, ექსპრესს თუ „პოვოსკას,“ კაცმა არ იცის, ყოველგვარი მუხრუჭები გამწყდარი აქვს.**



19 აპრილის დადგომას ყველა ერთად ველოდით და მიმდინარე დაძაბული პროცესების კვალდაკვალ ინტერესიც საკმაოდ დიდი იყო; განსაკუთრებით იმ პროვოკაციის შემდეგ, რომელიც სააკაშვილის საპარლამენტო აქტივმა ბიბლიოთეკის შენობასთან მოაწყო, ეს ინტერესი გამძაფრდა, მაგრამ იმან, რაც საბოლოოდ ვიხილეთ და მოვისმინეთ, ვაღიაროთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ ეროვნულ მოძრაობას იწყებს, ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი ვაშაძემ აქციის დაწყებისთანავე განაცხადა და იქვე ისიც დასძინა, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რუსეთის სიძულვილს. მოკლედ, გუნდი, რომელიც აქამდე ცალსახად პროამერიკული იყო და რომლის პოლიტიკასაც ერთმნიშვნელოვნად „თეთრი სახლი“, უშუალოდ ამერიკის სენატი განსაზღვრავდა, რაც თეორიულად და გნებავთ, პრაქტიკულადაც ნიშნავდა სწორედ ეროვნული ფასეულობების დაყენებას კითხვის ნიშნის ქვეშ, უცებ ეროვნული მოძრაობის მეციხოვნე და ტრუბადური გახდა. **სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, დღეს ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავას, გიგა ბოკერიასა და სხვა მამალი „ნაცებისგან“ ასეთ რიტორიკას რომ ვისმენდეთ იმ ადგილიდან, სადაც ორი წლის წინ, იმავე მერაბიშვილის პირადი ბრძანებით, უდანაშაულო ხალხი ჩახოცეს, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში სხვა რამაა: მთავარია, რაში დასჭირდა ყოფილ ხელისუფლებას ამგვარი საკითხებით მანიპულირება, მაშინ, როცა ოკეანის გაღმიდან სააკაშვილსა და მის დამქაშებს ადრინდელივით ისევ კბილებით იცავენ.** საქმე ისაა, რომ მარტო ვაშინგტონიდან მიღებული დივიდენდები საკმარისი არ აღმოჩნდა პოლიტიკური დღეგრძელობისთვის.

მიუხედავად თვით შვილიბუშის დაჟინებული მტკიცებისა, სააკაშვილი დემოკრატიის პროჟექტორიაო, ვერც ის და ვერც მისი ხელის ბიჭუნები ხალხმა ფრთიან ანგელოზებად ვერ აღიქვა. **საბოლოოდ „ნაცმოძრაობა“ მიხვდა ან მიახვედრეს მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელია; ანუ ხალხის პოლიტიკური კულტურა მეტ-ნაკლებად გაიზარდა და ძალაუფლების ხელახლა მოპოვება 9 წლის წინანდელი მეთოდებით ვერ მოხერხდება.** ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მათი მხრიდან, ალბათ, სავსებით ლოგიკურია იმ თემებით მანიპულირება, რომლებიც მათივე მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად მთელი ამ წლების მანძილზე ყველაზე პრობლემური იყო. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ესაა ეროვნული ფასეულობები, თვითშეგნება და ცნობიერება, რომლის მიზანმიმართულ ნგრევაშიც ჩემ მიერ ზემოჩამოთვლილ პიროვნებებს ლომის წილი მიუძღვით.

მოკლედ, არ ვიცი, რა შანსი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ თუნდაც შორეულ პერსპექტივაში და ვერც იმას განვსაზღვრავთ წინასწარ, რა ჭკუაზე იქნება ორი-სამი წლის შემდეგ გზასაცდენილი ქართველი ხალხი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: სააკაშვილს, მერაბიშვილს, უგულავას, ბოკერიას, საზღვარგარეთ ვირთხასავით გაქცეულ ადეიშვილსა და მათ კრიმინალურ ბანდას რეალობის შეგრძნება კვლავ დაკარგული აქვთ, ამიტომ იმის ნაცვლად, რომ დღეს განსასჯელის სკამზე დასაჯდომად ემზადებოდნენ, ისევ რეაბილიტაციაზე, ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე ფიქრობენ. შეიძლება ითქვას, რომ 19 აპრილს მათ ეს პროცესი ოფიციალურად დაიწყეს და აწი, ალბათ, იქამდე არ მოისვენებენ, სანამ ან ნაციონალურ დაბრუნებას, ან ნაციონალურ აპოკალიფსს არ ვიხილავთ. ყოველ შემთხევაში ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, რაც შეეხება ისევ „ახალ ეროვნულ მოძრაობას“, მის გეგმებსა და პრიორიტეტებზე 19 აპრილის აქციის დასრულების შემდეგ „საქართველო და მსოფლიო“ თავად საპარლამენტო უმცირესობის წევრებს გაესაუბრა:

**გოგა ხაჩიძე:**

— 19 აპრილის აქციას უამრავი მიზანი ჰქონდა და მათ შორის მთავარი დეკლარირებულია. ეს არის ის, რომ ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც ყოველთვის აღუდგება წინ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. ბევრჯერ უნახავს ისტორიას მიძინებული ქართველი ერი იმპერიის უზეში შეფარებული და 37 მანეთად გაყიდული. ასე რომ, კიდევ ვიმეორებ, განსხვავებული ძალის არსებობა ვერც ამ აქციის გარეშე წარმოჩინდებოდა, ვერც იმ აქტიურობის, რომელსაც ჩვენ მუდმივად გამოვხატავთ, და ვერც ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე...

**— წლების მანძილზე თქვენი ხელისუფლება აკრიტიკებდა ოპოზიციას იმის გამო, რომ მათ პროცესები ქუჩაში გადაიტანეს...**

— ეს არის ტყუილი.

**— არაერთი განცხადება მოგვისმენია.**

— უკაცრავად, მაგრამ აქ ვინმეს ხედავთ, რომ საპარლამენტო მანდატებს ჭრიდეს და მერე იწყებდეს ქუჩაში ქვების სროლას, ფარებით, ხელკეტებით გამოვარდნას, გალიების ჩადგმას, ქვეყნის ეკონომიკის გაჩერებას და მტრის წისქვილზე წყლის დასხმას? თქვენ საიდან ბრძანდებით, ძალიან მაინტერესებს?

**— გაზეთიდან „საქართველო და მსოფლიო“.**

— კარგია, გილოცავთ...

**— აქციამ, საბედნიეროდ, მშვიდობიანად ჩაიარა და ცხადია, ეს მისასალმებელია, მაგრამ, ვინაიდან წინა დღეებში ბევრს საუბრობდნენ საფრთხეებზე, მაინც მინდა გკითხოთ: რომ მომხდარიყო უბედურება, შემოვარდნილიყო სპეცრაზმი, დაერბია მშვიდობიანი მომიტინგეები და ყოფილიყო მსხვერპლი, რა შეფასებას მისცემდა ამას თქვენი გუნდი?**

— **ეს იქნებოდა ხელისუფლების მხრიდან ძალიან უგუნური ნაბიჯი და მე მათ არ ვაკადრებ, რომ ასეთი უგუნურები არიან. თავიდანვე გამოვრიცხავდი ასეთ რამეს, ვინაიდან არ მეგულება დღევანდელ მმართველ გუნდში ადამიანი, რომელიც ამაზე წავიდოდა.**

**ხათუნა გოგორიშვილი:**

— არანაირ საფრთხეებს არ განვიხილავდი, რა საფრთხე უნდა ყოფილიყო: მშვიდობიან აქციას დაერეოდნენ და დაარბევდნენ?! **არ მგონია, რომ ასეთი ჭკუამოკლე ხალხი იყოს დღეს ხელისუფლებაში, რომ ამაზე წასულიყვნენ, მაგრამ, თუ წავიდოდნენ, ამით დაამთავრებდნენ თავიანთ პოლიტიკურ მომავალს.**

**მიხეილ მაჭავარიანი:**

— არანაირ საფთხეებს არ ველოდებოდი, ეს იყო მშვიდობიანი აქცია: შევიკრიბეთ, დავაფიქსირეთ პოზიცია და დავიშალეთ. **რატომ უნდა დავერბიეთ? ჩვენ არაფერი დაგვირღვევია; თუ ახლა მაინც და მაინც განვიხილავთ იმ ალბათობას, რომ რამე მომხდარიყო, ეს იქნებოდა ძალიან დიდი შეცდომა ხელისუფლების მხრიდან, ფაქტობრივად, პოლიტიკური თვითმკვლელობა,** იმიტომ, რომ, კიდევ ვიმეორებ, ეს იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი აქცია, რომელიც ჩატარდა ნორმალურად და კანონის სრული დაცვით.

**— სხვა ქალაქებში თუ გამართავთ მსგავს აქციებს?**

— არა, აქ თითქმის ყველა რეგიონიდან იყვნენ ჩვენი აქტივისტები ჩამოსული, ვისი ჩამოყვანაც შევძელით. ასე რომ, ჯერჯერობით ეს იყო მხოლოდ თბილისის აქცია.

**კობა ხაბაზი:**

— ჩვენ ჩვენს თანამებრძოლებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც აქციაზე იყო მოსული, მოვუწოდეთ, მაქსიმალურად შეეკავებინათ თავი ყოველგვარი პროვოკაციისგან, გართულებებისგან და სიტუაციის დაძაბვისგან, მაგრამ თუ მაინც რამე მსგავსი მცდელობა იქნებოდა, არ გაეცათ პასუხი, მოეხადათ ბოდიში და დაეტოვებინათ ტერიტორია. ასე რომ, ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, იყო ხელისუფლებაზე. თუ რამე მოხდებოდა, თუნდაც უმნიშვნელო ინციდენტი, უმნიშვნელო პროვოკაცია, მმართველი გუნდი მთლიანად აგებდა პასუხს, ეს მათთვის იქნებოდა დიდი ლაქა. რამე უფრო სერიოზულზე საერთოდ ლაპარაკი არ მაქვს, ამით საბოლოოდ დაისამარებდნენ თავიანთ მომავალს და წერტილს დაუსვამდნენ ყველანაირ პერსპექტივას.

**— მოსული ხალხის რაოდენობით თუ ხართ კმაყოფილი?**

— კმაყოფილი ვიქნები ერთადერთ შემთხვევაში: როდესაც ყველა ადამიანი, რომლისთვისაც დასავლური ღირებულებები მნიშვნელოვანია, გამოვა და დადგება ჩვენთან ერთად. საერთოდ, რაოდენობაზე ყურადღება არ გამიმახვილებია, იმიტომ, რომ ჩემთვის მთავარია ხარისხი და ის, თუ რას ითხოვენ მიტინგზე. მე მგონი, ათიათასობით ადამიანი მოვიდა. ასე რომ, საერთო ჯამში, ნამდვილად კმაყოფილი ვარ.

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. როგორც ხედავთ, ყველა „ნაციონალმა“, რომელთაც საუბრის დროს დარბევა და სპეცრაზმი ვუხსენე, გაკვირვებულებმა კითხვაზე კითხვითვე მიპასუხეს, რატომ უნდა დავერბიეთ მშვიდობიანი მანიფესტანტებიო. აბსოლუტურად ლოგიკურია, მაგრამ 26 მაისის შემოქმედის, თხემით ტერფამდე ქართველთა სისხლში ამოსვრილი ვანო მერაბიშვილის თანაგუნდელებს: ხაბაზს, გოგორიშვილს, ხაჩიძესა თუ მაჭავარიანს ამ კითხვის დასმის დროს, წესით, ცოტაოდენი სიწითლე მაინც უნდა დასტყობოდათ სახეზე. მერწმუნეთ, მსგავსი არაფერი შემინიშნავს...**

ვერსია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ასევე, არსებობენ მოწმეები თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ჩინოსნები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ სოფელ შინდისთან რუსეთის ჯარების შემოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე გენერლებს აძლევდნენ ბრძანებებს და ისინი წყვეტდნენ, თუ როგორ უნდა ემოქმედათ ქართულ სამხედრო ნაწილებს. გარდა ამისა, 2008 წლის ოქტომბერში მე, პირადად მითხრეს ამის შესახებ შინდისის მცხოვრებლებმა.**

# დადეთ კომპრომატები, ბატონო ირაკლი...

**19 აპრილის აქციას „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. ერთ-ერთი მიზანი ამ აქციისა ის იყო, რომ ხალხს „ნაციონალი“ ლიდერები ერთად ენახა და ეფიქრა, ესენი ისევ ერთიანნი არიან და ერთ პოზიციაზეც დგანანო. ამით ყოფილი მმართველი გუნდი იმ ხმების გაქარწყლებას ცდილობს, რომელთა თანახმადაც, „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან მალე დაიშლება, პარტიის შიგნით დიდი დაპირისპირებაა და სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი ერთმანეთის ჩაძირვით გადარჩენას ცდილობს. მათდა საუბედუროდ, ეს ხმები სრულიად საფუძვლიანია და „ნაცბელადებს“ ერთ ტრიბუნაზე დგომა ველარ უშველით. „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ჩასაძირად განწირული გემის მდგომარეობაშია და, როგორც წესი, პირველები გემს ვირთხები ტოვებენ. „პოლიტიკოსი ვირთხების“ ერთმა ნაწილმა უკვე დატოვა პარტია, ახლა კი, გასაქცევად ისინი ემზადებიან, ვისაც ამ „გემის“ ჩაძირვაში უმთავრესი წვლილი მიუძღვით.**



„საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პარტიული, ასევე პოლიტიკური გუნდის რამდენიმე წევრი დღე-დღეზე დატოვებს პარტიას.

გიგა ბოკერიას ულტრალიბერალურ დაჯგუფებას „გლეხი ნაციონალები“ გულზე ადრეც რომ არ ეხატებოდა, ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია. ახლა, როცა ბოკერიას დაჯგუფების წევრები ხელისუფლებაში ძველებური მასშტაბით აღარ არიან, ბაჩო ახალაია ციხეშია და მისი ძმა, დათა ახალაია — „მთავარი ძებნილი“, ბოკერია საბოლოოდ გაემიჯნა სააკაშვილს. მათ საკმაოდ მძიმე, ხმამაღალი საუბარი ჰქონდათ 19 თებერვალს, გამთენიისას და მათი გზები საბოლოოდ მაშინ გაიმიჯნა. 19 აპრილის აქციაზე მათი ერთად მისვლა მხოლოდ ხალხისთვის თვალის ასახვევი ხრიკი იყო. **ბოკერიამ მიშას კატეგორიულად განუცხადა, რომ პოლიტიკურ სამარეში არ ჩაჰყვება და თავის თანაგუნდელებთან ერთად ახალ პარტიას შექმნის. ბოკერია ემიჯნება ყველა იმ დანაშაულს, რომელთაც 9 წლის მანძილზე „ნაცმოძრაობა“ სჩადიოდა. ამით ისიც ცხადია, რომ ბოკერია ყოფილ თანამოაზრეებს — ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავასაც გაემიჯნა, რადგან ყველაზე ოპტიმისტი „ნაციონალებიც“ ვერ უარყოფენ, რომ ორივე მათგანს უახლოეს მომავალში განსასჯელის სკამზე ჯდომა მოუწევს.** ბოკერია, ცხადია, მიატოვებს ახალაიებსაც და სხვა „ნაცდამნაშავეებს“, რომლებიც მის სახელთან ასოცირდებიან. მართალია, „თავისუფლების ინსტიტუტი“ ბაჩო ახალაიას უდანაშაულოდ აცხადებს და მისი ლიდერები ახალაიას არც ერთ პროცესს არ აცდენენ, მაგრამ ბოკერიამ ბოდვა უწოდა დათა ახალაიას იმ განცხადებას, რომელშიც იგი ყველა უბედურებაში ვანო მერაბიშვილს ადანაშაულებს. **ამით ბოკერია არამარტო დათას, მის პატიმარ ძმასაც გაემიჯნა, მისი აღშფოთება მერაბიშვილის დადანაშაულებამ კი არ გამოიწვია, არამედ იმ დანაშაულთა შესაძლო გამომზეურებამ, რომლებშიც მერაბიშვილთან და სხვებთან ერთად თავადაც არის გარეული.**

**„ქართული ოცნების“ სუფთა ლიდერებმა თავად უნდა იზრუნონ, რომ ეს კომპრომატები გამოქვეყნდეს, რათა დროზე მოიშორონ თავიდან ეს ადამიანები. ხალხმა გაიგოს, ვინ ვინ არის და ვილაცების პოლიტიკაში დარჩენის სურვილსა და სხვა ამბიციებს ქართველი ხალხის ინტერესები არ უნდა შეეწიროს. ირაკლი ღარიბაშვილს ხომ ხელთ აქვს, ყველასი თუ არა, რამდენიმე თანაგუნდელის მამხილებელი ჩანაწერები... ადგეს, გამოაქვეყნოს და, ვისაც ქართულ პოლიტიკაში არ დაედგომება, ის ხალხი ამ გზით განერიდოს პოლიტიკას**

გიგა ბოკერია სიკვდილივით გაურბის ორი საქმის — 2008 წლის აგვისტოს ომისა და 2006 წლის 27 მარტის „ციხის ბუნტის“ საქმეების გამოძიებას. ამ საქმეების ნორმალურად გამოძიების შემთხვევაში, მას ციხე არ ასცდება. არსებობენ კონკრეტული მოწმეები, მათ შორის ხელისუფლების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ბოკერია „ციხის ბუნტის“ დროს ციხეში იმყოფებოდა და ბაჩო ახალაიასა და მის მოადგილეებს ბრძანებებს აძლევდა. მის ბრძანებას არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და მრავალი პატიმარი დახეიბრდა. ასევე, არსებობენ მოწმეები თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ჩინებში, რომლებიც დაადასტურებენ, რომ სოფელ შინდისთან, რუსეთის ჯარების შემოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე გენერლებს აძლევდნენ ბრძანებებს და ისინი წყვეტდნენ, თუ როგორ უნდა ემოქმედათ ქართულ სამხედრო ნაწილებს. გარდა ამისა, 2008 წლის ოქტომბერში პირადად მითხრეს ამის შესახებ შინდისის მცხოვრებლებმა — მათ საკუთარი თვალით ნახეს, მთავარსარდლობის ეშხში შესული ბოკერიასა და თარგამაძის ბრძანებებს უსიტყვოდ როგორ ემორჩილებოდნენ გენერალიტეტის წევრები, მათ შორის, გენშტაბის უფროსი ზაზა გოგავა. სწორედ მათი „მეთაურობის“ შედეგად, მათი უცოდინარობისა და უზომო ამბიციების წყალობით, უამრავი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. **წყარო აცხადებს, რომ სწორედ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას ერთობლივი გადაწყვეტილება იყო, რომ შიდა ქართლის სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობა არ გამოეყვანათ. სააკაშვილი და ბოკერია აშშ-ის პრეზიდენტობის მაშინდელმა კანდიდატმა, ჯონ მაკკეინმა, დაარწმუნა, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში რაც უფრო მეტი მსხვერპლი იქნებოდა, მით უარესი იქნებოდა რუსეთისთვის, ხოლო როცა ომი დასრულდებოდა, ამერიკა და მისი მხარდამჭერი ევროპული ქვეყნები რუსეთს ქართველთა გენოციდში დასდებდნენ ბრალს და პასუხსაც საკადრისად აგებინებდნენ.** ცხადია, ბოკერიას, ეს დანაშაულები თუ დაუმტკიცდა, ციხე არ ასცდება. ამიტომაცაა, მისი თანაგუნდელები სასტიკად რომ ეწინააღმდეგებიან „აგვისტოს ომის“ ხელახლა გამოძიებას და ხელისუფლებას ბრალს სდებენ, ესენი რუსეთის დავალებას ასრულებენო, გამოძიების მიზანი ის იქნება, ომის დაწყებაში ქართული მხარე დაადანაშაულოს და რუსეთს მძიმე ტვირთი მოხსნასო. მართალია, ხელისუფლებამ განაცხადა, ჩვენ 2008 წლის ომის საქმის გამოძიებას იმიტომ არ ვიწყებთ, რათა გავარკვიოთ, თუ ვინ დაიწყო ომი, ჩვენ ომის დროს ჩადენილი დანაშაულები გვაინტერესებსო, მაგრამ ლიბერალები ამან ვერ გააჩერა. **ე.წ. ლიბერალების ფრთა „ომის საქმის“ ყოველგვარ რევიზიას ეწინააღმდეგება, რადგან, თუ გამოძიება პირუთვნელად წარიმართა, მათ ბელადს ციხე არ ასცდება. კულუარული ინფორმაციით, ბოკერიამ უკვე ჩართო საქმეში თავისი ამერიკელი პატრონები, აშშ-ის ხელისუფლების ლიბერალური ფრთა, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე. ბოკერიას სასარგებლოდ დაიწყეს მუშაობა ცალკეულმა ევროპელმა ლიბერალმა პოლიტიკოსებმა, მათ შორის, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარემ ვილფრედ მარტენსმა და ამ პარტიის სხვა ლიდერებმა.** მათი მთავარი საზრუნავი ამ ეტაპზე ამ ორი საქმის გამოძიების შეჩერებაა, შემდგომში კი, საერთოდ, გამოძიების შეწყვეტა. საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა, რომ არც 2008 წლის ომის, არც „ციხის ბუნტის“ საქმე არ გამოიძიონ, ამერიკიდან და ევროპიდან უკვე დაიწყო. ამას გავლენიანი ძალები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი რესპუბლიკური პარტიის მეშვეობით აკეთებენ. რესპუბლიკელები ბიძინა ივანიშვილისა და კოალიციის გავლენიანი ლიდერების დარწმუნებას ცდილობენ, რომ ბოკერიას გადარჩენით სოლიდურ ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობას დაარეგულირებენ და შესაძლოა, გარკვეული დივიდენდებიც მიიღონ ამის საფასურად. ამ ფონზე საგულისხმოა დავით უსუფაშვილის განცხადება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა ქართული დემოკრატიის საზრუნავიაო. ცხადია, უსუფაშვილი კაკო ბობოხიძესა და მიშა მაჭავარიანს არ გულისხმობდა. წყაროს ინფორმაციით, უსუფაშვილი სწორედ „ნაცმოძრაობის“ ლიბერალური ფრთის გადასარჩენად იღვწის, ის უკვე შეხვდა იმ უცხოელ პოლიტიკოსებს ამერიკასა და ევროპაში, რომლებიც ბოკერიას გუნდის პატრონებად ითვლებიან, და მათ შორის გარკვეული შეთანხმებაც შედგა. რესპუბლიკელები იდეოლოგიით დიდად არ განსხვავდებიან „ბოკერიას მიმდევრებისგან“, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპუბლიკელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ ეს დავალება პირნათლად შეასრულონ. **თუ გავითვალისწინებთ ბიძინა ივანიშვილზე რესპუბლიკური პარტიის გავლენას, მათი ლიდერების მიმართ პრემიერის მაღალ ნდობას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბოკერია და**



**რესპუბლიკელები იდეოლოგიით დიდად არ განსხვავდებიან „ბოკერიას მიმდევრებისგან“, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპუბლიკელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ ეს დავალება პირნათლად შეასრულონ**

**საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა, რომ არც 2008 წლის ომის, არც „ციხის ბუნტის“ საქმე არ გამოიძიონ, ამერიკიდან და ევროპიდან უკვე დაიწყო. ამას გავლენიანი ძალები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი რესპუბლიკური პარტიის მეშვეობით აკეთებენ. რესპუბლიკელები ბიძინა ივანიშვილისა და კოალიციის გავლენიანი ლიდერების დარწმუნებას ცდილობენ, რომ ბოკერიას გადარჩენით სოლიდურ ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობას დაარეგულირებენ.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გიგა ბოკერიამ მერაბიშვილსა და უგულავასაც გასაგებად აუხსნა, რომ მათი ცოდვების აკიდებას არ აპირებს და არც მათ ნაცვლად ჩაჯდება ციხეში



**მისი გუნდი სამშვიდობოს გააღწევენ, მართალია, მძიმე დანაკარგებით, მაგრამ რამდენიმე პოლიტიკურ ლიდერს შეინარჩუნებენ და დარჩებიან ქართულ პოლიტიკაში.** დანაკარგების შესავსებად კი ბოკერიას შორს წასვლა არ მოუწევს. ახალ პარტიას ის „თავისუფლების ინსტიტუტის“ იმ წევრებით დააკომპლექტებს, რომლებსაც საზოგადოება ჯერ არ იცნობს. ბოკერიას გვერდით დაუდგებიან, ასევე, იმ ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, რომლებიც ამერიკული ფონდებიდან ფინანსდებოდნენ და ფულს სწორედ „თავისუფლების ინსტიტუტის“ რეკომენდაციების წყალობით იღებდნენ. ეს არასამთავრობოები, ფაქტობრივად, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფილიალებად ითვლებოდნენ, ბოკერიასა და მის გუნდს გვერდით ედგნენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ წარმართულ ყველა ბრძოლაში, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებულ მრავალწლიან და ბინძურ ომშიც.

ამერიკელ და ევროპელ ლიბერალთა მიზანი და გეგმები ნათელია. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყველაზე ანტიხალხური, ანტიქართული ქმედებებით გიგა ბოკერია და მისი თანაგუნდელები გამოირჩეოდნენ, ვანო მერაბიშვილიც, ამირან მესხელიც, გიგი უგულავაც, ძმები ახალაიებიც (მრავალ დანაშაულში მხილებული თუ ეჭვმიტანილი) სწორედ „თავისუფლების ინსტიტუტში“ დაფრთიანდნენ, ისინი ზედმიწევნითი სიზუსტით ასრულებდნენ დასავლელთა დავალებებს, განსაკუთრებული გაafთრებით დედაეკლესიას ებრძოდნენ და ამ დავალებასაც ამერიკიდან იღებდნენ. **მათი გეგმით, საპატრიარქო ორ ნაწილად უნდა დაეშალათ და ასე ეკონტროლებინათ იგი. ყველა პროვოკაცია, ყველა ბინძური ქმედება თუ პიარკამპანია, რომლებიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორესა და სხვა მღვდელმთავრების წინააღმდეგ იყო მიმართული, „თავისუფლების ინსტიტუტში“ იგეგმებოდა, მათ განახორციელეს.**

მისი აღმასრულებელი დირექტორი „გიგა ბოკერია 2“, ლევან რამიშვილი, აკონტროლებდა. **მეტიც, ამ გეგმების უდიდესი ნაწილის ავტორი, ვანო მერაბიშვილის სპეცსამსახურებთან ერთად, სწორედ ლევან რამიშვილი იყო. თუმცა ინსტრუქციებს, როგორ უნდა ებრძოლათ ეკლესიისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ, ამერიკიდან იღებდნენ.**

დავუბრუნდეთ პრეზიდენტის სასახლეში 19 აპრილს, გამთენიისას გამართულ თავყრილობას. მას, სააკაშვილისა და ბოკერიას გარდა, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა, გია ბარამიძე და რამდენიმე სხვა გავლენიანი „ნაციონალი“ ესწრებოდა. იქ იმყოფებოდა ლევან რამიშვილიც. ბოკერიამ მკაფიოდ და გასაგებად განუცხადა იქ მყოფთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ გადაჰყვებოდა და დამოუკიდებელ თამაშს იწყებდა. ბოკერიას ამ გადაწყვეტილების ყოფილი თანაგუნდელებისთვის პირში მიხლა იმანაც დააჩქარა, რომ მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია, რომ მეორე დღეს რუსთაველზე, „ნაციონალთა“ აქციაზე ხალხის საჭირო რაოდენობა არ მივიდოდა, ანუ „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაციის გეგმა ჩავარდა. **19 აპრილს, 10 ათასამდე მხარდამჭერის ნაცვლად, 100 000 რომ მისულიყო, ბოკერია, შესაძლოა, არ გამიჯვნოდა მათ და ბრძოლა მათთან ერთად გაეგრძელებინა. 19 აპრილის აქციამ საბოლოოდ დაასამარა „ნაცმოძრაობაც“ და პარტიაში არსებული განხეთქილებაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. გიგა ბოკერიამ მერაბიშვილსა და უგულავასაც გასაგებად აუხსნა, რომ მათი ცოდვების აკიდებას არ აპირებს და არც მათ ნაცვლად ჩაჯდება ციხეში.** თქვენ პოლიტიკაშიც რომ დარჩეთ, ერთ გაუსვრელ კაცს ვერ ამოიყენებთ გვერდით, რადგან, ვინც გარშემო გყავდათ, ყველა გასვარეთ, მე კი ახალი პოლიტიკური გუნდის შექმნა გაუსვრელი ხალხით არ გამიჭირდებაო, — მიუხლია ბოკერიას მათთვის. **ბოკერია, ცხადია, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეკლესიების რბევასა და ნგრევას „გასვრად“ არ თვლის. ის აქცენტს იმ დანაშაულობებზე აკეთებდა, რომლებშიც მერაბიშვილი, უგულავა და სხვა მაღალჩინოსნები არიან ეჭვმიტანილნი. ბოკერია სააკაშვილსაც გაემიჯნა და უთხრა, რომ მე რამდენიმეჯერ გადაგარჩინე, მაგრამ შენ ბიძაშენის, თემურ ალასანიას, ჭკუაზე დადიხარ, ახლა იმან გიშველოსო.** ბოკერია თემურ ალასანიას თვლის ელიტური კორუფციის იმ სქემის ავტორად, რომელმაც ეს ქვეყანა დააქცია. მეორეც, ბოკერია თემურ ალასანიას ადანაშაულებს იარაღით უკანონო ვაჭრობაში, ამ კრიმინალური საქმიანობისთვის საქართველოს სატრანზიტო დერეფნად გადაქცევაში, რამაც ყოფილ ხელისუფლებას და, ცხადია, ბოკერიასაც, ამერიკის გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებთან ურთიერთობა გაუფუჭა. ამ საქმეებში ბოკერიას თანაგუნდელებიც იყვნენ გარეულნი, არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი პოლიტიკური მეგობრები, **ბათუ ქუთელია და დავით სიხარულიძეც** ჩაბმულნი იყვნენ იარაღით ვაჭრობაში, მაგრამ გიგა მათზეც უარს ამბობს. ემიჯნება **გივი თარგამაძესაც**, რომელიც ამჟამად ლიტვაში იმყოფება და ცდილობს, ვიდრე მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს. იარაღით ვაჭრობასთან ბოკერიას მართლა არაფერი არ უნდა აკავშირებდეს, მაგრამ ელიტური კორუფციის ფაქტების სრულყოფილი გამოძიება თუ მოხდა, თავად ბოკერიაც აღმოჩნდება გარეული ამ საქმეში, რაც მას ნაკლებად ადარდებს. მისთვის მთავარია, 2008 წლის ომი და „ციხის ბუნტი“ ჩამოაწერონ. გია ბარამიძეს დაუსვამს ამის თაობაზე კითხვა: ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ ყოფნისას არც შენ იკლებდი არაფერს, ახლაც ხელისუფლებაში ხარ და რაღაც შენი გასაჭირის შესახებ არაფერი მსმენიაო? **ბარამიძეს იქვე წამოუძახებია იმ ბიზნესების შესახებ, როტელთაც ბოკერიას პოლიტიკური თანაგუნდელები დღემდე ფლობენ. ბოკერიას მშვიდად უთქვამს, რომ ის წარსულს ემიჯნება, მათ შორის იმ თანაგუნდელებსაც, ბიზნესი სასათბურე პირობებით რომ ჰქონდათ. იქვე, ყველასთვის გასაგონად განუცხადებია, რომ ის მიდის გუნდიდან და ამიერიდან, თუ უნდათ, გამარჯობასაც ნუ ეტყვიან.**

**გიგა ბოკერია თავდაპირველად ვანო მერაბიშვილთან ერთად აპირებდა პარტიის შექმნას, მაგრამ საბოლოოდ გადაიფიქრა. მან კარგად იცოდა, რომ მერაბიშვილს მის თანაგუნდელებზე, მათი ოჯახის წევრებზე უამრავი კომპრომატი ჰქონდა, მათ შორის, მათი კორუფციასა და სხვა დანაშაულში მონაწილეობის ფაქტები, ასევე, ბოკერიას თანაგუნდელი პოლიტიკოსებისა და მათი ოჯახის წევრების ტრადიციული და არატრადიციული აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები.** მათი გამომზეურების შიშით, ბოკერიას სურდა, ვანო გვერდით და კონტროლქვეშ ჰყოლოდა. მაგრამ, როცა გაირკვა, რომ ანალოგიური კომპრომატები დათა ახალაიასაც გააჩნდა, ბოკერიამ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო — მან თითქმის ყველა თანაგუნდელი მოიკვეთა და ახლა მისთვის სულერთია, — მერაბიშვილი გამოაქვეყნებს კომპრომატებს მის ყოფილ მეგობრებსა და მათი ოჯახის წევრებზე თუ დათა ახალაია. იტყვის, — როგორც კი გავიგე, რომ ეგეთი ბინძური ადამიანები იყვნენ, მათ მაშინვე ვუგანეო. წყაროს ინფორმაციით, ბოკერია, თუ მოისურვა, მერაბიშვილის ხელთ არსებულ კომპრომატებსაც მოიპოვებს და იმათაც, დათა ახალაიას რომ აქვს.

**ბოკერია, თუ მოისურვა, მერაბიშვილის ხელთ არსებულ კომპრომატებსაც მოიპოვებს და იმათაც, დათა ახალაიას რომ აქვს. ამას ბოკერია თავად არ გააკეთებს, ამას ამერიკული სპეცსამსახურები გააკეთებენ იმ ძალის გულისთვის, რომელიც აგერ 15 წელი აშშ-ის პოლიტიკის მთავარი დასაყრდენია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში**

ამას ბოკერია თავად არ გააკეთებს, ამას ამერიკული სპეცსამსახურები გააკეთებენ იმ ძალის გულისთვის, რომელიც აგერ 15 წელი აშშ-ის პოლიტიკის მთავარი დასაყრდენია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში. მეტიც, ბოკერია იმ საფრთხესაც გაანეიტრალებს, ბაჩო ახალაიასგან რომ ელის. მას ნაკლებად ადარდებს, რომ ახალაია პირს მოაღებს და „ციხის ბუნტის“ დროს ბოკერიას დანაშაულობებზე ალაპარაკდება. ბაჩომ სხვაზე უკეთ იცის, — ეს რომ გააკეთოს, მას არავინ აცოცხლებს. ეს „არავინ“ კი, ცხადია, ვინცაა. ოკეანისგაღმელ პატრონებს არაერთი მეთოდი აქვთ ხელთ იმისთვის, რომ ბოკერიას გადასარჩენად ახალაიასნაირი ტიპები გააჩუმონ. „ნაციონალური“ წყაროების ინფორმაციით, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მხარდაჭერა ბაჩო ახალაიას მიმართ, მეტი არაფერი იყო, თუ არა ბოკერიას მიერ დაგეგმილი პიარაქციები, რომელთაც სულ სხვა მიზანი ჰქონდათ და არა მხოლოდ ახალაიას მიმართ თანადგომის გამოხატვა, რაც ერთი შეხედვით ჩანდა. კი, მან ბაჩოს დაუდასტურა თანადგომა და მისგან სანაცვლოდ ითხოვს, ციხის ამბებთან დაკავშირებით მისი სახელი არ ახსენოს. თუმცა ახლა **გიგა ბოკერიასთვის ბაჩო ახალაიაც აღარ წარმოადგენს დიდ პრობლემას. მის გადასარჩენად ევროპული და ამერიკელი ლიბერალი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი იბრძვის, „ქართული ოცნების“ წამყვანი და ყველაზე გავლენიანი ფრთა კი არ არის წინააღმდეგი, რომ ბოკერია გადაარჩინონ და დატოვონ ქართულ პოლიტიკაში.**

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ქართული ოცნების“ დაპირები — ქვეყანაში სამართლიანობა აღდგებაო, დაპირებად დარჩება. „რიგითი ბოკერიას გადასარჩენად“ რომ დიდად მოწადინებულნი არიან რესპუბლიკელები, ეს უკვე მოგახსენეთ. ვანო მერაბიშვილი „ქართული ოცნების“ ლიდერებს აშანტაჟებს, თქვენი პარტიის ლიდერებსა და გავლენიან პოლიტიკოსებზე, მათი ოჯახის წევრებზე მაქვს კომპრომატები და, თუ მე და ჩემს თანაგუნდელებს ხელს გვახლებთ, მათ გამოვაქვეყნებო. ვანო მერაბიშვილი, კულუარული ინფორმაციით, გიგი უგულავასა და მისი თანაგუნდელების გადასარჩენადაც იბრძვის. აქეთ დათა ახალაია იმუქრება, — მერაბიშვილს რაც კომპრომატები აქვს, ყველაფერი ჩემი სამსახურის, კუდის, მოპოვებულია, ყველა კომპრომატის ასლი ხელთ მაქვს და, მე და ჩემს ძმას თავს თუ არ დაგვანებებთ, ავდგები და გამოვაქვეყნებო. დათა ახალაია ხელისუფლებას ჭკუასაც არიგებს, — ვანო მერაბიშვილია მთავარი დამნაშავე, ჩვენ შეგვეშვითო. მოკლედ, ვინც ამ ქვეყნის დაქცევასა და გაპარტახებაში ლომის წილი დაიდო, ყველას გააჩნია თავის გადარჩენის საშუალება — კომპრომატები „ქართული ოცნების“ ლიდერებზე. რაც მოგახსენეთ. ეს ირაკლი ღარიბაშვილმაც დაადასტურა, — ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ლოგიკურია, გააჩნდეთ კომპრომატები როგორც „ქართულ ოცნების“, ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებზეც, რადგან შს სამინისტროში დაგვხვდა კომპრომატების დიდი არქივი, რომელთა დიდი ნაწილიც, ჩემი ინფორმაციით, დაკოპირებულიაო. ღარიბაშვილმა ისიც დასძინა, სავარაუდოდ, მათ მხოლოდ კომპრომატების ნაწილი დატოვეს სამინისტროში და მეორე, უფრო ღირებული ნაწილი წაიღესო.

**რა გამოდის? თუკი „ქართული ოცნების“ მავანი დეპუტატის ქალიშვილი ორალური სექსით ერთობა, ამის დამადასტურებელი ფარული ჩანაწერი ვანო მერაბიშვილსა და დათა ახალაიას აქვთ და ამ ჩანაწერის გამოქვეყნებით მთელ კოალიციას ემუქრებიან. მათ პასუხი არ უნდა აგონ უმძიმესი დანაშულებისთვის? ანდა ქართველმა ხალხმა რატომ უნდა ზღოს იმის გამო, რომ „ქართული ოცნების“ მავანი დეპუტატი კოალიციაში გაწევრიანებამდე მიშა სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს ეჯდა შავნაბადის რეზიდენციაში და მილიონებზე ევაჭრებოდა — ფული მომეცით და საერთოდ წავალ პოლიტიკიდანო?** სხვათა შორის, თანხაზე ვერ მორიგდნენ და გარიგება ამიტომ ჩაიშალა. ეს ჩანაწერიც ორივეს არქივში ინახება, ვანოსიც და დათასიც.

ამ სიტუაციიდან ერთადერთი მარტივი და სამართლიანი გამოსავალი არსებობს — **„ქართული ოცნების“ სუფთა ლიდერებმა თავად უნდა იზრუნონ, რომ ეს კომპრომატები გამოქვეყნდეს, რათა დროზე მოიშორონ თავიდან ეს ადამიანები. ხალხმა გაიგოს, ვინ ვინ არის და ვიღაცების პოლიტიკაში დარჩენის სურვილსა და სხვა ამბიციებს ქართველი ხალხის ინტერესები არ უნდა შეეწიროს. ირაკლი ღარიბაშვილს ხომ ხელთ აქვს, ყველასი თუ არა, რამდენიმე თანაგუნდელის მამხილებელი ჩანაწერები... ადგეს, გამოაქვეყნოს და, ვისაც ქართულ პოლიტიკაში არ დაედგომება, ის ხალხი ამ გზით განერიდოს პოლიტიკას.**

სხვებს კი ვანო მერაბიშვილი და დათა ახალაია გამოამზეურებენ.

სხვა გამოსავალი არ ჩანს. აბა, გადავაყოლოთ ეს ქვეყანა ოციოდე უზნეო პოლიტიკოსისა და მათი ოჯახის არანაკლებ უზნეო წევრების დაუოკებელ ვნებებს?!

**ლევან ჯავახიშვილი**



**ბოკერია თემურ ალასანიას თვლის ელიტური კორუფციის იმ სქემის ავტორად, რომელმაც ეს ქვეყანა დააქცია. მეორეც, ბოკერია თემურ ალასანიას ადანაშაულებს იარაღით უკანონო ვაჭრობაში, ამ კრიმინალური საქმიანობისთვის საქართველოს სატრანზიტო დერეფნად გადაქცევაში**

საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„4-საათიანი საუბრის შემდეგ შალვა მეუბნება: ბატონო ვაჟა, ძალიან კი შეუშინებიხარ იმ შენ კოკოითსო, სულ მცირე დრო მჭირდება, რომ კოკოითი თავისი ბანდით რუსთაველზე თეთრი ტრუსიკებით ჩავატაროო. „იმედიც“ მომცა: შენ არ იგულისხმები ამაში, შენ ჩვენი ხარო... რა თქმა უნდა, ძალიან აღვშფოთდი, ვუთხარი: არ გაბედოთ იქ ომის დაწყება, თორემ კუდამოძუებული გამოიქცევით, როგორც ყოველთვის და მერე ჩვენს თავზე დატრიალდება რისხვა, რომელიც თქვენი მიზეზით იქნება გამოწვეული-მეთქი.“



ვაჟა ხაჭაპურიძე:

# კოკოითმა მთხოვა, გადამეცა სააკაშვილისთვის: ღმერთი არ გაგიწყრეთ და ომი არ დაიწყოთ, თორემ ჩვენ ჩვენი კი დაგვემართება, მაგრამ თქვენი სახსენებელიც გაწყდება ამ ტერიტორიაზეო!

**ბევრის აზრი მომისმენია სააკაშვილზე, მაგრამ, ვფიქრობ, იგი ყველაზე ზუსტად ერთმა რესპონდენტმა დაახასიათა: „სააკაშვილის, როგორც მოვლენის, კარგი მაგალითია აღმაშენებლის გამზირი: უცხო თვალის გასახარებლად მოჩუქურთმებული ფასადების უკან იმალება ძველი, ამორტიზებული, ნახევრადდაშლილი სახლები და ამ სახლებში მცხოვრები ჩვენი გაუბედურებული, იმედგაცრუებული და მიტოვებული თანამემამულეები...“ მოკლედ რომ ვთქვათ, ბრჭყვიალა გარსის შიგნით — სიდამპლე. სააკაშვილის რეჟიმის მძიმე დანაშაულთა გრძელ ნუსხაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 2008 წლის აგვისტოს ამბებს, რომელთაც მშვიდობიანი მოსახლეობის (ქართული და ოსური) დიდი მსხვერპლი მოჰყვა. კითხვაზე „ვინ დაიწყო ომი?“ „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებებს უზიარებს ვაჟა ხაჭაპურიძე — ყოფილი თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი და ცხინვალში პრეზიდენტის ყოფილი პირადი წარმომადგენელი.**

**— ბატონო ვაჟა, რამდენად მართალია ის ამბავი, რომ ომის წინა დღეებში კოკოითმა გასაფრთხილებლად გამოგგზავნათ სააკაშვილთან, ომი არ დაეწყო?**

— დიახ, სრული ჭეშმარიტებაა. 2008 წლის 15 ივნისს კოკოითმა პირადად დამავალა, შევხვედროდი სააკაშვილს და გადამეცა მისი თხოვნა-გაფრთხილება, რომ არ განეხორციელებინა საომარი მოქმედება ცხინვალში. რა თქმა უნდა, იმ დღესვე ჩამოვედი თბილისში. დავალების სირთულისა და სერიოზულობის გამო მინდოდა, ჩემთან ერთად შეხვედრის მონაწილეთა შორის ყოფილიყვნენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წევრები. შევიკრიბეთ ავთანდილ მარგიანი, პროფესორი ტარიელ კვიციანი, პროფესორი ნოდარ გიგანი, აკადემიკოსი გივი ბერძენიშვილი და სხვები — სულ 7 კაცი. საკითხის გაცნობის შემდეგ, მართალია, შევთანხმდით, მეორე დღესვე შევხვედროდით სააკაშვილს, მაგრამ, გივი ბერძენიშვილის გარდა, ყველამ გადაიფიქრა მასთან სტუმრობა, იმ მოტივით: **ხომ იცით, რა გიჟი-გადარეულია. გამოვარდება ტელევიზიით და გაგვლანძღავს, და ვინ იცის, რას დაგვაბრალებსო. ბატონი გივის ავადმყოფობის გამო, იძულებული გავხდი შეხვედრაზე მარტო წავსულიყავი.**

**— ბატონო ვაჟა, როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები?**

— კანცელარიაში მეთერთმეტე სართულზე რომ ავედი, დაცვის ბიჭებმა გამომკითხეს მისვლის მიზანი. ზოგადად ვუთხარი და მოვითხოვე პრეზიდენტთან პირადი საუბარი. მითხრეს, რომ აჭარაში, ბობოყვათის აგარაკზეა წასული და, ალბათ, ერთ კვირაში ჩამოვაო. აღვშფოთდი, სასწრაფო საქმეა-მეთქი! განმიცხადეს, საქმეები მერაბიშვილს გადააბარა და მასთან წადიო. რა გაეწყობოდა, იძულებული გავხდი, წავსულიყავი მერაბიშვილთან. სამწუხაროდ, მერაბიშვილიც არ დამხვდა, შესაძლოა, დამემალა, არ ვიცი. პირველ მოადგილესთან მომიწია ამ საკითხებზე საუბარი. პირველი მოადგილე საკმაოდ თავაზიანი აღმოჩნდა. მან პირდაპირ მითხრა: ოსეთის საკითხი მერაბიშვილმა კონტრდაზვერვის უფროსს — შალვა ჟღენტს დაავალაო. მანვე დაურეკა ჟღენტს და 20 წუთის შემდეგ წამიყვანეს საბურთალოზე, მოდულის შენობაში შალვა ჟღენტთან შესახვედრად.

**— ჟღენტს თუ შეხვდით და რაზე გქონდათ საუბარი?**

— შევხვდი. კოკოითის დანაბარები და გაფრთხილება სიტყვა-სიტყვით გადავეცი: ღმერთი არ გაგიწყრეთ და ომი არ დაიწყოთ, თორემ ჩვენ ჩვენი კი დაგვემართება, მაგრამ თქვენი სახსენებელი გაწყდება ამ ტერიტორიაზეო. ამის შემდეგ იქაური მდგომარეობა, ოსი ხალხის განწყობა, მათი სურვილები გავაცანი; ოფიციალურიც და არაოფიციალურიც მიწვევაც შევთავაზე. ისიც ვუთხარი, რომ შენიღბულად შეგიყვან ცხინ-



**პირველად განხორციელდა ცხინვალის მასიური საარტილერიო დაბომბვა. გამოიყენეს უახლესი საარტილერიო იარაღი და, მათ შორის, აკრძალული კასეტური ბომბები, რომლებმაც ქალაქის შენობა-ნაგებობების ნახევარი დაანგრია, ხოლო მოსახლეობაში მსხვერპლი გამოიწვია!..**

ვალში, როგორც ჩემს მეგობარს, და იქაურობას დაგათვალიერებინებ-მეთქი. შენი თვალით ნახავ და დარწმუნდები, რომ ომი არაა საჭირო, რადგან, სტატუსის განსაზღვრის გარდა, თითქმის ყველაფერზე გვეთანხმებიან-მეთქი, მათ შორის, ჩვენს იურისდიქციაში შემოსვლის ჩათვლით! 4-საათიანი საუბრის შემდეგ, შალვა მეუბნება: **ბატონო ვაჟა, ძალიან კი შეუშინებიხარ იმ შენს კოკოითსო. სულ მცირე დრო მჭირდება, რომ კოკოითი თავისი ბანდით რუსთაველზე თეთრი ტრუსიკებით ჩავატაროო. „იმედიც“ მომცა: შენ არ იგულისხმები ამაში, შენ ჩვენი ხარო... რა თქმა უნდა, ძალიან აღვშფოთდი, ვუთხარი, არ გაბედოთ იქ ომის დაწყება, თორემ კუდამოძუებული გამოიქცევით, როგორც ყოველთვის და მერე ჩვენს თავზე დატრიალდება რისხვა, რომელიც თქვენი მიზეზით იქნება გამოწვეული-მეთქი.**

ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. ჟღენტმა ღიმილით მთხოვა, დავწყნარებულიყავი და დამეცადა მოვლენების განვითარებისთვის. იმედგაცრუებულმა დავტოვე შალვა ჟღენტის „რეზიდენცია“. ამ შეხვედრის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რა უბედურება გველოდებოდა ქართულ მოსახლეობას.

**— ბატონო ვაჟა, კოკოითს თუ გააცანით სააკაშვილის მხრიდან მოსალოდნელი საომარი მოქმედების თაობაზე?**

— არა! ცხინვალში 3 დღის შემდეგ დავბრუნდი, კოკოითმა თვითონ მომძებნა და მკითხა, თუ რა ამბავი ჩავიტანე. სიმართლის თქმას მოვერიდე. არ მინდოდა, ცეცხლზე ნავთი დამესხა და მხოლოდ ეს ვუთხარი: ჯაბიევიჩ, ხომ გითხარით, ცდებით, არანაირი ომის დაწყებას არ აპირებს სააკაშვილი. პირიქით, შერიგებისთვის ემზადებიან-მეთქი. შემომხედა, ეტყობა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რატომღაც არ ჩათვალა საჭიროდ, ხელი ჩაიქნია და უსიტყვოდ დამცილდა.

**— ბატონო ვაჟა, როგორც თვითმხილველი, რას გვეტყვით, ვინ დაიწყო ომი?**

— ომი სააკაშვილმა დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს 21:30 საათზე და არა 23:35 საათზე, როგორც ეს ტალიავინის კომისიის დასკვნაშია აღნიშნული. პირველად განხორციელდა ცხინვალის მასიური საარტილერიო დაბომბვა. გამოიყენეს უახლესი საარტილერიო იარაღი და, მათ შორის, აკრძალული კასეტური ბომბები, რომლებმაც ქალაქის შენობა-ნაგებობების ნახევარი დაანგრია, ხოლო მოსახლეობაში მსხვერპლი გამოიწვია!..

**— მინდა შეგეკითხოთ, როგორც ამ საკითხებში გარკვეულ პიროვნებას: რა შედეგებს ელოდებოდა სააკაშვილი ამ შეიარაღებული თავდასხმისგან?**

— სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის დღესაც გაუგებარია, თუნდაც იმიტომ, რომ სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისას ცხინვალი და აფხაზეთი დამშვიდებულ, დაწყნარებულ მდგომარეობაში ჩაიბარა. ამის ნათელი მაგალითი იყო, თუნდაც ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ვითარება. მანდ თითქმის მთელი საქართველო იღებდა მონაწილეობას სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობაში. არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა, როგორც რუსეთის პროდუქციის შემოტანა, ასევე ყველანაირი ქართული პროდუქციის გასაღება რუსეთში. მეტსაც გეტყვით, **ქართველ და ოს ბიზნესმენებს შორის ისეთი მეგობრული ურთიერთობა იყო, რომ ერთმანეთს ასი ათასობით დოლარის საქონელს ანდობდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული კომერსანტები, საქმიანი ხალხი ცხინვალში ქირით ცხოვრობდნენ და არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ, პირიქით, ყველანაირად უზრუნველყოფილნი იყვნენ!**

სააკაშვილის მოსვლის დღიდან ყველაფერი თავდაყირა დადგა! მისი თანამზრახველებიდან განსაკუთრებული აგრესიით ირაკლი ოქრუაშვილი გამოირჩეოდა. ჯერ ერგნეთის ბაზრობა გაანადგურეს, შემდეგ ამას მოჰყვა ოქრუაშვილის მიერ 2004 წელს განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა. რა მივიღეთ ყოველივე ამის შედეგად? — მხოლოდ მსხვერპლი. მიუხედავად ასეთი რთული პროცესებისა, **ოსური მხარე ყველანაირად ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებასა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას. 2005 წლის 15 დეკემბრის ერთობლივი მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ამის ნათელი მაგალითია. მასში ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ: რუსეთის მხრიდან — ნიკოლაი არხიპოვი, ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან — ნიკოლაი მაკოევი და თეიმურაზ კუსოვი, ცხინვალიდან — ინალ ფუხაევი.** აღნიშნული შეხვედრის ინიციატორი მე და კოკოითი გახლდით. მე ვთხოვე რუსეთისა და ოსეთის მხარეს, შეგვედგინა მიმართვა დოკუმენტის სახით და სააკაშვილის გუნდისთვის შეგვეთავაზებინა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა იურიდიული ნორმების ჩარჩოებში. აქვე იყო მითითებული როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლება. დოკუმენტზე მუშაობის დამთავრების შემდეგ, დამევალა, წამომეღო ის თბილისში და სააკაშვილისთვის გამეცნო, რათა აქაც ანალოგიური მუშა ჯგუფი შექმნილიყო და, ჩვენ მიერ მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, აზრთა შეჯერება მომხდარიყო. ამით შედგებოდა სამმხრივად შეჯერებუ- ▶

# „ომი სააკაშვილმა დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, 21:30 საათზე და არა 23:35 საათზე, როგორც ეს ტალიავინის კომისიის დასკვნაშია აღნიშნული. პირველად ცხინვალის მასიური საარტილერიო დაბომბვა განხორციელდა. გამოყენებულ იქნა უახლესი საარტილერიო იარაღი და, მათ შორის, აკრძალული კასეტური ბომბები, რომლებმაც ქალაქის შენობა-ნაგებობების ნახევარი დაანგრია და მოსახლეობაში მსხვერპლი გამოიწვია!...“

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლი შერიგებისა და თანამშრომლობის აქტი. **ამავე დოკუმენტში პირდაპირ იყო მითითებული კოკოითის დევიზი — 2006 წელი გამოცხადებულიყო შერიგების წლად და ამავე წელს მოგვარებულიყო ყველა ის პრობლემური საკითხი, რომელიც ჩვენ წინაშე იდგა.**

პირადად დამევალა, აღნიშნული დოკუმენტის შინაარსის გასაჯაროება. ალბათ, მოსახლეობას კარგად ახსოვს ჩემი ერთსაათიანი ინტერვიუ გიორგი ახვლედიანთან „იმედის“ არხზე. დოკუმენტში ასახული სამივე მხარისთვის მეტად სასარგებლო და აუცილებელი საკითხების თაობაზე მაყურებელს ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე და, რაც ყველაზე მთავარი იყო, განვაცხადე, რომ 2006 წელი შერიგების წლად გამოცხადებულიყო! მაგრამ მოხდა დაუჯერებელი რამ: **გადაცემის მსვლელობის დროს ჯერ გამოიყვანეს გოგა ხაინდრავა, რომლის ნათქვამიდან აზრი ვერ გამოვიტანე, მერე გამოიყვანეს ირაკლი ოქრუაშვილი. მან განაცხადა: 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში გეპატიჟებით ყველას, ყანწით უნდა დავლიო საქართველოს სადღეგრძელოო. ამ ნათქვამმა დიდად აღაშფოთა ჩვენი მუშა ჯგუფი და დამდუღრულივით უკომენტაროდ დაიშალნენ. სასოწარკვეთილი ვიყავი, არანაირი სიკეთის ნიშანწყალი აღარ ჩანდა...**

**— ბატონო ვაჟა, პირადად სააკაშვილის აზრი როგორი იყო ამ დოკუმენტთან დაკავშირებით?**

— რაც ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, ეს იყო სააკაშვილის პასუხი! თუ ირაკლიმ მის გარეშე გამოთქვა მისთვის არასასურველი აზრი, მაშინ რეაგირება უნდა მოეხდინა. დუმილი თანხმობას ნიშნავდა.

**— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ სააკაშვილი კონფლიქტის დარეგულირების ნაცვლად, მის გამწვავებაზე ფიქრობდა.**

— ნამდვილად ასეა! მას არ აინტერესებდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება! ყოველი მისი ქმედება გამოიხატებოდა მდგომარეობის გართულებებითა და პროვოკაციებით. აი, მაგალითად, 2008 წლის 7 აგვისტოს ფართომასშტაბიან ომს წინ უძღოდა 2 აგვისტოს შეიარაღებული თავდასხმა ცხინვალის მშვიდობიან მოქალაქეებზე. თავდასხმა ერგნეთისა და ნიქოზის მხრიდან განახორციელეს, რამაც გამოიწვია 6 კაცის გარდაცვალება და 57 კაცის დაჭრა! სწორედ ეს პროვოკაცია იყო 7 აგვისტოს მიზანმიმართული გეგმის განხორციელების საბაბი, მაგრამ სააკაშვილს მოლოდინი არ გაუმართლდა. ოსეთის მხარემ იცოდა, რომ ეს პროვოკაცია დიდი ომის საწინდარი იყო. ოსებს ეგონათ, დუმილით საფრთხეს თავიდან აიცილებდნენ; თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, მოლოდინს მოვლენებმა გადააჭარბა და 7 აგვისტოს საღამოს სააკაშვილმა მაინც განახორციელა ფართომასშტაბიანი ომი. საარტილერიო დაბომბვის შემდეგ, შემოიყვანეს ტექნიკა, საჯარისო ნაწილები და უამრავი მსუბუქი თუ სატვირთო მანქანა, მათ შორის, ორი სატვირთო მანქანა დროშებით იყო დატვირთული. ითქვა ისიც, რომ 2 ტრიბუნაც იყოო, მაგრამ მე ტრიბუნები არ მინახავს.



**58-ე არმია ევროპელი პრეზიდენტების რუსთაველის პროსპექტზე დგომამ კი არ დააბრკოლა, არამედ იმან, რომ ეუთოს მანდატითა და СКК-ს ხელშეკრულების პირობებით, რუსეთის ჯარების ამოცანა იყო არა თბილისის აღება, არამედ საქართველოს შეიარაღებული ძალების განდევნა ცხინვალის რეგიონიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან**

ჩემი ნათქვამი ფაქტებზეა დაყრდნობილი. მკითხველს უთუოდ გაუჩნდება მრავალი შეკითხვა, მათ შორის, შალვა ჟღენტთან საუბრის სინამდვილის შესახებ. მე მინდა მკითხველს განვუმარტო ის, რომ შალვა ჟღენტი გახლდათ სპეცსამსახურის უფროსი და მასთან ჩემი შეხვედრა ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გარეშე არ წარიმართებოდა. **ამავე დროს, არსებობს მეორე დამამტკიცებელი დოკუმენტი — 2008 წლის 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე ჩემს მობილურ ტელეფონზე მირეკავს შალვა ჟღენტი და მთხოვს დახმარებას, კერძოდ, „კრიზისიდან გამოსვლას“. ვახდენ მისი საუბრის ციტირებას: ბატონო ვაჟა, შალვა ვარ, ჟღენტი. მე მაშინვე ვუთხარი: ეს რა ჰქენით, მე ხომ გაგაფრთხილეთ, ცუდად დამთავრდება-მეთქი.**

**მისი პასუხი: ბატონო ვაჟა, ძალიან გთხოვთ, ახლა ჯინით ლაპარაკის დრო არ არის, ხელების გადაგრეხას მოვეშვათ და ჩემი დიდი თხოვნა იქნება, სასწრაფოდ მოდი ჩემთან სამსახურში, რათა დახმარება გაგვიწიო.** მე 9 აგვისტოს არ მეცალა და შევპირდი, რომ ხვალ დავუკავშირდებოდი. 10 აგვისტოს დილით დავურეკე შალვას და ვუთხარი: შალვა მე ვარ, ვაჟა ხაჭაპურიძე, შეპირებისამებრ, მოვდივარ თქვენთან და საშვი ჩამოუშვი-მეთქი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, შალვას ნაცვლად პასუხს მცემს ბადრაგი, რომელიც მეუბნება: ბატონო ვაჟა, სამწუხაროდ, შალვას ხელები აქვს გაკრული და ვერ გიპასუხებს, თუ დახმარება შეგიძლიათ, ჩვენ დაგვეხმარეთ. შალვა კი კარგა ხანი ვერ შეძლებს თქვენთან საუბარსო. ამის გადამოწმება ადვილია. „მაგთიკომის“ სატელეფონო სადგურში 9-10 აგვისტოს შალვას და ჩემ მიერ განხორციელებული საუბრების მოპოვება სავსებით შესაძლებელია. დანარჩენში კი, სხვადასხვა საკითხებში დოკუმენტურ მასალების დასამტკიცებლად, პროკურატურის თანამშრომლებს მე გავუწევ მეგზურობას ცხინვალში, თუ მოისურვებენ.

**— რა აზრის ხართ რუსეთის ჯარის შემოსვლაზე ცხინვალში და შემდგომ — ცხინვალის გარეთ შიდა ქართლის ტერიტორიაზე?**

— ეს საკითხი მეტად აქტუალური თემაა და მასში ატეხილი აურზაურიც უსაფუძვლოა. ნებისმიერი მიმომხილველი შეცდომებს უშვებს ამ საკითხის მსჯელობის დროს და შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. სინამდვილე კი არის 1992 წლის 29 აგვისტოს დაგომისის ხელშეკრულების აქტი, სახელწოდებით СКК — Смешанная контрольная комиссия. დიახ, ეს არის ის დოკუმენტი, რომელიც მოქმედებდა და დღესაც ძალაშია, რადგან ის არავის გაუუქმებია. ეს დოკუმენტი შესანიშნავი ჩანაფიქრია კონფლიქტის ზონაში სეპარატისტული დაჯგუფებების თარეშის აღსაკვეთად. მართლაც, ცეცხლმაქრის როლი ითამაშეს მშვიდობისმყოფელებმა და ბევრი ხიფათიც იქნა თავიდან აცილებული. ეს რომ არა, ვინ იცის, რამდენი უბედურების მომსწრე გავხდებოდით და რამდენი სიცოცხლე შეეწირებოდა იმ ქაოსს! მოკლედ განვიხილოთ აქტი СКК.

სამმხრივი „შერეული საკონტროლო კომისია“ შეიქმნა საქართველოსა და გაეროს ეგიდით. მისი შესრულება, გაეროს გადაწყვეტილებით, დაევალა რუსეთის საჯარისო ნაწილს. ფაქტობრივად, ეს საჯარისო ნაწილი გაეროს დაქირავებული რაზმია კონფლიქტის ზონაში, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობის დაცვას და მოიერიშე ძალების დაშორიშორებას. სამშვიდობო ძალა შეზღუდული უფლებებით სარგებლობს. მის ფუნქციაში არ შედის პოლიციის უფლებები და სახელმწიფო საქმიანობაში ჩარევა. რაც შეეხება საბრძოლო გარემოებას, მას მინიჭებული აქვს მაქსიმალური უფლებები. ნებისმიერ ვითარებაში ის არავის ემორჩილება, გარდა СКК ფორმატისა. სამშვიდობო ძალა, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, მზადყოფნაშია ნებისმიერი წინააღმდეგობის გაწევისთვის. ამ აქტის ერთ-ერთ მუხლში გარკვევით არის მითითებული, კონფლიქტის ზონაში თუ რომელიმე მხარე დაარღვევს СКК-ს შეთანხმების აქტს და განახორციელებს საბრძოლო (საომარ) მოქმედებას, სამშვიდობო ძალის მთავარსარდალს უფლება აქვს, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე, მიიღოს გადაწყვეტილება მის აღკვეთაზე.

აქვე მითითებულია, რომ, თუ მოწინააღმდეგე (მეამბოხე) ძალა აღემატება მის შესაძლებლობას, მას (სამშვიდობო ძალას) აქვს უფლება, ექსტრემალურ ვითარებაში მიიღოს გადაწყვეტილება რუსეთიდან სათანადო დამხმარე ძალების შემოყვანის შესახებ. სამშვიდობო ძალის უფლებებში შედის მოვალეობა, გაანადგუროს მეამბოხე ძალების საცეცხლე ობიექტები, რომლებიც განლაგებულია კონფლიქტის ზონის გარშემო გარკვეულ პერიმეტრზე.

**ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, რუსეთის ჯარი ვეღარ შემოვიდოდა ჩვენს ტერიტორიაზე; ხოლო თუ შემოვიდოდა, კანონიერად გამოცხადდებოდა აგრესორად! რატომ არ გააუქმა სააკაშვილმა ეს დოკუმენტი და, საერთოდ, თუ იცოდა მისი არსებობის თაობაზე, იმედია, ამას სასამართლო გაარკვევს!** ამიტომაც შემოსული რუსული ჯარი აღმოჩნდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

**— თბილისი შედიოდა „გარკვეულ პერიმეტრში“?**

— არა! დაგომისის ხელშეკრულების თანახმად, რუსებს თბილისში არაფერი ესაქმებოდათ. ისე კი, სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი და იურისტი, ვალდებული იყო, სცოდნოდა ამ დოკუმენტის არსებობა!

აქვე მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით დავარწმუნო ბატონი ბიძინა ივანიშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, რომ მე და ჩემი ოსი ეროვნების მეგობრები მზად ვართ აქტიური მხარდაჭერისთვის ამ ძმათამკვლელი ომის წამომწყებთა გამოსააშკარავებლად! სააკაშვილმა თავისი უმეცარი ქმედებებით თავს მოგვახვია არაერთი უმძიმესი პრობლემა. მინდა აქვე საზოგადოებას განვუმარტო ის, რომ, თუ ბატონმა ბიძინამ ომის თემის გამოძიებას გვერდი აუარა და ოს ხალხთან შერიგების სურვილი გამოთქვა, გარწმუნებთ ყველას, ეს საკითხი განუხორციელებელი იქნება მანამ, სანამ არ დავსჯით ორივე მხრიდან იმ დამნაშავეებს, რომლებიც ოსი და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ცეცხლს აღვივებდა!

ოსი ხალხი ხომ ჩვენი ისტორიული ძმა და მეგობარია. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, ჩვენ ერთ ეროვნულ ყაიდაზე აღზრდილნი ვართ; საქართველოში სულ რაღაც 160 000 ოსი ცხოვრობს, აქედან 60 000 ცხინვალის გარშემო. სიკეთის მეტი რა უკეთებიათ?! ჩვენ გვერდით ქვეყნის მშენებლობაში მონაწილეობდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში ტოლს არ გვიდებდნენ სამშობლოს სიყვარულში! დიახ, დადგა დრო, აღდგეს კანონიერება და დამნაშავენი დაისაჯონ! ორივე მხრიდან მივცეთ საშუალება სამართალდამცავ ორგანოებს, იმუშაონ სიმართლის დასადგენად.

ბატონ ბიძინას მივმართავ თხოვნით: არ შეკრთეთ და უკან არ დაიხიოთ, იბრძოლეთ ბოლომდე, რათა ძირფესვიანად ამოიძირკვოს ის ბოროტების კერები, რომლებიც, რამდენიმე წელია, სატანჯველად იქცა ჩვენი ხალხისთვის! თითქმის 23 წელია, საქართველოს მოსახლეობა ელოდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას!

**— ბატონო ვაჟა, წლეულს, ოქტომბერში სრულიად საქართველო აირჩევს ახალ პრეზიდენტს. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს იგი?**

— ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც უნდა აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, ამიტომ მომავალ პრეზიდენტს, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა იცნობდნენ სოხუმშიც და ცხინვალშიც, როგორც ავტორიტეტულ და სანდო პიროვნებას. ასევე, მომავალ პრეზიდენტს უნდა იცნობდნენ მოსკოვში, როგორც თავისი ხალხის ნდობით აღჭურვილ, სერიოზულ და სიტყვაგაუტეხელ ადამიანს! თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამას გაითვალისწინებს, მაშინ ქვეყნის წინსვლა და აყვავება გარანტირებულია!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

## გამოკითხულთა 1% პრეზიდენტად მაინც მიხეილ სააკაშვილს ისურვებდა

**NDI-ს მიერ ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ პრეზიდენტობის კანდიდატს მიანიჭებდა უპირატესობას.**

კითხვაზე — ყველაზე მეტად ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად, პასუხები ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნების“ კანდიდატს — 58%, არ ვიცი — 17%, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს — 8%, უარი პასუხზე — 6%, არც ერთ კანდიდატს — 4%, გიორგი თარგამაძეს — 3%, შალვა ნათელაშვილს — 2%, სხვას — 1%.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 1% პრეზიდენტად მაინც მიხეილ სააკაშვილს ისურვებდა, მიუხედავად იმისა, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.



## 100-ლარიანი ვაუჩერის რეალიზება შემოდგომამდე შეჩერდა

**თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტის, 100-ლარიანი ვაუჩერის რეალიზება შემოდგომამდე შეჩერდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განუცხადა, 100-ლარიანი ვაუჩერიდან დარჩენილი 40 ლარი დედაქალაქში რეგისტრირებულ აბონენტებს ნოემბერსა და დეკემბერში დაერიცხებათ.**

„ვაუჩერის მოქმედება არ შეწყვეტილა, უბრალოდ, 100-ლარიანი ვაუჩერი შემდეგ 5 თვეზე — იანვარზე, თებერვალზე, მარტზე, ნოემბერსა და დეკემბერზეა გაწერილი, რადგან აღნიშნულ თვეებში კომუნალური დანახარჯები უფრო მაღალია. ვინაიდან პირველ სამ თვეში აბონენტებს ყოველთვიურად 20-20 ლარი უკვე დაერიცხათ, დარჩენილი 40 ლარის დარიცხვა ნოემბერსა და დეკემბერში მოხდება“, — განაცხადა მამუკა ქაცარავამ.

მისივე განმარტებით, ეს გათვლა თბილისის მთავრობას თავიდანვე ჰქონდა და ამის შესახებ შესაბამის სოციალურ პროგრამაში იყო მითითებული.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბატონი უსუფაშვილი თავის თავზე იღებს დამნაშავე პირების შეწყალებას, თუ ვინმეს ობიექტური სასამართლო პროცესის შემდეგ დაუდასტურდება დანაშაული?! ე.ი. მისი აზრით, დანაშაულის ნიშნები თუ აქვს წინა ხელისუფლების კონკრეტულ პირს ჩადენილი, უსუფაშვილი აპრიორი პატიობს მათ?! ბარაქალა!!!“**

# პარლამენტის თავმჯდომარე — მატროსოვი «ნაცმოძრაობისთვის»



**ოთხშაბათს, 17 აპრილს რადიო „თავისუფლების“ პრაღის შტაბ-ბინას საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, რადიო „თავისუფლების“ ქართულ სამსახურს პირდაპირ ეთერში მისცა ინტერვიუ, რომლის დროსაც, სხვა საკითხებთან ერთად, ილაპარაკა დასავლეთის მიერ საქართველოს პოლიტიკური ტრანსფორმაციის აღქმაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესში არსებულ გამოწვევებზე, პრემიერ-მინისტრთან ურთიერთობაზე, აგვისტოს ომის გამოძიებაზე და ყოფილი მმართველი ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“, სამომავლო პერსპექტივებზე.**



პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს. მისი სურვილია, „ნაციონალური მოძრაობის“ ჯანსაღი ნაწილი გადარჩეს და მათი დამარცხება პოლიტიკურად მოხდეს. როგორც მან ინტერვიუში აღნიშნა, „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა ქართული დემოკრატიის ამოცანაა.

**„მე ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, განსაკუთრებით აქეთ ყოფნისას, ევროპაში, ამერიკაში, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის, გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა. რაც არ უნდა გამიბრაზდნენ ახლა ქართველი მსმენელები, რომლებიც თვლიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადასარჩენი კი არა, გასასამართლებელი და ასაკრძალია, მე ამას კიდევ ვიმეორებ და ყველას ვურჩევ, რომ კარგად დავუკვირდეთ, რაზეა აქ საუბარი. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც კოლექტიური დამნაშავე პოლიტიკური ძალა, ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებში და ასე შემდეგ — თუ ჩვენ ასე შორს წავედით, მაშინ ჯობია, დავიწყოთ ჯერ კომუნისტური პარტიით, მერე მივაყოლოთ მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ნაციონალური მოძრაობა, და ყველა ერთად ავკრძალოთ, გავაუქმოთ და ა.შ. რადგან ჩვენ ეს არ გვიქნია კომუნისტური პარტიის მიმართ, არც „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ იქნება ეს სწორი. ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალური პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

ამის პარალელურად NDI-მ ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა მნიშვნელოვანია. კითხვაზე, თუ რომელ პარტიას მიიჩნევენ ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად, გამოკითხულთა 56%-მა „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ უპასუხა, მაგრამ ცნობილია, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილია, ეს ორგანიზაცია გასამართლდეს.

**„საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, გაერკვია, ვინაა მართალი: უსუფაშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენას ქართული დემოკრატიის ამოცანად მიიჩნევს, NDI, რომლის თანახმადაც „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიაა თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის აზრითაც მოძრაობა უნდა გასამართლდეს.**



## ოთარ ჩრდილელი:
## საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ნამდვილად არ წარმოადგენს «ნაცმოძრაობის» რეანიმირება

**ოთარ ჩრდილელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

— ყველა ადამიანს გააჩნია თავისი სუბიექტური აზრი. პირადად მე, როგორც ერთი დეპუტატი, საზოგადოების მხარეს ვარ. **საქართველოს მოსახლეობას იმიტომ არ მოუცია ჩვენთვის ხმა, რომ ,,ნაციონალურ მოძრაობას“ გადავეფაროთ და მოვახდინოთ მათი რეინკარნაცია.** ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ნამდვილად არ წარმოადგენს „ნაცმოძრაობის“ რეანიმირება. მართალია, მათ მოახდინეს რებრენდინგი, მაგრამ ყალბი პათოსი და საზოგადოებისთვის ოდიოზური სახეები იგივე დარჩა.

სიმართლე გითხრათ, დიდი კადრების სამჭედლო არც არასოდეს ყოფილა ,,ნაციონალური მოძრაობა“. ისინი, როგორც ციყვი ბორბალზე, ყოველთვის ერთი და იგივე სახეებს ატრიალებდნენ წრეზე. არც რესურსი გააჩნიათ, რომ მძლავრ ოპოზიციურ პარტიად ჩამოყალიბდნენ. ვერ ვიტყვი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური პარტიაა, ბევრად საინტერესო მოვლენები გველოდება წინ — ოპოზიციურ ფრთაზე.

**19 აპრილი იყო ,,ნაციონალური მოძრაობის“ დაისი, რომელსაც საკუთარი თვალით შეხედეს. ხალხი, რომელიც 10 წელი მართავდა ქვეყანას, მხოლოდ 10 ათასი კაცის იმედად დარჩა. ვერავინ გაიგო, რა აქცია ჩაატარეს, რისთვის და რატომ. სასაცილოდაც არ მყოფნის ვანოს და მისი რაზმის საუბარი რაღაც ახალ ეროვნულ მოძრაობაზე.**

კარგი იქნება, თუ ძველი ეროვნული მოძრაობის წევრები ხმას ამოიღებენ და თავიანთ პოზიციას დააფიქსირებენ. არ მჯერა, რომ თანამედროვეობის სავლე პავლედ იქცეს. არც მიშა სააკაშვილია მოციქული ანანია, რომ მერაბიშვილს თვალები აუხილოს და მოახდინოს მისი გარდასახვა ავაზაკ სავლედან მოციქულ პავლედ. მოგეხსენებათ, გველმა ტყავი იცვალა, გველი დარჩა გველადა.



## დემურ გიორხელიძე:
## გარდა ვიწრო პოლიტიკური უპერსპექტივო მიზნებისა, «ნაცმოძრაობის» გადამრჩენს სხვა რა უნდა ამოძრავებდეს?

**დემურ გიორხელიძე, ექსპერტი:**

— ბატონი დავით უსუფაშვილის განცხადება არანაირ ჩარჩოში და წარმოდგენებში არ ჯდება, ეს სრული გაუგებრობაა და აი, რატომ: პროგრესული ხელისუფლების ამოცანა კონსტიტუციური გარემოს შექმნაა, სადაც ცალკეული პოლიტიკური ორგანიზაციები მოქმედებენ კონსტიტუციის ფარგლებში და მათი მომავალი მათსავე საქმიანობაზე, კვალიფიკაციასა და პოლიტიკური მოღვაწეობის უნარზეა დამოკიდებული... გადარჩება თუ არა პოლიტიკური პარტია, ეს მის მხარდამჭერებზეა დამოკიდებული და არა ხელისუფლებაზე (ცხადია, დემოკრატიული სახელმწიფო მაქვს მხედველობაში, რადგან მხოლოდ ასეთ სახელმწიფოშია პარტიები თავისუფალი მოღვაწეობისთვის). რატომ უნდა გადაარჩინოს ბატონმა უსუფაშვილმა „ნაციონალური მოძრაობა?“ დაე, ამ პარტიამ იმოქმედოს კანონის ფარგლებში და, თუ ეყოლება მხარდამჭერები, მიიღებს მხარდაჭერას და შემდეგ არჩევნებზე აღმოჩნდება რაღაც სახით პარლამენტში, თუ ვერ მიიღებს მხარდაჭერას, მას სხვა ჩაენაცვლება და ა. შ.

ანბანური ჭეშმარიტებაა. გარდა ვიწრო პოლიტიკური უპერსპექტივო მიზნებისა, გადამრჩენს სხვა რა უნდა ამოძრავებდეს, თორემ ვის რა უფლება აქვს კანონის ფარგლებში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციის, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“, „გადარჩენის“ ანდა გასრესვის? ცხადია, არავის!

რაც შეეხება დანაშაულის პატიებას, არ მესმის და ჩემთვის გაუგებარია: **ბატონი უსუფაშვილი თავის თავზე იღებს დამნაშავე პირების შეწყალებას, თუ ვინმეს ობიექტური სასამართლო პროცესის შემდეგ დაუდასტურდება დანაშაული?! ე.ი. მისი აზრით, დანაშაულის ნიშნები თუ აქვს წინა ხელისუფლების კონკრეტულ პირს ჩადენილი, უსუფაშვილი აპრიორი პატიობს მათ?! ბარაქალა!!!** პოლიტიკოსის წესიერება მოითხოვს, რომ მან საკუთარ ამომრჩეველს წინასაარჩევნოდ უთხრას, რას აპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ... მან ეს არ გააკეთა! ეთქვა 1 ოქტომბრამდე ქართველი ხალხისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა იქნებოდა მისი მიზანი, თუ ისინი დამარცხდებოდნენ. აი, მაშინ იქნებოდა იგი მართალი საკუთარი ამომრჩევლების წინაშე და ეს იქნებოდა მისი მხრიდანაც წესიერი და სწორი საქციელი. ახლა ისე იქცევა, თითქოს მეორე არჩევნები აღარასოდეს ემუქრება. სამწუხაროა!



## ვახტანგ მაისაია:
## ჩემთვის სრულიად მიუღებელია რაიმე ფორმით «ნაციონალური მოძრაობის» არსებობაც კი ქართულ პოლიტიკურ სისტემაში

**ვახტანგ მაისაია, პოლიტოლოგი, ყოფილი პოლიტპატიმარი, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ დამფუძნებელი:**

— ჩემთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წმინდა სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია რაიმე ფორმით „ნაციონალური მოძრაობის“ არსებობაც კი ქართულ პოლიტიკურ სისტემაში, რადგანაც აღნიშნულ ექსმმართველმა ძალამ ქვეყანაში დაამყარა „ხისტი“ ავტორიტარულ-ავტოკრატიული რეჟიმი და საქართველოს განვითარების ტემპების დაცემას შეუწყო ხელი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კუთხით. მსოფლიოში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი პატიმართა მხრივ (სავარაუდოდ 25 ათასამდე) საქართველოში დაფიქსირდა. ქვეყნის გენოფონდის დაკონსერვების წყალობით, საქართველო მიუახლოვდა დემოგრაფიული კატასტროფის ნიშნულს და პირველად კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდიდან მოყოლე- ▶

## ირაკლი ყიფიანი:
## მოსახლეობის 54,97%-მა, ყველა სიკეთესთან ერთად, სამართლიანობის აღდგენას მისცა ხმა და არა კოაბიტაციას

**„არა მგონია, ქართველმა ერმა და საქართველოს მთელმა მოსახლეობამ „პოლიტიკური შაური“ მაინც გაიღოს იმ პარტიის სასარგებლოდ, სადაც „ნაციონალ-ბოლშევიზმის“ მოწოდებები გაიჟღერებს. ამ პარტიას, დარწმუნებული ვარ, მხარს არავინ დაუჭერს, გარდა ყოფილი ჩეკისტებისა.“**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბული ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში დაფიქსირდა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და დევნილთა საკმაოდ დიდი მაჩვენებელი (190 ადამიანი), რამაც საქართველო გადაიყვანა ე. წ. ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმების სტატუსკვოს რიგებში.

**ცხრაწლიანი ავტოკრატიული მმართველობისას, „ნაციონალური მოძრაობის“ უნიათო პოლიტიკური ლიდერობის წყალობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გახდა გეოპოლიტიკურად პრობლემატური და კრიტიკული, ანუ, ფაქტობრივად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეძლო ის, რის გაკეთებასაც კრემლი წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა, შემოიტანა „კოსოვოს“ პრეცენდენტის საშიშროება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართ. ამ პერიოდში აღინიშნა პოლიტიკური მკვლელობებისა და „სიკვდილის ესკადრონების“ ფენომენების გაჩენა** (გავიხსენოთ, გირგვლიანის, რობაქიძისა და კიდევ 140-მდე ახალგაზრდის საზარელი მკვლელობების ფაქტები; სვანეთში აფრასიძეების ოჯახზე განხორციელებული ბარბაროსული შეიარაღებული თავდასხმა; 2012 წლის 26 მაისის სისხლიანი სასაკლაო, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური მკვლელობა და ა.შ.).

მოკლედ, ზემომოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ არავის უნდა შეეფაროს ეჭვი ამ ე. წ. ფსევდო-„პოლიტიკური“ პარტიის საერთოდ არსებობაშიც კი. მე ასე ვთვლი და ასე მწამს და სხვებმა თვითონ თქვან საკუთარი სათქმელი, მათ შორის პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც.

რაც შეეხება NDI-ს კვლევებს, ამ ორგანიზაციას საკუთარი კვლევებიც ჰქონდა გაკეთებული 2012 წლის 1 ოქტომბრამდე და ვერც ერთხელ ვერ შეძლო სწორი „პოლიტიკური დიაგნოზის“ დასმა. აქედან გამომდინარე, მის მიერ ჩატარებულ ამჟამინდელ, ანალოგიური სახის სამუშაოს შედეგებსაც თავისუფლად შეიძლება „ისტორიული მაკულატურის“ სიაში ადგილის მიჩენა.

**ირაკლი ყიფიანი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ საბჭოს წევრი:**

— ვფიქრობ, რომ სტაბილურობის გარანტი და ამასთან, ქართული დემოკრატიის ამოცანა არა რესპრესიული და ავტორიტარული რეჟიმის შემქნელი პარტიის გადარჩენაა, არამედ უშუალოდ შექმნა პრეცედენტისა, როდესაც სისხლის სამართლის დამნაშავე ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები (და არა მხოლოდ) ჩადენილი დანაშაულებისთვის აგებენ პასუხს. რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ ჯანსაღ ნაწილს, ეს იგივეა მკვდარ ორგანიზმში ცოცხალი უჯრედების ძიება დაიწყო. რომელ ჯანსაღ ნაწილზე აქვს საუბარი უსუფაშვილს, როდესაც რეალურად დამნაშავე პოლიტიკური პარტიაა „ნაციონალური მოძრაობა“. პარტია, რომლის მმართველობის დროსაც ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების ყოველგვარ ხელყოფას, მიმდინარეობდა ანტისახელმწიფოებრივი შიდა და საგარეო პოლიტიკის გატარება, ტერორდებოდა ბიზნესი და ა.შ. ამ ყველაფრის შემოქმედი მხოლოდ მმართველი პარტია გახლდათ.

**რაც შეეხება NDI-ს გამოკითხვებს, რომლის შედეგადაც „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად გამოიკვეთა, ვფიქრობ, ტრაგედიაა და უნდა დააფიქროს პარლამენტსმიღმა დარჩენილი ყველა პარტია, რომლებიც წლების მანძილზე იბრძოდნენ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ და რომელთათვისაც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არ გაიღო კარი გარკვეული მიზეზების გამო.**

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ არანაყოფიერი და არასწორი იყო პარლამენტსმიღმა დარჩენილი პარტიების მუშაობა. პარტიამ, რომელიც გაყალბების, სისხლიანი დარბევებისა და საერთაშორისო ასპარეზზე მანიპულირების გზით ინარჩუნებდა 9 წლის მანძილზე ხელისუფლებას, არჩევნებში მოწინავე პოზიციის დათმობის მიუხედავად, გასამართლების ნაცვლად, ხელთ იგდო ძლიერი ოპოზიციის სტატუსი რასაც უკეთილშობილეს სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. თუმცა როდესაც ცალკეული ოპოზიციური პარტიები ზეუსუსურობას იჩენენ, რა თქმა უნდა, ამით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ისარგებლებენ და ისარგებლეს კიდეც, როგორც ვხედავთ.

რაც შეეხება საზოგადოების აზრს და ხედვას მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით, მოდით ნუ გვექნება მოკლე მახსოვრობა და **კარგად გავიხსენოთ, თუ რისი ატანა მოუწიათ საქართველოში მცხოვრებთ — დაცინვა, მათი უფლებების ხელყოფა, ტერორი მცირე თუ საშუალო მეწარმეზე, ქუჩაში თუ სასაფლაოზე ბიჭების წამება-დახოცვა, შიმშილი, შერჩევითი სამართალი, უმუშევრობა, თითიდან გამოწოვილი ომი... თუნდაც ეს ყოველივე არ აძლევთ ამ ადამიანებს ლეგიტიმურ უფლებას, რომ მოითხოვონ რეჟიმის გასამართლება?**

საქართველოს მოსახლეობის 54,97%-მა, ყველა სიკეთესთან ერთად, სამართლიანობის აღდგენას მისცა ხმა და არა კოაბიტაციას. თავისთავად სამართლიანობის აღდგენაში, დარწმუნებული ვარ, არავინ გულისხმობს რეპრესიებსა და დევნას, მაგრამ ტენდენციები უნდა შეინიშნებოდეს იმისა, რომ დაწყებულია პროცესი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ დიდი იმედით მისცა ხმა და რასაც ასე მონატრებული იყვნენ ქართველები, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია, რასაც ყველასთვის და ყველაფრისთვის საკუთარი სახელის დარქმევა ჰქვია.

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

ჭაბუა ამირეჯიბი:

# მიხეილ სააკაშვილში ქართული არაფერია





**დიდი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი „საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს უპასუხებს.**

**— უპირველესად, როგორ შეაფასებთ „ნაციონალების“ 19 აპრილის ისტერიკას რუსთაველის პროსპექტზე?**

**რა იყო ეს — ყოფილი ხელისუფლების გაბრძოლება რეინკარნაციისთვის თუ სრულიად საქართველოს სირცხვილი, რომელმაც „ნაცებს“ ასეთი „გაგულავების“ უფლება მისცა? ან, ეგებ, ეს იყო ყბადაღებული კოაბიტაციის განხორციელების საჩვენებელი მაგალითი? თუ ჩვეულებრივი დღე იყო, რომელმაც ჩაიარა და არაფერი შეიცვალა?**

— „კოაბიტაციაში“ თუ ეროვნული და სოციალური ერთობის მიღწევა იგულისხმება, რა თქმა უნდა, მეც, ყველა ჭკუათმყოფელი ქართველივით, ამ შესაძლო ერთობის მომხრე ვიქნებოდი. მაგრამ კოაბიტაციის, როგორც პოლიტიკური ტერმინის, თუ გნებავთ, როგორც საერთო ეროვნული ღონისძიების ტერმინის განმარტება ჩემს ხელთმისაწვდომ ლექსიკონებში ვერ ვნახე. ამდენად, თავს ვიკავებ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან. ისე კი სათქმელს ვიტყვი — ხმარებაში ყოველი ახალი ტერმინის შემოღება, ნიშნისმოგებად თუ არა, თავის ქებად მიმაჩნია — აი, როგორი განათლებული ვარო!

მეორე: უფრო მართებული იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ის მიტინგი თუ თავყრილობა ბევრს ვერაფერს შეცვლის საქართველოში დღესდღეობით არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში და მთავრობის პოლიტიკაში.

**— ახალი ხელისუფლების მეექვსე თვის თავზე რით ხართ უკმაყოფილო?**

— არაფრით, გარდა იმისა, რომ, რა სიკეთეც კეთდება, ნელი ტემპით ხასიათდება. მართალია, სიფრთხილე სახელმწიფოს მართვის საქმეში აუცილებელია, მაგრამ არც ქმედების გონივრულად მაღალი ტემპია დასაძრახი.

**— ნაციონალ-ბოლშევიკებმა „ახალი ეროვნული მოძრაობის“ დაწყება „დაგვიანონსეს“ და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისკენ მოუწოდეს ქართველ ხალხს.**

**თქვენი კომენტარი?**

— **არა მგონია, ქართველმა ერმა და საქართველოს მთელმა მოსახლეობამ „პოლიტიკური შაური“ მაინც გაიღოს იმ პარტიის სასარგებლოდ, სადაც „ნაციონალ-ბოლშევიზმის“ მოწოდებები გაიჟღერებს. ამ პარტიას, დარწმუნებული ვარ, მხარს არავინ დაუჭერს, გარდა ყოფილი ჩეკისტებისა.**

**— მაშინ, როცა ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო მტკიცდება აზრი „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის თაობაზე, ამ მოძრაობის ლიდერები ხელისუფლებაში დაბრუნებისა და ბიძინა ივანიშვილის ვადამდე მოცილების ლოზუნგს ისვრიან.**

— ამ საქციელში ახალი თუ მოულოდნელი სრულიად არაფერია. ისინი, ანუ ე. წ. ნაციონალები ჩამოყალიბებულ ვითარებას სხვას ვერაფერს დაუპირისპირებენ. საკუთარ მომხრეებს, ასეთი პოლიტიკის წარმოების გარდა, სხვას ვერაფერს შესთავაზებენ.

**— შეიძლება თუ არა „ნაციონალური მოძალებისგან“ საქართველოს დეოკუპაცია?**

— ყველანაირი ხერხის გამოყენებაა შესაძლებელი იმ აუცილებელი პირობით, თუ ამ ხერხში სიფრთხილე იქნება გათვალისწინებული. „ნაციონალები“, ანუ უმცირესობა, არანაირ ღონისძიებას დაერიდებიან, თუ მისი განხორციელება ბრძოლის არსებულ საფეხურზე მცირე გამარჯვებას მაინც მოუტანს.

**— რატომ წუხს სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების დაწყების გამო?**

— ცხადია, იმიტომ, რომ **სამხრეთ ოსეთის, ანუ სამაჩაბლოს დაკარგვა სააკაშვილის მიერ წამოწყებული დაკარგული ტერიტორიის სადამბრუნებლო ოპერაციების შედეგია.** ეს დადასტურდა იმ ოპერაციების დასაწყისსა და მსვლელობაში.

**— ვითომ არ „გაყიდის“ მიშა თავის ქვეშევრდომებს გამოძიების პროცესში?**

**ამ შეკითხვის დასმის უფლებას მაძლევს „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაწყებული „ჩაშვების“ ჯაჭვური რეაქცია — ნახევრადდაშლის პერიოდი.**

— განწირული პოლიტიკოსისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მითუმეტეს მაშინ, როცა ხმოსანთა დიდი უმრავლესობის დამოკიდებულება არსებული მმართველი ძალის მიმართ, მიშა იქნება, თუ გრიშა — უარყოფითია.

**— არის მიხეილ სააკაშვილი ქართული ფენომენი?**

— იმის მიხედვით, რაც მან საქართველოს დამართა საკუთარი მმართველობის პერიოდში, ვგულისხმობ ფასეულობათა გასხვისებებსა და სხვა „სიკეთეებს“ — **მასში ქართული არაფერია.**

**— აფხაზეთის პრობლემა, ცხინვალის პრობლემა, ფაქტობრივად, მიგდებულია ჩინოვნიკზე — თუნდაც მინისტრის რანგში.**

**თუ აღიარებულია, რომ კონფლიქტური რეგიონები ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ტკივილია, როგორ ფიქრობთ, ხომ არ უნდა გახდეს ამ სატკივარის მოგვარება, ისევე, როგორც რუსეთის მიმართულებით მუშაობა მომავალი პრეზიდენტის უპირველესი, კანონმდებლობით დამტკიცებული მოვალეობა? თორემ, როგორც ერთმა ჭკვიანმა ჟურნალისტმა თქვა, იმ პირობებში, როცა ახალი კონსტიტუციით, ქვეყნის განვითარების უმთავრესი საშინაო და საგარეო საკითხები პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტი იქნება, მომავალ პრეზიდენტს სახელმწიფო საქათმეში ყვერულის ადგილიღა დარჩება.**

**თუ შემოთავაზებული წინადადება განხორციელდება, პრემიერს საშუალება მიეცემა თავისი ფუნქციების შესრულებაზე სრულად იყოს კონცენტრირებული, პრეზიდენტსაც სერიოზული ფუნქცია გაუჩნდება.**

— მე მგონი, ძალიან კარგი იქნება, თუ ეს წინადადება ხორცს შეისხამს.

**— ხომ არ ჰგავს პრეზიდენტობაში ჩარჩენილი მიხეილ სააკაშვილი კლასში ჩარჩენილ ოროსან მოსწავლეს, რომელმაც სასწავლო პროგრამა ვერ აითვისა და არც გარანტიაა, რომ აითვისებს?**

— ჩინებული განსაზღვრებაა.

**— თქვენი ტრადიციული მოწოდება — „ჭკუით, ქართველებო!“ — ძალაში რჩება?**

— ვადასტურებ — ჭკუით, ქართველებო!!!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჰურიეთმა“ აღნიშნა, რომ ძმები ცარნაევები „ორმაგი აგენტები იყვნენ“ და ემსახურებოდნენ როგორც აშშ-ს, ასევე საუდის არაბეთის სპეცსამსახურებს, რომლებიც მხარს უჭერენ კავკასიაში „ვაჰაბური“ ორგანიზაციების გაძლიერებას, მაგრამ ძმებმა უღალატეს აშშ-ს და რადიკალი ისლამისტების მხარეს გადავიდნენ.**

# უსამადან ტამერლანამდე, ანუ, ღმერთო, რატომ არ დაიფარე ამერიკა?!

**ერთი კვირაა, მეტი თუ არა, მსოფლიო პირველი ნიუსების რეიტინგში აშშ-ში, ბოსტონში, მარათონის ფინიშთან მომხდარ აფეთქებას პირველი ადგილი უკავია.**
**არა მსხვერპლის რაოდენობით: ამ დღეებში ჩინეთში მიწისძვრით გამოწვეული მსხვერპლის რაოდენობა შეუდარებლად დიდია, არის მსხვერპლი თურქეთშიც, რუსეთშიც — მეტი და მეტი, მაგრამ ბოსტონის ტერაქტმა მსოფლიო მედიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ამერიკაში — უპირველეს ყოვლისა.**



დღეს ამერიკელები ტერაქტის მომწყობ ძმებ ცარნაევების შესახებ გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობენ, ვიდრე აშშ-ის პრეზიდენტის ბიოგრაფიის ზიგზაგებზე.

ალბათ, — ვთქვათ ზრდილობისთვის.

ზოგიერთ დეტალს ამ პუბლიკაციაშიც შეგახსენებთ. მაგრამ მანამდე — იმის თაობაზე, თუ რატომ გახდა ესოდენ დიდი ინტერესისა და განსჯა-განხილვის საგანი მაინც და მაინც ბოსტონის ტერაქტი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მიზეზთა შორის უპირველესი არის ის, რომ **ტერაქტი, აღიარებული კლიშეს მიხედვით, მოხდა მსოფლიოში ყველაზე დაცულ, უსაფრთხო და სტაბილურ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც, ასევე მსოფლიოში გავრცელებული აზრით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მებაირახტე სახელმწიფოა, ავანგარდში დგას.**

განსაკუთრებით — ერაყში, ავღანეთში.

მაგრამ **სწორედ ამერიკის სკოლებში თითქმის ყოველ კვირაში, როგორც გასართობი ატრაქციონების სასროლეთში, ესვრიან მასწავლებლებს და მოსწავლეებს, უსუსურ და უდანაშაულო ბავშვებს.**

ამერიკელ მოქალაქეთა მოთხოვნას — გამკაცრდეს ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვის წესები, დაუყოვნებლივ მოჰყვა მოწინააღმდეგეთა აღშფოთებული რეაქცია — ამით ხელყოფთო აშშ-ის კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპს — აშშ-ის მოქალაქეებს უფლება აქვთ, შეიარაღდნენ.

და — **კონსტიტუციის ძალით ბავშვებზე ნადირობა გრძელდება.**

მაშასადამე, მიზეზები საზოგადოებრივი წყობის, სახელმწიფო მმართველობის გაცილებით უფრო ღრმა შრეებში უნდა ვეძებოთ, ვიდრე სხვისა ომში ბრძენთა ამბიციურ დიდაქტიკაში.

გააანალიზონ, მათი საქმეა, ჩვენ კი უფლება დაგვიტოვონ, დავეჭვდეთ მსოფლიო წესრიგის იმ პრინციპების შეურყვნელობაში, რომელთაც გვთავაზობენ და რომელთაც არსად ივარგა — არც ერაყში, არც აზიაში, არც, ღმერთო შეგცოდე, თავად ამერიკაში.

ეს ერთი.

მეორე ორმაგი სტანდარტებია.

კაცმა რომ თქვას, ამ ორმაგობის არსებობაზე ყველა თანხმდება.

ასეა და — არ ვარგა. აქ საკამათო არაფერია. მაგრამ, კონკრეტიკით გამაგრებული, სხვა ძალას იძენს. განსახილველ შემთხვევაში — განსაკუთრებით.

მაგალითად, **ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი აშშ-მა ამ დღეებში გამოქვეყნებულ ე.წ. მაგნიცკის სიაში შეიტანა, ე.ი. პერსონა ნონგრატად გამოაცხადა, აუკრძალა აშშ-ში შესვლა.**

**რუსეთმა საპასუხო სია გამოაქვეყნა.**

ვინ რა მოიგო ამ გაცვეთილი დიპლომატიური მანევრით?!

ან რა დიდი ჭკუა და გონება სჭირდება ასეთ ცუნცვაგს — „გაკეთება არ შეიძლება, გაუკეთებლობაც არ შეიძლება“.

მაგრამ, როცა ამ თემას განიხილავენ, ანალიტიკოსები უმალვე გაიხსენებენ და ერთმანეთს დაუპირისპირებენ ორ ურთიერთგამომრიცხავ ფაქტს, რომელთაც ერთი ძირი აქვთ.

როგორც ვთქვით, **ჩეჩნეთის პრეზიდენტი დასავლეთისთვის მიუღებელი პიროვნებაა. ხოლო მეორე ჩეჩენი — აჰმად ზაკაევი — გულში ჰყავთ ჩაკრული.**

ორივე ჩეჩენია წარმოშობით და რწმენით.

ოფიციალურ წყაროებში მითითებულია, რომ **ზაკაევი, ერთ დროს გროზნოს დრამატული თეატრის მსახიობი, ბრიგადის გენერალი, იჩქერიის ვიცეპრემიერი (შემდეგ პრემიერად გამოცხადებული), კულტურის, საგარეო საქმეთა მინისტრი; ჩეჩნეთის მეორე ომის დროს — საველე მეთაური.**

**2001 წელს რუსეთის გენერალურმა პროკურორმა მასზე, როგორც ტერორისტზე, საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.**

**დიდმა ბრიტანეთმა კი პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.**

**ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია!**

**მაღალი პრინციპები მუთაქის ქვეშ ამოიდეთ!**

ასეთ უპრინციპობას ბოსტონის ტერაქტამდე მივყავართ, ტერორისტებამდე, ცარნაევებამდე.

**აშშ-ის მედია იუწყებოდა, რომ ძმები ამერიკაში ლეგალურად ცხოვრობდნენ, ამომრჩევლებადაც კი იყვნენ რეგისტრირებულები მასაჩუსეტსის შტატში, ჰქონდათ სოციალური დაზღვევის ნომრებიც, რომლებიც აშშ-ის მოქალაქეებს ურიგდება. მოკლედ, ამერიკელი მოქალაქეების უფლებებით სრულად იყვნენ აღჭურვილები.**

რომელ დამსახურებათა გამო?

უკვე დადგენილია, წერს **Los Angeles Times**, რომ ტამერლან ცარნაევი, რომელიც, ვარაუდობდნენ, ჯერ კიდევ 3 წლის წინათ დაკავშირებული იყო ისლამისტ რადიკალებთან, შარშან ნახევარი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ჩეჩნეთსა და დაღესტანში, მაგრამ დღემდე არ არის ცნობილი, თუ რით იყო იქ დაკავებული. ეჭვობენ, რომ იგი იყო დაკავშირებული „იმარატ კავკასიის“ და „ვილაიათ დაღესტნის“ იატაკქვეშეთთან, რომელიც რუსეთში ძირგამომთხრელი საქმიანობით არის დაკავებული.

„ჩემი მტრის მტერი“?..

არ არის გამორიცხული, თორემ **რატომ მისცემდნენ ტამერლან ცარნაევს თავისუფლად მოქმედების უფლებას, როცა ეს ჩეჩენი ახალგაზრდა, კარგად იყო ცნობილი აშშ სპეცსამსახურებისთვის: 2011 წელს იგი დაჰკითხეს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა უცხოეთის დაუსახელებელი სახელმწიფოს თხოვნით.**

გასულ შაბათს, — წერს ამერიკული პრესა, — **ამერიკის სპეცსამსახურების ანონიმურმა წყაროებმა დაადასტურეს, რომ ეს თხოვნა მომდინარეობდა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურიდან, რომელსაც ინფორმაცია საკუთარი გამოძიებისთვის დასჭირდა.**

ამაზე უფრო გამჭვირვალედ თქმა წარმოუდგენელიც კია: როცა რუსეთის სპეცსამსახური ინტერესდება გარკვეული პიროვნებით, ეს ნიშნავს, რომ მავანი ადამიანი, ჩვენს შემთხვევაში, ტამერლან ცარნაევი, რუსეთისთვის მინიმუმ არაკეთილსაიმედო პიროვნებად იყო მიჩნეული.

აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ვერაფერი(!) საეჭვო ვერ აღმოაჩინა.

**იატაკქვეშა დაჯგუფებამ „ვილაიათ დაღესტნის მოჯაჰედების სარდლობამ“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც „კავკაზ-ცენტრის“ საიტზე განთავსდა, რომ კავკასიის მოჯაჰედები არ ეწევიან სამხედრო მოქმედებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ომობენ რუსეთთან**.

სამაგიეროდ ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში **ცარნაევების ნათესავები ირწმუნებოდნენ, რომ უფროსი ძმა ტამერლანი რადიკალური იდეოლოგიის, ვაჰაბიზმის მომხრე სწორედ აშშ-ში გახდა.**

ჰოდა ამ ვაჰაბიტი ახალგაზრდა კაცის მიმართ, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო განწყობილი, აშშ-ის სპეცსამსახურებმა ვერაფრი საეჭვო ვერ აღმოაჩინეს(!).

თუმცა დასაეჭვებელი საკმარისზე მეტი ყოფილა. საინფორმაციო პორტალი **Buzz-Feed** იტყობინება, რომ ტამერლან ცარნაევის მეგობრები ეჭვობენ, რომ ამერიკის ქალაქ უოლტემში 2011 წელს მომხდარ მკვლელობაში მისი ხელი ურევია. **„მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს იყო ტამი** (ტამერლანი. — ა.ს.). **იმ მოვლენამ (მკვლელობამ) იმდენი ემოცია გამოიწვია, რომ ჩვენ ამის გამკეთებლად სხვა მივიჩნიეთ“,** — თქვა ცარნაევის მეგობარმა რემმა. **„რამდენიმე ჩემი მეგობარი, რომლებიც ამაზე არც ლაპარაკობდნენ, ახლა ფიქრობენ, რომ ტამერლან ცარნაევი გარეულია მკვლელობაში, რომელიც 2011 წელს მოხდა“,** — აღნიშნა მან.

რემის თქმით, მან ტამერლან ცარნაევი 2010 წელს გაიცნო. მაშინვე შენიშნა, რომ მას სძულდა სხვა ადამიანები — განსხვავებული რელიგიური მრწამსის ნიადაგზე.

მათი ურთიერთობა სამმაგი მკვლელობის შემდეგ შეწყდა. ტამერლანის მეგობრები გაოცებულნი დარჩნენ, როცა იგი არ მივიდა მისი საუკეთესო მეგობრის, ბრენდან მესის, დაკრძალვაზე. **„ტამი დაკრძალვაზე არ ყოფილა, იგი მაშინ საერთოდ არ გამოჩენილა... იმ სამ ბიჭს ყელი გამოსჭრეს, მათ ტანსაცმელს ბევრი მარიხუანა ეყარა. ისინი საშინელი ხერხით მოკლეს“...**

პოლიციაში ფიქრობენ, რომ ბინაში, სადაც მკვლელობა მოხდა, კიდევ ორი მამაკაცი იმყოფებოდა. მათი ვინაობა დღემდე დაუდგენელია.

ამჟამად ჯოხარ ცარნაევი გონზეა მოსული და ჩვენების მიცემა დაიწყო, — იტყობინება **ტელეარხი ABC** აშშ სამართალდაცვის წყაროზე დაყრდნობით. იგი მიუთითებს ადგილებს, სადაც სხვა ბომბები იყო მოთავსებული, ასახელებს თანამზრახველებს.

ძმებ ცარნაევების წლების განმავლობაში არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან, განაცხადა რესპუბლიკის მეთაურის პრესმდივანმა ალვი კარიმოვმა. **„პირებს, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ბოსტონში დანაშაულის ჩადენაში, ჩეჩნეთთან არავითარი ურთიერთობა არ აქვთ,** — განუცხადა გასულ პარასკევს კარიმოვმა „ინტერფაქსს“, — **პირებს, რომლებზეც ლაპარაკია, მოწიფულობის წლებში ჩეჩნეთში არ უცხოვრიათ და, თუ ისინი „ცუდები“ აღმოჩნდნენ, იმათ უნდა მოეკითხოს, ვინც ისინი აღზარდა“.**

მაგრამ ვინაა მომკითხავი?

**ცნობისთვის:** იმის გამო, რომ ცარნაევი კისერშია დაჭრილი, ექიმების აზრით, ვეღარასოდეს ალაპარაკდება. გამომძიებლების შეკითხვებს იგი წერილობით უპასუხებს.

ჰოსპიტალ **Beth Israel Deaconess,** სადაც იგი სპეციალურად მოწყობილ პალატაშია მოთავსებული, ბოსტონის ტერაქტის დროს დაჭრილი ათამდე ადამიანი მკურნალობს.

აი, ესაა ბედის ირონია...

თურქეთის პრესა, რომელმაც ბოსტონის ტერაქტის გაშუქებას დიდი ყურადღება მიაქცია, გამოყოფს რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების საუბარს ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით. ხაზი გაესვა მათ მზადყოფნას, გააააქტიურონ თანამშრომლობა უშიშროების უზრუნველყოფისა და ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში (**Hurriyet, 21.04**).

რიგმა გაზეთებმა გამოყვეს „კავკასიის ემირატების“ განცხადება იმის თაობაზე, რომ კავკასიელი მოჯაჰედები ებრძვიან არა აშშ-ს, არამედ რუსეთს, რადგან მიაჩნიათ, რომ რუსეთის ბრალია კავკასიის ოკუპაცია (**Radilak, 22.04, Star, 21.04**).

**„ჰურიეთმა“ აღნიშნა, რომ ძმები ცარნაევები „ორმაგი აგენტები იყვნენ“ და ემსახურებოდნენ როგორც აშშ-ს, ასევე საუდის არაბეთის სპეცსამსახურებს, რომლებიც მხარს უჭერენ კავკასიაში „ვაჰაბური“ ორგანიზაციების გაძლიერებას, მაგრამ ძმებმა უღალატეს აშშ-ს და რადიკალი ისლამისტების მხარეს გადავიდნენ.**

2011 წელს რუსეთი აშშ-ს აფრთხილებდა, რომ ტამერლან ცარნაევი შეიძლება იყოს რადიკალური ისლამის მიმდევარი (**Aksam, 22.04),** მაგრამ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ეს გაფრთხილება ყურად არ იღო.

ხელს არ აძლევდა და იმიტომ? ხელი დააფარა თავის აგენტს?

ასეა თუ ისე, ტრაგედიად კი შემოუბრუნდათ.

გაზეთმა **„რადიკალმა“** პირი მობანა თურქეთს, უარყო ამერიკის პრესაში გამოქვეყნებული ინფორ-

**საჭიროა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს რიგი ცვლილებებისა, რომლებშიც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის შეზღუდვები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისებას.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მაცია იმის თაობაზე, რომ ძმები ცარნაევები აშშ-ის ტერიტორიაზე შევიდნენ თურქეთის გავლით (გარკვეული მინიშნება იყო იმაზე, რომ ცარნაევებს, შესაძლოა, კავშირი ჰქონდათ თურქ ვაჰაბელებთან). თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ტამერლან ცარნაევი მხოლოდ ერთხელ, 2003 წელს, ათი დღით იმყოფებოდა თურქეთში, ჯოხარ ცარნაევს კი არასოდეს ფეხი არ დაუდგამს თურქეთის მიწაზე.

**„სტარი“** აქვეყნებს რუსეთის პრესმდივნის განცხადებას, რომ ტერორისტებს ეროვნება არ აქვთ, და ყველა ტერორისტი, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, შესაფერისად უნდა დაისაჯოს.

მაგრამ ის, რაც ამერიკის შეერთებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკმა **როი პოტერმა** განაცხადა, იმდენად კატეგორიული და იმდენად რადიკალურია, რომ ძნელი დასაჯერებელიც კია: **„ჩეჩნეთის კვალი,** — თქვან მან, — **აშკარა დაცინვაა, მასხრად აგდებაა იმათი მხრიდან, ვინც აშშ-სა და დანარჩენ მსოფლიოში აწყობს ასეთ ტერაქტებს“.**

ბოსტონის ტერაქტის ფაქტიდან გამომდინარე, იგი აცხადებს, რომ, **რასაც დღეს ამერიკელები განიცდიან, „ერთ-ერთი ყველაზე საშიში მომენტია ამერიკის ისტორიაში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი კენედი მოკლეს“.**

იგი დარწმუნებულია, რომ აშშ-ის მთავრობაში კონფლიქტია, რომ მთავრობის შიგნით არიან ბანდები, რომლებიც მზად არიან, ხელთ იგდონ ძალაუფლება, რომელიც პუტჩის სახით იქნება განხორციელებული.

როი პოტერი მიიჩნევს, რომ **„მოცემულ ოპერაციაში მონაწილეობდნენ პროფესიონალები და არა გიჟები, ნარკომანები ან ვიღაც ჩამოსულები... მაგრამ თქვენ სწორედ ასე მოგაწვდიან აღნიშნულ შემთხვევას, აი, ნახავთ. იგი, ვინც ეს გააკეთა, ცოცხალი აღარ არის, მას უკვე ტყვიით გაუხვრიტეს შუბლი, იმიტომ, რომ უნდა წაშალონ ყველა კვალი. ისინი ამას იზამენ“.**

დაბოლოს, ვიცეპოლკოვნიკი მიმართავს აშშ-ის მთავრობას:

**„თქვენ ხართ მატყუარები, ცრუპენტელები... თქვენ კლავთ ამერიკელებს იმიტომ, რომ გაქვთ გარკვეული მიზნები... თქვენ ხართ სისხლს მოწყურებული გორილები... ჩვენ ამ ინფორმაციას ყველგან გავავრცელებთ, ადამიანები დაინახავენ ყველაფერს... და თუ ამერიკლეებს ამის დანახვა, ამის გაგება არ სურთ, და თუ ყველაფერი საბოლოოდ დაიმსხვრევა (დაინგრევა სისტემა, დაიწყება ომი, მასობრივი დახვრეტები და ა. შ.), ჩვენი ბრალი იქნება.**

**თქვენი ბრალი იქნება, თუ არ გაიღვიძებთ ბოლოს და ბოლოს, მკვლელები კი თავისუფლად ივლიან...**

**დაბოლოს დავძენ: მე აქ იმიტომ არ ვარ, რომ გადავარჩინო ამერიკა, არამედ იმიტომ, რომ გადავარჩინო სიმართლე... ამერიკა ის ადგილია, რომელიც უნდა დაიწვას, დაიფერფლოს... იმიტომ, რომ იგი არაფრად არ ღირს“.**

**ღმერთო, დაიფარე ამერიკა!**

**არმაზ სანებლიძე**

# დავიცვათ ჩვენი საარსებო და თავის სარჩენი ბაზა

**„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების თაობაზე საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება შევიდა. გთავაზობთ ამ საკანონმდებლო წინადადების ავტორთა წერილს.**



თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების, კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების, პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს, პირველ რიგში, ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება და ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ სახელმწიფოთა უმრავლესობა მეტად ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების საკითხს და ზოგიერთ შემთხვევაში ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია მისი ფასი. **მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.** სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (BVerfGE 21, 37 [82]) განმარტა: **„იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძლულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი საქონელი“.**

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. **უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისთვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.**

თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავის რჩენის მთავარი ბაზა — სასოფლო-სამეურნეო მიწა — მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.

**26. 06. 2012 წლამდე საქართველოში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული იყო საქართველოში უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა. თუ იგი სასოფლო სამეურნეო მიწას მემკვიდრეობით საკუთრებაში მიიღებდა, მას მიღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 6 თვის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეზე უნდა გაესხვისებინა.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით, მსგავსი აკრძალვა ძალადაკარგულად ითვლება.

საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არ არის დაშვებული კანონმდებლის მიერ იმავე შინაარსის ნორმის მიღება, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონში არა ბლანკეტური აკრძალვა, ისეთი, როგორიც ნორმის გაუქმებამდე იყო, არამედ მხოლოდ შეზღუდვა ჩაიდოს. სწორედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ იგი არაკონსტიტუციურად თვლის უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონის ბლანკეტურ (სრულად) აკრძალვას და არა ამ უფლების შეზღუდვას.

**საკუთრებას სოციალურ სახელმწიფოში, მესაკუთრის კერძო ინტერესების დაკმაყოფილების პარალელურად, აქვს სოციალური ფუნქცია. სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის.**

ამიტომაც, **შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებაში ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.** ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გავითვალისწინოთ, როგორიცაა, მაგალითად, ავსტრიაში (უცხოელი 10 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში, სადაც ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას შეიძენს) ან კიდევ თურქეთში (მას მხოლოდ გარკვეული ოდენობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა შეუძლია ჰქონდეს საკუთრებაში), ან კიდევ პოლონეთში (სანებართვო სისტემა ამუშავდეს), ასევე საინტერესოა გერმანიის მაგალითი (სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ასეა ავსტრიაშიც). ასევე სასარგებლო იქნება არგენტინის მაგალითის გამოყენებაც, სადაც სასოფლო-სამეუნეო მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი ან რამდენიმე ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით.

**ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი იაპონიაში, ისლანდიაში, მექსიკაში, კანადასა და სხვ. აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდელობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.**

**აშშ-ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც, ძირითადად, ევროპელები და კანადელები არიან.**

**საჭიროა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს რიგი ცვლილებებისა, რომლებშიც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის შეზღუდვები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისებას.**

**სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველ უცხოელთა მიმართ უნდა დაწესდეს შემდეგი შეზღუდვები:**

ა) უცხოელის მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა დაშვებულია მხოლოდ ორ-ნახევარი (2,5) ჰექტრის ოდენობით (თითოეულ კომლზე/პირზე). საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მხოლოდ 5% შეიძლება იყოს უცხოელთა საკუთრებაში;

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ, ისე, რომ მისი ფუნქციობა შეესაბამებოდეს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს;

გ) საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელშიც საქართველოს მოქალაქე წილობრივად ფლობს არანაკლებ 51%-ს. შერეული კაპიტალით შექმნილ, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე ჯამურად დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის არა უმეტეს 10%-ის შეძენა;

დ) უცხოელი, რომელსაც სურს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, უნდა:

— ცხოვრობდეს საქართველოში კანონიერად ბოლო 10 წლის განმავლობაში;

— ჰქონდეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება, სოფლად ცხოვრებისა და აგრარული შრომის ხუთწლიანი გამოცდილება;

— ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის საჭირო კაპიტალს;

ვ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას.

**ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს საშუალება, შევარბილოთ ჩადენილი დანაშაულის კატასტროფული შედეგები, მივიღოთ სათანადო კანონი.**

**ანა ფირცხალაშვილი,**
**სამართლის დოქტორი, პროფესორი;**
**პაატა კოღუაშვილი,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**ზაურ ჯინჯოლავა,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველმა ხალხმა თვითონ შეძლო ხელისუფლებიდან გაეპანღურებინა ნაცისტი დამნაშავეები, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანას ხელს უშლიან „მეგობარ“ სახელმწიფოებში ჩაბუდებული ბოროტი სულები თავიანთი კოაბიტაციით. თუ ნაცისტი დამნაშავეები ნიურნბერგის მსოფლიო ტრიბუნალმა გაასამართლა, ამათ ქართველი ხალხი თვითონ გაასამართლებს და სასჯელსაც დამსახურებისამებრ მიუზღავს.**

# ქართული მიწა სისხლის ცრემლებად დნება

**ქართველ ერს თავისი ისტორიის გრძელ გზაზე უბედურების, ტანჯვა-წამების და ყოფნა-არყოფნასთან ჭიდილის მეტი რა უნახავს. უფლისმიერი ნაკურთხი მიწა შემოაჭამეს, დაგლიჯეს, დააკნინეს, დაასუსტეს, მაგრამ ვერ მოსპეს; ქართული გენის გიზგიზა კოცონი ვერ ჩააქრეს. აგერ, დღევანდელობამდე მოაღწია შაგრენის ტყავივით შემცირებული სამშობლოთი უძველესი ენის, დამწერლობის, ზნეობის, კაცთმოყვარეობისა და სიკეთის მატარებელმა ერმა. სწორედ ამიტომ კაცობრიობის შეგნებული და სიმართლის მქადაგებელი ჯანსაღი ნაწილი მარგალიტივით უნდა უფრთხილდებოდეს მის არსებობას.**



დაქუცმაცებული, დანაწევრებული, გაგლეჯილ-გამოგლეჯილი იქნევდა მახვილს და მტაცებლებთან უთანასწორო ბრძოლებში აწრთობდა ერისა და მამულისადმი სიყვარულს. ყოფილა ჟამი სიკვდილ-სიცოცხლისა, მაგრამ „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა!..“. გადარჩა, გაერთიანდა და შვებით ამოისუნთქა.

თემურ ლენგი, შაჰ აბასი, აღა მაჰმად ხანი... მრავალი დაუნდობელი დამპყრობელ-ამომგდები გვესეოდა, ყველაფერს სპობდა და ანადგურებდა, მაგრამ ქართველი ხალხი ბრძოლას არ წყვეტდა, ყოველი შემოსევის შემდეგ ფენიქსივით ახერხებდა წამოდგომას. ამჟამად კი სულ სხვაგვარი განსაცდელის ჟამი დაუდგა. **ამდენი თავისივე ჯიშისა და მოდგმის მუხთალი რომ გამძვრალიყო ქვეყნის მართვის სადავეებთან, ვერ გაიხსენებს საქართველოს ისტორიის გაყვითლებული ფურცლები.**

იყო პერიოდი, როდესაც „ნაციონალური ჭირისგან“ თავის დახსნა თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ, რამეთუ ხალხის ერთობლივად გაბრძოლება ვერ ხერხდებოდა. ამ დროს ბიძინა ივანიშვილმა, არავითარი სიკეთე რომ არ აკლდა, გვერდით გადადო უშფოთველი ცხოვრება და ჩაუდგა სათავეში ქართველი ხალხის საშინელი „ნაციონალური ჭირის“ წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავად რეპრესიებისა, არჩევნებზე ხალხმა გაიმარჯვა და ახლა გვაქვს ორხელისუფლებიანობა: ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით — მთავრობა და პარლამენტი უმრავლესობით; პრეზიდენტი სააკაშვილი შემორჩენილი გამგებელ-რწმუნებულებითა და პარლამენტის უმცირესობით.

**ბიძინა ივანიშვილის ყოველ მცდელობას ქვეყნისა და ხალხის სავალალო მდგომარეობიდან გამოსაყვანად თან ახლავს სააკაშვილისა და მისი ნახირის საპროტესტო ღრიალ-ბღავილი. მარტო ეს რომ იყოს, კიდევ რა გვჭირდა. დემოკრატიის ბურჯი დასავლეთი შეშფოთდა „ნაციონალების“ ესოდენი შევიწროებით და ატეხა ხმაური.** დღემდე არავის რომ არ გახსენებია და კუბლაშვილი თავისი სიმპათია-ანტიპათიებით ნიშნავდა მოსამართლეებს, ისინიც უდანაშაულო ადამიანებს ენერგიულად ერეკებოდნენ გლდანის საკონცენტრაციო ბანაკში. ახლა ამ მოსამართლეებს რომ შეუტიეს, გამოჩხრიკეს ვენეციის კომისია, რომელსაც სულაც არ შეუწუხებია თავი საქართველოში სასამართლო უსამართლობის კალოს რომ ლეწდა, ახლა ჭკუას გვასწავლის, რამეთუ ჰგონია, რომ ქართველები ღრმად დაარწმუნეს თავიანთი მამიდის პატიოსნებაში.

ებრაელებმა უდაბნო სამოთხედ აქციეს და დღეს პატარა ისრაელი მოწინავე, განვითარებულ ქვეყნებს შორის დგას. ღალატმა და მუხთლობამ სამშობლო სამოთხე ჯოჯოხეთად გვიქცია და დღეს განუვითარებელი, ჩამორჩენილი ქვეყნების კუდში მივჩანჩალებთ.

ჩვენი ასეთი დაკნინება ყველაზე უფრო „ნაციონალების“ მიერ სტრატეგიულ პარტნიორებად მონათლულ ვაიმეგობრებს აძლევთ ხელს, თან დამცინავად ელიმებათ, ეს საცოდავი საზღვრებმორღვეული საქართველო ჩვენი გულის მოსაგებად როგორი ენერგიით მოგვყვება ავღანეთის ავანტიურაშიო.

მოსახდენი მაინც მოხდა და მათმა ლაქია პრეზიდენტმა ხალხისგან მძლავრი პანღური მიიღო და თავისი მაღალჩინოსნებიანად გლდანის სანატორიუმის საგზურის მიღების აჩრდილი არ ასვენებს.

შეშფოთდნენ თავიანთი ძაღლიშვილების სავალალო მდგომარეობით და აგერ — ვენეციის კომისია, ევროპარლამენტის მუქარა, ამერიკელების თითის ქნევა, ნატოს სამი თითის კომბინაცია და შედეგად ევროატლანტიკური ბუს კვერცხებით გამოჩეკილი კოაბიტაცია. „ნაციონალური მოძრაობა“ კი რის ოპოზიციაა, იგი იბრძვის ჩადენილ დანაშაულობათა მისაჩქმალად და სასჯელიდან თავის დასაღწევად. სწორედ ამას ემსახურებოდა 19 აპრილის ნაცისტთა თავყრილობა რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის შენობის წინ, რომელიც თვითონ ესოდენ ვანდალურად დაარბიეს.

**«ნაციონალების» მიერ დაწყებული ქართული მიწების გაყიდვა უცხოტომელებზე თუ დროზე არ შეჩერდა, საქართველოში ქართველი ქართველს სანთლით დაუწყებს ძებნას**

**საშინელი ჭრილობები, რაც ქართველ ერს და მთლიანად საქართველოს მიაყენეს, ჰგონიათ, მათი მფარველების მიერ მოგონილი კოაბიტაციით დავიწყებულია და ახალი ეროვნული მოძრაობის მოგონებით ცდილობენ, საბოლოოდ მოუღონ ბოლო ქართულ ეროვნულობას.**

რაც მათ ციხეებში ჩაიდინეს, მხეცსაც კი თავზარს დასცემს. განა შეიძლება ამის დავიწყება? გერმანელ ფაშისტებს არ უკადრებიათ მსგავსი სიბინძურე. ტყვედ ჩავარდნილი გენერალი კარბიშევი, რომელიც წითელი არმიის მშენებელი ერთ-ერთი ნიჭიერი გენერალი იყო, სამშობლოს მოღალატე ვლასოვის მსგავსად, ვერასგზით ვერ გადაიბირეს. ზამთარში ბოძზე მიაკრეს, წყალს ასხამდნენ და ყინულის ქანდაკებად აქციეს. მამაცი გენერალი წამებით მოკლეს, მაგრამ ღირსეულად. ამათ კი ქართველი პოლკოვნიკი ისეთი ბინძური წამებით მოკლეს, რომ ვერავითარი კოაბიტაციის მექისე კაცობრიობის წინაშე ამ სიბინძურეს ვერ ჩამორეცხავს.

ქართველმა ხალხმა ეს პარაზიტები ნაწილობრივ გააპანღურა, მაგრამ თავიანთი პრეზიდენტის, შემორჩენილი პოსტების წყალობით და უცხოელი წამქეზებლების აშკარა ჩარევით გვარიანად უშლიან ხელს საქართველოსთვის მიყენებული ჭრილობების მოშუშებას და ქვეყნის აღორძინების საქმეს.

**მათ მიერ დაწყებული ქართული მიწების გაყიდვა უცხოტომელებზე თუ დროზე არ შეჩერდა, საქართველოში ქართველი ქართველს სანთლით დაუწყებს ძებნას.**

ნაციონალთა უამრავი ღალატი და ბინძური საქმენი თანდათან გამოდის სააშკარაოზე, მაგრამ დღეს რაც ცნობილია, ისიც საკმარისია მათი ხსენების ამოსაძირკვად.

საცოდავმა აღმა-დაღმა მოშლიგინე სააკაშვილმა ჩერქეზების გენოციდის ისეთი ავანტიურა წამოიწყო, რომ თვითონ ჩერქეზებიც გააოგნა; სასაცილოა, ყოველ ამგვარ სიგიჟეს საქართველოს სახელით რომ ნათლავენ.

ახლა ისტერიკა ემართება აგვისტოს ომის გამოძიების გამო, რომელსაც ჰაიდი ტალიავინის ევროკავშირის ცნობილი გამოძიების დასკვნაც ახლავს, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია დაიწყო ქართულმა მხარემ. **სააკაშვილი კი იმუქრება, ვინც ამას იტყვის, სამშობლოს მოღალატეაო. ამ საკითხში კი სწორს ამბობს: ცხინვალის ავანტიურაში საქართველო არაფერ შუაშია, იგი დაიწყო „ნაციონალთა“ ბანდამ და მისმა თავქარქაშა ლიდერმა — მიხეილ სააკაშვილმა.**

ამას კომისია რად უნდა, როცა მთელი საქართველო ტელეეთერით ამათი ინფორმაციების მოწმეა.

გერმანელმა ხალხმა თუ თვითონ ვერ შეძლო კაცობრიობის საშინელი ჭირის — ნაციზმისგან თავის დახსნა, ეს სხვისი დახმარებით გაკეთდა დიდი მსხვერპლის ფასად.

**ქართველმა ხალხმა თვითონ შეძლო ხელისუფლებიდან გაეპანღურებინა ნაცისტი დამნაშავეები, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანას ხელს უშლიან „მეგობარ“ სახელმწიფოებში ჩაბუდებული ბოროტი სულები თავიანთი კოაბიტაციით. თუ ნაცისტი დამნაშავეები ნიურბერგის მსოფლიო ტრიბუნალმა გაასამართლა, ამათ ქართველი ხალხი თვითონ გაასამართლებს და სასჯელსაც დამსახურებისამებრ მიუზღავს.**

თბილისიდან გორისკენ მიმავალი სააკაშვილის თავქარიანობის ნაყოფს, ფუტკრის სკებივით მიჯრილ ლტოლვილთა ხრიოკზე მოწყობილ დასახლებებს რომ შეხედავ, გულის ტკივილი სიმშვიდეს გაგიქრობს. ვისი ბრალია ქართველების თავისი ნაფერები სახლკარიდან ასე გამორეკვა და ამ ხრიოკზე ლტოლვილების სამსალით დაპურება?! ვისი ბრალია მშვენიერი ქართველი ახალგაზრდების ამოწყვეტა?! ვის არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ თავისი მძიმე დანაშაული აღიაროს?! პასუხი ერთია — მიხეილ სააკაშვილს არ აპატიებს ქართველი ხალხი ამ უბედურებას და კანონის მთელი სიმკაცრით აგებინებს პასუხს. საქართველო კი კვლავ გამთლიანდება და აყვავდება.

**როგორ ბრძნულად ახდა ნიჭიერი ქართველი მამულიშვილის, საქართველოს სოციალური და ეროვნული ურთიერთობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წინასწარმეტყველება. იგი ჯერ კიდევ შევარდნაძის დანაშაულებრივი მმართველობის დროს გვაფრთხილებდა, რომ ამგვარი პოლიტიკით მარტო თბილისიღა დაგვრჩებაო, რამეთუ მთელი დამშეული საქართველო თბილისს მიაწყდა.**

ესენი კიდევ ქართველებს საქართველოში ფეხის დასადგმელ ადგილს აღარ უტოვებენ. მიჰყვები გორის გზას, უცქერ გაუბედურებულ ლტოლვილთა დასახლებებს და ფიქრი არ გასვენებს, **განა შეიძლება ჯანსაღ ხელისუფლებას ჰყავდეს ალექსანდრე ჭაჭიას მსგავსი საღად მოაზროვნე, ერის სასიკეთო მარგალიტი და ქვეყნის აღორძინების სამსახურში არ ჩააყენოს?!**

საქართველო შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ დიდ სინად, რომელზეც ალაგია რკინის ჟანგიანი და სუფთა ნაწილები; კიდევ შეიძლება შეგხვდეს სპილენძი, ვერცხლი, ოქრო და მარგალიტიც. ბიძინა ივანიშვილი კი არის მაგნიტი, რომელიც საქართველოს ხსნისა და აღორძინებისთვის წამოწყებულ ბრძოლაში სითბოს, სიკეთესა და მიზიდულობას ასხივებს. ჰოდა, ძვირფასი ლითონები და მარგალიტები თუ თვითონ არ მოიძია, რკინისა და თანაც ჟანგიანის, ნაწილები ისე მიეკვრებიან, ვერცხლს, ოქროს და მარგალიტებს არ დაანახვებენ. „ქართული ოცნება“ კი ყველა ღირსეულ მამულიშვილს ეკუთვნის და ეს ოცნება საქართველოს კეთილდღეობისთვის სწორად გათვლილი, ჭკვიანური და თავდადებული ბრძოლაა. არადა, ამგვარი მარგალიტებით მდიდარია საქართველო. საჭიროა მხოლოდ მათი მოძებნა და ხალხის სამსახურში ჩაყენება.

დღეს საქართველოში მწერლობას რომ არ ულხინს, თვალსაჩინო ჭეშმარიტებაა. ხშირად მიფიქრია, ჭაბუა ამირეჯიბის შედევრი „დათა თუთაშხია“ ახლა რომ დაწერილიყო, გაიგებდა კი ქართველი ერი მის არსებობას? როცა წიგნის გამოცემა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მისი რეალიზაცია და თანაც ისეთი მწერლისთვის, რომელსაც ლუკმაპურის შოვნის პრობლემა აქვს. სწორედ ამ დღეში ვარ მე და ალექსანდრე ებრალიძის მიერ დაფუძნებულ კონკურსში ▶

**ვისი ბრალია ქართველების თავისი ნაფერები სახლკარიდან ასე გამორეკვა და ამ ხრიოკზე ლტოლვილების სამსალით დაპურება?! ვისი ბრალია მშვენიერი ქართველი ახალგაზრდების ამოწყვეტა?! ვის არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ თავისი მძიმე დანაშაული აღიაროს?!**

**ვის სჭირდება ეკონომიკის დამმარხველი მკაცრი ეკონომიის ზომების შემოღება, როდესაც ესოდენ თვალნათელია მის მიერ განპირობებული ზიანი? რატომ იღებს თეთრი სახლი საკუთარ თავზე სოციალური დახმარებების შეკვეცას, რითაც მთელი პარტიისთვის სპობს ყველანაირ პოლიტიკურ პერსპექტივას ხანგრძლივი დროით?**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პრემია მერგო. ისე გამეხარდა, როგორც დასახრჩობად განწირულისთვის მაშველი რგოლის გადაგდება. ბანკში მითხრეს, პრემიის ოცი პროცენტი სახელმწიფომ წაიღოო: მწარედ გამეღიმა, ბიჭო, მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი ხომ ჩაიდეს სტომაქში; გართობა, გასეირნება, რესტორნები და ბორდელები არ გაკლია, ძარცვავ ქვეყანას, მწერლობას მაინც შეეშვი, რომელიც ხალხსა და ღმერთს შორის დგას, და ნუ უშლი ხელს, თავისი მრავალტანჯული ერი მგზნებარე სიტყვით მაინც გაამხნევოს. მაგრამ ვაი, რომ ალექსანდრე ებრალიძის მსგავსი ბიზნესმენები თითქმის ვერ ხარობენ საქართველოში.

**მარგალიტებსა და ძვირფას ლითონებზე მქონდა საუბარი და როგორ შეიძლება აქ თემურ ქორიძე არ გაიხსენო. ფეხადგმული სიკეთე, კაცმოყვარეობა, სპეტაკი სინდისი და ზნეობა.**

ქართული ენისა და ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე დიოგენივით ცხოვრობს ერთ პატარა, წიგნებით გამოტენილ ოთახში და, სადამდეც სწვდება, სითბოთი, სიკეთით, სიყვარულითა და ქართველი ერის შესანიშნავი თვისებებით ათბობს ადამიანთა სულებს. იგი ზვიად გამსახურდიას მთავრობაშიც იყო ერთი წელი. სამოთახიანი ბინა მისცეს და გაჭირვებულ ოჯახს გადაულოცა. ამგვარ კეთილშობილ ქართველ მამულიშვილს შევარდნაძის ავაზაკები მოსაკლავად დასდევდნენ, რატომ?..

საქართველოში სიკეთითა და სიყვარულით გულანთებულ მამულიშვილებს რა გამოლევს. სწორედ ამიტომ არის, რომ ბედნიერი მომავლის აჩრდილი ქართველ ერს არ სცილდება. დღეს, როცა სამედიცინო მომსახურება შერყეული ჯანმრთელობის ადამიანებს დაუზოგავად ძარცვავს, წამლებს ისეთი ცეცხლი უკიდია, აფთიაქები ბოლავს და საკვირველია, რომ დღემდე არ დაიწვა, **ექიმი გივი მაზმიშვილი ბნელ დარბაზში ანთებული სანთელივით იმედის სხივად ანთია. თავისი მკურნალობის მეთოდით აჯანსაღებს მრავალ ავადმყოფს, სიცოცხლის რწმენით ავსებს და, რაც დღევანდელობაში ესოდენ გასაკვირია, მრავალ გაჭირვებულ ავადმყოფს იქით ეხმარება.**

მისი ოცნებაა დიდი სამკურნალო დაწესებულების აშენება, სადაც უამრავ პაციენტს უანგაროდ უმკურნალებს. მრავალ ქვეყანაში მიიწვიეს, მაგრამ არ წავიდა, აქ დარჩა, რათა გაუსაძლისი ცხოვრებით შეჭირვებულ თანამემამულეებს მძიმე ცხოვრების ტვირთი შეუმსუბუქოს.

ამგვარად, ჩემო ძვირფასო ქართველო ხალხო, საქართველო სავსეა მარგალიტებით. მერე რა, რომ ქართული მიწა დღეს სისხლის ცრემლებად დნება. ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ხელისუფლება თავის ირგვლივ მარგალიტებს შემოიკრებს, საქართველოში ისრაელიდან ჩამოვლენ ნამდვილი სამოთხის სანახავად. სწორედ მაშინ ველარავინ დაგვიქნევს თითს და ვერც ბუს კვერცხებიდან გამოჩეკილი კოაბიტაციით აგვირევენ ნორმალურ ცხოვრებას.

**გივი სომხიშვილი**

# 147 ადამიანი, რომლებიც მსოფლიოს ანადგურებენ

**JPMorgan Chase-ის დირექტორთა საბჭომ მხარი დაუჭირა „ლონდოლური ვეშაპის“ ჯეიმი დაიმონისთვის ორი თანამდებობის — თავმჯდომარისა და დირექტორის პოსტების შენარჩუნებას, მიუხედავად იმ სკანდალისა, რომელიც 6,2 მილიარდი დოლარის სავაჭრო დანაკარგებს შეეხებოდა. შეუძლია თუ არა 147 ადამიანს, საუკუნოდ დაამკვიდროს ეკონომიკური უსამართლობა და კიდევ უფრო გაამწვავოს ის? შეუძლიათ თუ არა მათ, გარყვნან და შებღალონ დემოკრატიის პრინციპები არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მის მიღმაც? შეუძლია თუ არა 147 ადამიანს, ხელში ჩაიგდოს მთელი ეკონომიკა, ააშენოს მსოფლიო მხოლოდ თავისთვის, მსოფლიო, რომელიც მრავალს წილის გარეშე დატოვებს?**


ჯეიმი დაიმონი

ბოლოდროინდელ ეკონომიკურ აბდაუბდას რაღაც ახსნა უნდა მოეძებნოს.

კვიპროსთან დაკავშირებით ევროკავშირი გამანადგურებლად და თვითგამანადგურებლად მოქმედებდა, როდესაც მოინდომა მოქალაქეების დაზღვეული დანაზოგების ნაწილის მიტაცება. ამით მათ ფინანსური პრობლემების მქონე ევროპის ყველა ქვეყნის მოქალაქეს, რომელთაც კი ანგარიშებზე დანაზოგი აქვთ, უთხრეს: დაივიწყეთ თქვენი გარანტირებული ანაბრები, თუ ჩვენ თქვენი ფული დაგვჭირდება იმ ბანკებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, რომლებიც ფულს უგუნურ აფერებში ფლანგავდნენ, ჩვენ მას ავიღებთ.

ეს არა მხოლოდ პოლიტიკურ ქარიშხალს აბობოქრებს კვიპროსში, არამედ საფრთხის წინაშე აყენებს მთელი ევროკავშირის საბანკო სისტემას და თავად ევროკავშირსაც. ის ფაქტი, რომ დეპოზიტებზე გადასახადი ნაწილობრივ მოიხსნება, არ აბათილებს მთავარ კითხვას: რაზე ფიქრობდნენ?

დიდი გარიგება: როგორც ცნობილი გახდა, პრეზიდენტმა და კონგრესის რესპუბლიკელებმა წინ წაიწიეს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების ასიგნირების შემცირების, ასევე საშუალო ფენისთვის გადასახადების გაზრდის საკითხში. ამასთან, სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვით თავი არავის შეუწუხებია. ამგვარი „დიდი გარიგება“ დიდ უსიამოვნებებს გამოიწვევს როგორც საზოგადოების მხრიდან, ასევე ეკონომიკის სფეროს სპეციალისტებს შორის.

ვის სჭირდება ეკონომიკის დამმარხველი მკაცრი ეკონომიის ზომების შემოღება, როდესაც ესოდენ თვალნათელია მის მიერ განპირობებული ზიანი? რატომ იღებს თეთრი სახლი საკუთარ თავზე სოციალური დახმარებების შეკვეცას, რითაც მთელი პარტიისთვის სპობს ყველანაირ პოლიტიკურ პერსპექტივას ხანგრძლივი დროით?

**ვის სჭირდება ეკონომიკის დამმარხველი მკაცრი ეკონომიის ზომების შემოღება, როდესაც ესოდენ თვალნათელია მის მიერ განპირობებული ზიანი? რატომ იღებს თეთრი სახლი საკუთარ თავზე სოციალური დახმარებების შეკვეცას, რითაც მთელი პარტიისთვის სპობს ყველანაირ პოლიტიკურ პერსპექტივას ხანგრძლივი დროით?**

ზუსტად ოთხი წლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გაკოტრებისთვის ძალზე მსხვილმა ბანკებმა მთელი მსოფლიო ეკონომიკა მოსპეს, კონგრესის კომიტეტი ემზადება ფინანსურ სფეროში მარეგულირებელი დოდ-ფრანკის კანონში არსებული უკვე არასაკმარისი გარანტიების გასაუქმებლად.

სიცრუის, უკიდურესი რისკისა და JPMorgan Chase-ის „ლონდოლური ვეშაპის“ ფიასკოს მომტანი პოტენციური კრიმინალიზაციის შესახებ სენატის მოხსენებიდან სულ რამდენიმე დღეში წარმომადგენელთა პალატის სოფლის მეურნეობის კომისიამ დაამტკიცა ახალი კანონები, რომლებიც ლეგალურს ხდის „ლონდოლური ვეშაპის“ გარიგებების მსგავს ვაჭრობებს.

**დაიმონის პერიოდში განხორციელებული უკანონობები ბანკის აქციონერებს დავების მოგვარებისა და ჯარიმების დაფარვისთვის გადახდილი მილიარდობით დოლარი დაუჯდათ. რისკიანი მმართველობა და კიდევ სხვა მაქინაციები 6,2 მილიარდი დოლარის ზარალით დასრულდა.** საკუთარმა საბჭომ მაინც დაუჭირა მხარი მის კანდიდატურას განმკარგავი დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებზე. ეს მსოფლიოს უმსხვილეს ბანკში ერთ ხელში ძალაუფლების წარმოუდგენელი კონცენტრაციაა.

რატომ 147?

ანთროპოლოგმა რობინ დანბერმა სცადა გაერკვია, ჩვეულებრივ რამდენი ნაცნობი ჰყავს ადამიანს. მან შედარებები ჩაატარა პრიმატების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში და მონაცემები გამოაქვეყნა დოკუმენტში, რომლის სახელწოდებაა „ნეოკორტექსის ზომა, როგორც პრიმატების ჯგუფის რიცხოვნების შემზღუდავი ფაქტორი“.

**დანბერმა გააკეთა დასკვნა, რომ ადამიანისთვის ნაცნობების ოპტიმალური რაოდენობა 147,5-ია. ეს რიცხვი 150-მდე დამრგვალების შემდეგ ცნობილია, როგორც „დანბერიც რიცხვი“. 150-200 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფებს იგი ყველგან პოულობდა და ამიტომაც დაასკვნა, რომ ეს არის იმ ადამიანების რაოდენობის კოგნიტიური ზღვარი, რომლებთანაც ერთ ადამიანს შეუძლია მდგრადი ურთიერთობების დამყარება. ადამიანთა სოციალურ წრეებში სწორედ 150-200 წევრისგან შემდგარი გარემო აყალიბებს ადამიანის მსოფლმხედველობას, მის სამყაროს.**

ეს იმას ნიშნავს, რომ 147 ადამიანს ისტორიის შეცვლა შეუძლია. ცხადია, საუბარი არაა კონკრეტულად ერთსა და იმავე 147 ადამიანზე, მაგრამ იმავე რაოდენობის გარემოცვა, რომელიც მსოფლიო ლიდერებს აკრავს გარს, წარმოუდგენელ ძალაუფლებას ფლობს.

ეკონომისტმა საიმონ ჯონსონმაც ახსენა დანბერის რიცხვი სტატიაში, რომელიც ხაზინის მდივნის — ჯეიკობ ლიუს და ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის თავმჯდომარის — მერი ჯო უაიტის ახალ თანამდებობებს ეხებოდა. **„საქმე მათი დამსახურებების სია არაა, რადგან არც ერთი მათგანი არ მუშაობდა უშუალოდ ფინანსური სექტორის სტრატეგიის საკითხებზე, საქმე ისაა, თუ ვის იცნობენ ისინი“,** — წერს ჯონსონი.

ეს ცუდად მართვადი მეგაბანკი ამავე დროს არის კლინტონის პრეზიდენტობისას ხაზინის მდივნის, რობერტ რუბინის, ყოფილი კორპორატიული სახლი და ობამას ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს ყოფილი დირექტორის, პეტერ ორზეგას, ახლანდელი სახლი. თავის მხრივ, უაიტი უოლ-სტრიტის ბანკირების დაცვაზე დამნაშავეების სამართლებრივი დევნიდან გადავიდა. იგივე პროფესია ჰქონდა გენერალურ პროკურორ ერიკ ხოლდერს ახლანდელ თანამდებობაზე დანიშვნამდე.

ეს ადამიანები არიან ამერიკის პრეზიდენტის, სენატორების, წარმომადგენელთა პალატის წევრების გარემოცვაში და ყოველდღიურად ეუბნებიან მათ: „აი, როგორ მუშაობს ეს მსოფლიო“.

მათმა ევროპელმა კოლეგებმა თავიანთ კავშირში დაინახეს მკაცრი ეკონომიის ზომების შედეგები: უმუშევრობა გაიზარდა, საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა შემცირდა. თვით საბიუჯეტო დეფიციტიც კი, რომლის შესამცირებლადაც იყო მოწოდებული ეს უაზრო ეკონომიის ზომები, მხოლოდ გაიზარდა არნახული შემცირებების ფონზე. მაგრამ ამერიკული ფინანსური სისტემის მმართველები ამბობენ, რომ იცნობენ და ენდობიან ანგელა მერკელს, ჯორჯ ოსბორნს, კრისტინ ლეგარდს და სულაც არაა გასაკვირი, რომ გარანტირებული დანაზოგების ანგარიშები წინასწარ კრახისთვის განწირული გზით დაიბეგრა. ლოგიკა ადვილი მისახვედრია: „ყველამ, ვისაც ვიცნობთ, აღნიშნა, რომ ეს მშვენიერი იდეაა“.

სწორედ ასე მუშაობს ეს ყველაფერი ამერიკაშიც. ლარი სამმერსი, ალან გრინსპენი და რობერტ რუბინი წარმოუდგენელ შეცდომებს უშვებდნენ ყველაფერში: დერეგულირება, საცხოვრებელი ბინების ბუშტი, სახელმწიფოებრივი ხარჯები და ასე შემდეგ, მაგრამ მათ იცნობენ.

ნობელის პრემიის ლაურეატები: პოლ კრუგმანი და ჯოზეფ სტიგლიცი განმარტავენ, თუ რატომაა საჭირო მეტი საბიუჯეტო ხარჯები, მაგრამ მათ არ იცნობენ, იცნობენ მხოლოდ ლარის, ალანსა და ბობს.

**ბილ კლინტონის „მესამე გზამ“ კეთილდღეობის „რეფორმა“ განაპირობა და ეს კატასტროფა აღმოჩნდა. უოლ სტრიტის მისეულმა დერეგულირებამ დაანგრია ეკონომიკა, მისი საფირმო ძველმოდური ფსევდოცენტრიზმი მოწყვეტილია დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობას, მაგრამ მასაც იცნობენ.**

დაიმონის დირექტორთა საბჭო დანბარის რიცხვის ილუსტრაციაა. მასში შედიან კორპორაცია „Honeywell“-ის ხელმძღვანელი, სიმპსონ-ბოულზის საბიუჯეტო რეფორმის კომისიის წევრი დევიდ კოუტი. იქვე გახლავთ თავდაცვის დარგის კიდევ ერთი მსხვილი დაქირავებულის „Boeing“-ის უმაღლესი რანგის ყოფილი ხელმძღვანელი. დაიმონთან ერთად სამი მთავარი მმართველი თავის ფულს იღებს სახელმწიფოს ხელგაშლილობის წყალობით.

დირექტორთა საბჭოში ასევე შედის „Comcast“-ის ხელმძღვანელი, მასმედიის ხელმძღვანელები მუდამ არიან 147-ს შორის. ერთი ადგილი ეკუთვნის ერთ-ერთი საბუღალტრო ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც თვალებს ხუჭავდა ბანკების მასობრივ თაღლითობაზე და მშვიდად აწერდა ხელს მათ წლიურ ანგარიშებს. კიდევ ერთ ადგილს „Exxon Mobil“-ის ყოფილი ხელმძღვანელი იკავებს.

**ეს „147“ მართავს კომპანიებს. ის აგროვებს ფულს ორივე პარტიის პოლიტიკოსთა დასაფინანსებლად.**

როდესაც სენატორი ობამა პრეზიდენტი ობამა გახდა, დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე დიდი უმუშევრობის პერიოდში მისი ერთ-ერთი პირველი ქმედება „დეფიციტის კომისიის“ შექმნა იყო და არა „დასაქმების კომისიისა“ — 147-ის წევრი ადამიანები პრიორიტეტად სწორედ ამას მიიჩნევდნენ.

კიდევ არიან ახალი ამბების წამყვანები და ჟურნალისტები, რომლებიც მუდმივად გაიძახიან: ყველამ იცის, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ყველაზე გადაუდებელი პრობლემაა.

ასევე ყველამ იცოდა, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა...

და როდესაც შემდეგი კრიზისი დადგება, 147-ს იგივე რეაქცია ექნება, რაც წინა კრიზისისას ჰქონდა. და ისევ იტყვიან, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, რომ ამის წინასწარ განჭვრეტა არავის შეეძლო, თორემ მათ ხომ ჰკითხეს ყველას, ვისაც კი იცნობდნენ...

**AlterNet**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ საბერძნეთში სხვა რწმენის სამლოცველოების მშენებლობა ძალზე რთული საკითხი იყო, ხოლო მეჩეთების, ანუ მინარეთებიანი სამლოცველო სახლების მშენებლობა საერთოდ კანონით იკრძალებოდა. სწორედ ამას ეყრდნობოდა მიტროპოლიტის მტკიცებულება, რომ მეჩეთების შენება ანტიკონსტიტუციურია. მან იცოდა, რასაც ამბობდა.**

# მუჰამედი — ყველაზე გავრცელებული სახელი ევროპაში

**ბებერი ევროპა კვლავ უსიამოვნებებში გაეხვა — ნიდერლანდების სოციალური დაზღვევის უწყების ანგარიშის თანახმად, ამსტერდამში, ჰააგაში, როტერდამსა და უტრეხტში ახალშობილთა შორის მამაკაცის ყველაზე გავრცელებული სახელი მუჰამედია. ეს სახელი ყველაზე ხშირად ისმის ბრიუსელის სამშობიარო სახლებსა და ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში. დიდი წინასწარმეტყველის სახელი ყველაზე პოპულარულია იტალიის მილანისა და შვედეთის მალმეს ახალშობილებს შორის, ბრიტანეთში კი ის საერთოდაც პირველ ადგილზე გავიდა ეროვნულ აღრიცხვებში.**

ფორმალურად ახალშობილ ბრიტანელებს შორის ყველაზე გავრცელებული სახელი კვლავაც გარია, წინასწარმეტყველის სახელი კი პირველ ოცეულშიც არ ფიგურირებს. სად იმალება ფოკუსი? საქმე ისაა, რომ მუჰამედს ბრიტანეთში ათასგვარად წერენ: მუჰამედი, მაგამედი, მაჰმუდი, მეჰმედი და ასე შემდეგ. ამ კომბინაციების საერთო რაოდენობა კი გარანტირებულად უზრუნველყოფს სახელს პირველ ადგილზე გასვლისთვის. ბრიტანეთის ეროვნულმა სტატისტიკის სამსახურმა, ყველასთვის გასაგები მიზეზებით, დემოგრაფიული კატასტროფის მასშტაბების გადამალვა დიდი ხნის წინ დაიწყო.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც მუჰამედი? რით ჯობია ის აიუბს, ხამზას ან ამინს, რომლებიც ასევე შედიან ბრიუსელში, ევროპული ბიუროკრატიის დედაქალაქში ახალშობილთა ყველაზე პოპულარული სახელების პირველ ათეულში. და როგორ პოეტურად და აღმოსავლურად დახვეწილად ჟღერს **იასმინი, აიია და იმანი!** სწორედ ესენია ქალის სამი ყველაზე პოპულარული სახელი პატარა ბელგიელებს შორის.

ზოგიერთები ამ ყველაფერზე ყურადღების გამახვილებას ქსენოფობიურ გამოხდომებს უწოდებენ და სახელებისა და გვარების მიხედვით დისკრიმინაციად აფასებენ. მათი აზრით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რას დაარქმევენ ევროპელები თავიანთ შვილებს, შესაძლოა, ეს ახლა მხოლოდ მოდური ტრენდია. შვედეთის სასამართლომ სულ ახლახან აკრძალა სახელი იკეა და საბრალო მშობლებს ისღა დარჩენიათ, რომ ბავშვებს მუჰამედი დაარქვან.

ვიდრე ბრიტანელები ამ ყველაფერს მოდად თვლიან და მათ „უფლებას“, დაარქვან შვილებს მუჰამედი, გულმხურვალე დამცველებიც ჰყავს, ბრიტანეთის დედაქალაქის აღმოსავლეთში, ლეიტონსთაუნში, კერძო სახლში ცხოვრობს ყოფილი ადვოკატი და ამჟამად უმუშევარი ოთხი შვილის მამა ანხემ ხუდარი. მისი სახლის საბაზრო ღირებულება 320 000 ევროა. ანხემს არ სჭირდება, ყოველ დღე სამსახურში იაროს, ის ყოველწლიურად უამისოდაც იღებს დახმარების სახით 25 000 ევროს სახელმწიფოსგან. ეს არც ისე დიდი თანხაა ლონდონისთვის, იქ კარგად ცხოვრებას გაცილებით მეტი სჭირდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ყველაფრის გამო ანხემი არავის ემადლიერება. მან ბრიტანული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, როდესაც თავის სოციალურ დახმარებას „ჯიჰადისთვის დახმარება“ უწოდა. ფანატიკოსი-ექსტრემისტი რეგულარულად შეურაცხყოფს მომუშავე ბრიტანელებს და მათ მონებს უწოდებს. თავის გულმხურვალე აღსარებებში ხუდარი ირწმუნება, რომ წყეული ურწმუნოები ვალდებულნი არიან, მართლმორწმუნე მუსლიმანებს უხადონ „დახმარება ჯიჰადისთვის“ და ამით საკუთარი თავის წინააღმდეგ მათი ომი დააფინანსონ.

**ძნელია იმის გაგება, რაც ამ ადამიანის თავში ხდება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მისი ამაზრზენი გამოხდომები დაუსჯელი რჩება, ნათელია — ხუდარს და მის მიმდევრებს სრული უფლება აქვთ, მიიღონ „დახმარება ჯიჰადისთვის“ ბრიტანეთის ხელისუფლებისგან. ბრიტანელები იმანაც კი ვერ შეაშფოთა, რომ თავისი გამოსვლის დასაწყისშივე ანხემმა „მახინჯი“ უწოდა ბრიტანეთის დედოფალს — ელისაბედ II-ს.**

პოპულარულ სახელებთან დაკავშირებულ პრობლემაზე საუბრისას ხუდარიმ სიხარულით აღნიშნა, რომ **ბრიუსელის მოსახლეობის 30% და ამსტერდამის მოსახლეობის 40% მართლმორწმუნე მუსლიმანები არიან.** „მუსლიმანთა შობადობა ევროპას მალე ცუნამივით გადაუვლის!“ — დაასრულა ანხემმა გამოსვლა თავისი მიმდევრების მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე.




**ექსტრემისტების გამოსვლები ბრიტანეთში სიახლე არ არის, მაგრამ ევროპული ქვეყნების ხელისუფლებები არ ატარებენ რაიმე ზომებს ევროპის ისლამიზაციის თავიდან აცილების მიზნით**




ამ გულმხურვალე მუსლიმანის შესახებ ბრიტანეთის საზოგადოებამ ტაბლოიდებიდან შეიტყო. **ექსტრემისტების გამოსვლები ბრიტანეთში სიახლე არ არის, მაგრამ ევროპული ქვეყნების ხელისუფლებები არ ატარებენ რაიმე ზომებს ევროპის ისლამიზაციის თავიდან აცილების მიზნით.**

არსებობს უფრო სერიოზული შემთხვევებიც. **იქ, სადაც ურთიერთქმედებს ორი ან მეტი ეთნიკური ჯგუფი, მუდამ ჩნდება ნაციონალური საკითხი.** შემოიფარგლება ის უვნებელი ხუმრობებით ერთმანეთის მისამართით თუ სისხლიან ხოცვა-ჟლეტასა და ტოტალურ გენოციდში გადაიზრდება, დამოკიდებულია მხოლოდ არსებულ გარემო პირობებზე.

ეროვნება ყველა ადამიანის განუყოფელი ნაწილია და, რაც არ უნდა მოხდეს, რუსი მუდამ რუსი იქნება, გერმანელი — გერმანელი, ჩინელი — ჩინელი. ყველა ადამიანი თავისი ხალხის ნაწილია, თავისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. და სადაც არ უნდა წავიდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ემიგრანტები, მათ დოკუმენტებში მუდამ დარჩება ნაწერა: წარმომავლობის ადგილი. ხანდახან შეიძლება სხვანაირ ინტერპრეტირებასაც ჰქონდეს ადგილი, მაგალითად, შავკანიანი, ლათინოამერიკელი, ევროპელი — აქ არ არის არანაირი ქვეტექსტი, ნაციონალური კუთვნილების უარყოფა იმდენადვე სულელური აზრია, რამდენადაც ამის გამო სისხლიანი ანგარიშსწორებების მოწყობა.

დატოვებს თუ არა სამშობლოს, ნებისმიერი ადამიანი თავისი ერის წარმომადგენელი ხდება, მისი ეროვნული შტრიხებისა და თავისებურებების, მისი კულტურის, ღირსებისა და ნაკლის მატარებელი. უცხოტომელის გამოჩენა მუდამ ყურადღებასა და ინტერესს აჩენს — ასეთია ადამიანებში ქვეცნობიერ დონეზე ჩამალული ინსტინქტი. უცხოტომელებს ყურადღებით აკვირდებიან და მკაცრად აფასებენ, ხშირად ნაციონალური მითებისა და მტკიცე წინასწარი განწყობის შესაბამისად.

**სხვა ეთნოსში მოხვედრილმა ადამიანმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს როგორც საუბრის, ასევე ქცევის მხრივ და ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეცადოს სხვის მონასტერში თავისი წესრიგის დამყარებას — ამას დიდი უსიამოვნებები მოჰყვება.**

ეს ყველამ იცის, მაგრამ არ იციან ანხემ ხუდარის მიმდევრებმა.

აზრი არ აქვს, ევროპელებს „წესიერების ნორმების“ დაცვისა და „სხვა კულტურის ფასეულებების პატივისცემისკენ“ მოუწოდო — ევროპელები ამის გარეშეც ზღვარგადასულად თავაზიანები და ტოლერანტულები არიან სხვა ხალხების მიმართ. **პრობლემა ისაა, რომ „კულტურათა თანასწორობის“ შესახებ საერთოდ არაფრის გა-** ▶

## სად მიდის ტყეშელაშვილი?

**პრეზიდენტის ადმინისტრაცია დავით ტყეშელაშვილის პოსტიდან წასვლაზე განცხადებას აკეთებს. პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, ტყეშელაშვილის მხრიდან ადმინისტრაციის ხელმძვანელის თანამდებობის დატოვება პოლიტიკას არ უკავშირდება. მანანა მანჯგალაძის თქმით, აღნიშნული საკადრო ცვლილების მიზეზი დავით ტყეშელაშვილისთვის უცხოეთიდან მიღებული შეთავაზება გახდა. იგი პროფესიულ საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ცენტრის დირექტორის პოზიციაზე განაგრძობს და, რა შედეგითაც არ უნდა დამთავრებულიყო ოქტომბრის არჩევნები, ის წასვლას გეგმავდა.**

„მინდა ხაზი გავუსვა, რომ დავით ტყეშელაშვილის თანამდებობიდან წასვლა არ უკავშირდება პოლიტიკას და პარტიასთან გამიჯვნას. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ათასგვარი ვერსია არ მოაყოლონ მის წასვლას. პირველ რიგში, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მას იმ სამი წლის ნაყოფიერი მუშაობისთვის. პრეზიდენტმა ის წარმატებული საქმიანობისთვის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენითაც დააჯილდოვა“, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ დავით ტყეშელაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე 2010 წელს დაინიშნა. დღეიდან კი მის ადგილს სანდრო ბარნოვი დაიკავებს.



ევროპელები მუსლიმანებს მეჩეთების მშენებლობაში კი არ უნდა ეხმარებოდნენ, არამედ საკუთარი თავის პოვნასა და ცივილიზაციაში გადასვლაში. მთავარი ამოცანა ისლამის თანამედროვე ცივილიზაციაში გადასვლაა, რისთვისაც მთელმა მსოფლიომ უნდა იზრუნოს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნახევარმთვარეების ევროპა

**როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობენ, წელს ევროპაში მეჩეთების რეკორდული რაოდენობა აღიმართება. მეჩეთები უკვე შენდება საბერძნეთში, ესპანეთსა და გერმანიაში. ნიდერლანდებში აღიმართება მუსლიმანთა ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი, რომლის მშენებლობაც 64 მილიონი ევრო ჯდება. მეგამეჩეთს მალე ბელგიის მიეჟეშიც ააშენებენ თავისი ბიბლიოთეკით, კაფეებითა და მაღაზიებით. 40 მილიონი ევროს ღირებულების გიგანტური საკულტო კომპლექსი აღიმართება მიუნხენშიც. თვით საბერძნეთის გაკოტრებულმა ხელისუფლებამაც კი პირველი ოფიციალური მეჩეთის მშენებლობაზე მილიონობით ევროს დახარჯვა გადაწყვიტა. ერთიმეორის მიყოლებით ჩნდება მონასტრები ლუქსემბურგში, შვეიცარიაში, ესპანეთში...**



**ეგება არ სურთ აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელთა ცხოვრებაც განისაზღვრება კლანური მენტალიტეტითა და სასტიკი რადიკალური ღირებულებების ნაკრებით.**

მიუხედავად ათასგვარი სოციალური დახმარებისა და „ასიმილაციის პროგრამებისა“, ეს ადამიანები შეგნებულად უპირისპირდებიან ევროპულ ცივილიზაციას. რატომ? პასუხი მარტივია: ევროპის ხელისუფლება შეიშალა — მიგრაციის გონივრული შეზღუდვის ნაცვლად, რადიკალური განწყობების მკაცრად ჩახშობის ნაცვლად, მიგრანტების სულისა და სხეულის გამრყვნელი დახმარებების შემცირების ნაცვლად, ევროპული ბიუროკრატია უბრალოდ გაცოფდა პოლიტკორექტულობის იდეის გამო, ეს კი მხოლოდ ხელს უწყობს რელიგიური ფანატიკოსების გამრავლებას.

მაგრამ **რატომ არ ხდება ბუნებრივი ასიმილაცია? მიგრანტების პირველი თაობა, ცხადია, ვერსად გაექცევა თავის წარმომავლობას, მაგრამ მათი შვილები და შვილიშვილები, რომელთაც ახალ ქვეყანაში მიიღეს განათლება, მშობლიურზე უკეთ ფლობენ უცხო ენას, სუნთქავენ ახალი მენტალობით, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობისგან განურჩეველი ხდებიან. განსხვავებების წაშლა თანდათან ხდება — თაობიდან თაობაში მუქდება ან ღიავდება თმა და კანი, ფორმას იცვლის თვალის ჭრილი... ყველა დიდი ხალხი ათობით სხვადასხვა კულტურის შენადნობია.**

**რატომ არ ხდება მსგავსი არაფერი თანამედროვე ევროპაში? ნუთუ ყველაფრის მიზეზი რელიგიაა?**

ყურანში წერია: მე არ ვეთაყვანები იმას, რასაც თქვენ ეთაყვანებოდით, და თქვენც არ ეთაყვანოთ იმას, რასაც მე ვეთაყვანები! თქვენ თქვენი რწმენა გაქვთ და მე — ჩემი!

მუსლიმანების წმიდა წიგნი ყველა კითხვაზე იძლევა პასუხს — **რელიგია თითოეული ადამიანის პირადი საქმეა.** ისლამი არაა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაუსრულებელი დაპირისპირების საბაბი. ყველაფერი იმ „ყდას“ უკავშირდება, რომელშიც ყურანს გამოსცემენ. ყურანის ფერი ღია მწვანიდან სისხლიან ლაქებამდე იცვლება. ის განისაზღვრება ამა ქვეყნის ძლიერთა ინტერესებით, ასევე ხალხის მენტალიტეტით. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ მეჩეთებში არასდროს სმენიათ ვაჰაბიზმსა და სალაფიტებზე, ვიდრე არ გაჩნდნენ ახალგაზრდა იმამები, რომლებმაც სტაჟირება ირანსა და საუდის არაბეთში გაიარეს.

ნებისმიერი მსოფლიო რელიგია არის ინფორმაციის კოლოსალური მასივი, მოვლენათა პალიტრა და იდეების კალეიდოსკოპი, რომელშიც თითოეულს შეუძლია იპოვოს ის, რასაც ეძებს. შეიძლება იპოვო წმიდა ფრანცისკო, ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებელი, რომელიც აღსავსე იყო ასკეტიზმით და ტყის მხეცებს უკითხავდა ქადაგებებს. მაგრამ იქვე არიან მისი თანამედროვე ინკვიზიტორებიც, რომლებიც ადამიანებს მყვირალა ხორცის ნაჭრებად აქცევდნენ.

**მსოფლიოს ნებისმიერი რელიგიისთვის შეიძლება ნებისმიერი ტენდენციის მოძებნა და მისი მიმდევრების „საჭირო კალაპოტში“ მოქცევა.** ისლამის უზარმაზარ ინფორმაციულ მასაში არის საკმაო მტკიცებულება ნებისმიერი თეორიისთვის.

ობიექტურად ევროპის ისლამიზაციის საკითხში თავად მუსლიმანების დანაშაული არ არის — ისინი აკეთებენ ზუსტად იმას, რასაც უბრძანებს ადამიანის ძირითადი ინსტინქტი: აფართოებენ საკუთარ საარსებო გარემოს. ისინი ამას აკეთებენ დაუნდობლად, აგრესიულად, უკომპრომისოდ, ხანდახან შემზარავი მეთოდებითაც. მაგრამ უცნაური იქნებოდა მათი დადანაშაულება რამეში, თუკი ამგვარადაა მოწყობილი პლანეტა დედამიწის მთელი ბუნება.

**პრობლემა მხოლოდ ევროპის ხელისუფლებების უცნაური რეაქციაა:** ნაცვლად იმისა, რომ ადეკვატურად აღუდგნენ წინ გარეშე აგრესიას და დაიცვან ძირძველი ევროპელების ინტერესები, პოლიტიკოსები უპრობლემოდ უშვებენ საკუთარ ტერიტორიაზე მიგრანტების ბრბოებს და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ორი კულტურის დაპირისპირებას.

2005 წლის 7 ივლისს ლონდონში სატრანსპორტო კოლაფსი დადგა. მეტრო გაჩერდა, გაითიშა მობილური კავშირი, ჰაერი შიშითა და უარესის მოლოდინით გაჯერდა. რეანიმაციებში დაჭრილებისთვის ადგილები აღარ იყო, დაჭრილები კი კვლავაც მიჰყავდათ და მიჰყავდათ...

ოთხმა აფეთქებამ 52 ბრიტანელი იმსხვერპლა, კიდევ 700-მა სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობა მიიღო.

იმ დღეს ორად გახლეჩილი ორსართულიანი ავტობუსისა და მეტროს განადგურებული ვაგონის ფოტოებმა მთელი მსოფლიო შეძრა, მაგრამ მსოფლიო ტერორისტი — **ხაბიბ ონფი, მუჰამედ სიდიკ ხანი, ჯერმენ ლინდსი** და **შეხზად ტანვერი** — ბრიტანეთის სამეფოს ქვეშევრდომნი იყვნენ. უფრო მეტიც, მათგან **სამი ბრიტანეთში დაიბადა და გაიზარდა.**

ბრიტანელები დღემდე გაოცებულნი არიან, როგორ მოხდა ეს, ისინი ხომ „ჩვენი ბიჭები“ იყვნენ. მათ დღემდე ვერ გაიგეს, რომ ის ოთხნი „მათი ბიჭები“ არასდროს ყოფილან...

topwar.ru

სხვა ქვეყნების ფონზე კრიზისში ჩაძირული საბერძნეთი გამოირჩევა, ქვეყანა, რომელიც ევროკავშირის მუდმივი დაკრედიტების გარეშე სულს ღაფავს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ახალგაზრდები პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილებით“ უმასპინძლდებოდნენ, ქურდები ძარცვავდნენ ყველაფერს, რისი გაძარცვაც კი შეიძლებოდა, და ვიღაცამ პლატონის დაფნის ფოთლებიც კი მოხერხა.

ახლა ამ ქვეყნის დედაქალაქის ყველა რაიონში ხელისუფლება ერთი ან ორი მეჩეთის აშენებას აპირებს. ათენში უცებ 15 მუსლიმანური ტაძარი გაჩნდება. ცენტრალური მეჩეთის მშენებლობა ხელს შეუწყობს დანარჩენების აღმართვასაც.

მილიონ ევროდ შეფასებული მშენებლობა იწყება ქალაქში მცხოვრები მუსლიმანების დაჟინებული მოთხოვნით. მათი რაოდენობა 300 ათასს აჭარბებს. პირველი წინააღმდეგი მიტროპოლიტი სერაფიმი იყო, მან საქალაქო საბჭოს მიმართა თხოვნით, პარლამენტის მიერ მეჩეთის მშენებლობის თაობაზე მიღებული კანონი სრულად ანტიკონსტიტუციურად და ანტიბერძნულად გამოცხადებულიყო.

მაგრამ საბერძნეთი, როგორც ექსპერტები ამბობენ, განსაკუთრებული შემთხვევაა. მისი ძირითადი კანონის მიხედვით, საბერძნეთში მთავარი რელიგია არის ქრისტეს აღმოსავლეთ-მართლმადიდებლური ეკლესიის რელიგია. საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია თავისი დოგმატებით განუყოფელ კავშირშია კონსტანტინოპოლის დიდ ეკლესიასა და სხვა ყველა ერთმორწმუნე ეკლესიასთან. ამასთან, **ცოტა ხნის წინ საბერძნეთში სხვა რწმენის სამლოცველოების მშენებლობა ძალზე რთული საკითხი იყო, ხოლო მეჩეთების, ანუ მინარეთებიანი სამლოცველო სახლების მშენებლობა საერთოდ კანონით იკრძალებოდა.**

**სწორედ ამას ეყრდნობოდა მიტროპოლიტის მტკიცებულება, რომ მეჩეთების შენება ანტიკონსტიტუციურია. მან იცოდა, რასაც ამბობდა.**



საბერძნეთით არ მთავრდება ყველაფერი. **ჰამბურგში კაპერნაუმსკის ყოფილი ეკლესია მეჩეთად გადაკეთდება. შოტლანდიაში წმიდა იოანეს საეპისკოპოსოს მრევლი გახდა პირველი, ვინც შენობის მუსლიმანებთან გაყოფას დათანხმდა.** მუსლიმანებს ნება დართეს, ამ ტაძარში დღეში ხუთჯერ ილოცონ.

**ესპანეთის ქალაქ პორტუგალეტში მუსლიმანებმა 21 მარტს გახსნეს მეჩეთი.** სტატისტიკის თანახმად, **ყოველი მეოთხე ბასკი წინააღმდეგია თავის რაიონში მეჩეთის მშენებლობისა, ყოველ მეხუთეს კი არ სურს, რომ მუსლიმანები ცხოვრობდნენ მის მეზობლად.** ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტების მიუხედავად, მეჩეთი მაინც გაიხსნა.

**ვალენსიაში ახალი მეჩეთი 29 მარტს გაიხსნა.** არსებობს ალბათობა, რომ მალე ქვეყანაში ისლამი დომინირებულ პოზიციაზე იქნება.

ტოლერანტულ **საფრანგეთში** კი სექსუალური უმცირესობებისთვის **მეჩეთი ჯერ კიდევ ნოემბერში გახსნეს.** მასში არ არსებობს ქალებისა და კაცების დაყოფა — ყველა ერთად ლოცულობს.

ისლამიზაციის პრობლემაზე საუბრისას ძირითადად ორ ფაქტორს გამოყოფენ ხოლმე: მაღალი შობადობა, რაც ზრდის ისლამის როლს ევროპაში და ის, რომ თანამედროვე მუსლიმანური ქვეყნები ვერ უტოლდებიან ევროპულ ცივილიზაციას, უფრო სწორად კი, მასთან შედარებით ბარბაროსულ პერიოდში არიან ჩარჩენილნი. ამ მოსაზრების მიმდევარნი ბარბაროსობას უწოდებენ ცივილიზაციის ტექნოლოგიების გამოყენებას თავად ცივილიზაციის წინააღმდეგ საკუთარი საზოგადოების სიღრმისეული ცვლილებების გარეშე. **ისლამური სახელმწიფოების პრობლემა ისაა, რომ მათ ჯერ ვერ შექმნეს მათთვისვე მისაღები პოლიტიკური მოდელი, ისეთი, რომ ადამიანებს ეცხოვრათ ყურანის შესაბამისად, ოღონდ ამავე დროს — თანამედროვე საზოგადოებაში.** ნაკლებადპოპულარული მაგალითია ირანი — თანამედროვე და ისლამური სახელმწიფო ერთდროულად.

მუსლიმანებმა უნდა იპოვონ თანამედროვე საზოგადოების მშენებლობის საკუთარი მოდელი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გამოვიდნენ ბარბაროსობის მდგომარეობიდან. ისლამი ხომ ყოველთვის არ იყო ამ მდგომარეობაში.

**ევროპელები მუსლიმანებს მეჩეთების მშენებლობაში კი არ უნდა ეხმარებოდნენ, არამედ საკუთარი თავის პოვნასა და ცივილიზაციაში გადასვლაში უნდა დაეხმარონ. მთავარი ამოცანა ისლამის თანამედროვე ცივილიზაციაში გადასვლაა, რისთვისაც მთელმა მსოფლიომ უნდა იზრუნოს. მაგრამ უკიდურესად ატომიზირებული, ინდივიდუალიზირებული მსოფლიო არ აპირებს რეალური პრობლემების გადაჭრას. რაც შეიძლება უკეთ მორგება, რაც შეიძლება დიდი ნაჭრის მიტაცება და ჩვენ შემდეგ ქვაც ქვაზე ნუ დარჩენილა — ეს არის ერთადერთი ამოცანა, რომელსაც ევროპის ხელისუფლებები მეტ-ნაკლებად წარმატებულად ართმევენ თავს დროის მოკლე მონაკვეთებში.**

topwar.ru

**მუსლიმანებმა უნდა იპოვონ თანამედროვე საზოგადოების მშენებლობის საკუთარი მოდელი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გამოვიდნენ ბარბაროსობის მდგომარეობიდან**

## სირიაში მეამბოხეები ადამიანის ორგანოებით ვაჭრობენ

**თვითმხილველების მტკიცებით, ტერორისტული დაჯგუფებები 10 000-დან 100 000 სირიულ ლირამდე გასამრჯელოს იღებენ მოკლული და დაჭრილი ადამიანების მოტაცებისთვის. ალეპოსთან გაძლიერებული ბრძოლების შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ტერორისტებს უმალვე მიჰყავთ დაჭრილები ჰოსპიტალში და მათ ორგანოებს შავ ბაზარზე ყიდიან.**

ალეპოს ერთ-ერთი მკვიდრის, მაჯ ხადუტის, მტკიცებით, მისი მეზობლის დაჭრილი შვილი ბოროტმოქმედებმა ვითომდა ჰოსპიტალში წაიყვანეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ ოჯახმა მისი დასახიჩრებული გვამი იპოვა. ინფორმაციამ მსგავსი შემთხვევების შესახებ ჯერ კიდევ ოქტომბერში გაჟონა. სირიის მეამბოხეები სასტიკი წამების შემდეგ კლავენ ტყვედჩავარდნილ ადამიანებს, ხოლო მათი ორგანოებით შავ ბაზარზე ვაჭრობენ. „გატაცებულთა უმრავლესობას კლავენ, ხოლო მათ თვალებს, თირკმლებსა და ღვიძლს კი ტრანსპლანტოლოგიის შავ ბაზარზე ყიდიან“, — დაადასტურა თურქულ გაზეთ «Yurt»-თან საუბარში სირიის ერთ-ერთმა მოქალაქემ. ტერორისტებმა მასაც შესთავაზეს 300 ათასი სირიული ფუნტი სასტიკად მოკლული ძმის გვამის სანაცვლოდ.



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკაში ახლა მოქალაქეებს ავად გახდომის შემთხვევაში რეალურად სთავაზობენ მკურნალობას, რათა გამოჯანმრთელდნენ და შემდეგ ციხეში ჩასხდნენ; ან შეუძლიათ ავადმყოფობით დაიხოცონ, ციხის გვერდის ავლით. სულ ესაა არჩევანი.**

## ყაზახეთში დანაგვიანებისთვის გაროზგავენ

**ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულტან ნაზარბაევმა დედაქალაქის ადმინისტრაციას წვრილ სამართალდარღვევებზე დასჯითი ზომების გამკაცრება დაავალა. კერძოდ, პრეზიდენტის აღშფოთება ქალაქის ქუჩებში ნაგვის დიდმა რაოდენობამ გამოიწვია.**

მისი თქმით, ვერც ლამაზი შენობები და ვერც მუზეუმები ვერ აამაღლებს მოქალაქეთა კულტურის დონეს, სანამ ისინი თვითონ არ ეცდებიან, დაიცვან წესრიგი და სისუფთავე. პრეზიდენტმა მაგალითისთვის სინგაპურის პრაქტიკა მოიშველია. „ნაგავს სანაგვეში არ ყრიან! ასეთი საქციელისთვის სინგაპურში 50 როზგს და 500-დოლარიან ჯარიმას მიიღებთ. აი, ასე უნდა აღზრდა! სხვა გამოსავალი არ არის“, — განაცხადა ნაზარბაევმა. ფართომასშტაბიანი კამპანია სისუფთავის დაცვისთვის ყაზახეთში გასულ წელს დაიწყო, როდესაც დანაგვიანებისთვის თავისუფლების ალკვეთა შემოიღეს. მაშინ ერთ თვეში 300-ზე მეტი ადამიანი დააკავეს, ხოლო ჯარიმების საერთო თანხამ ათი ათასობით დოლარი შეადგინა. კამპანია დღესაც მოქმედებს, მაგრამ პრეზიდენტმა მაინც გადაწყვიტა ზომების გამკაცრება.



## «აირზენა» მოსკოვის მიმართულებით რეისებს ზრდის

**ავიაკომპანია „აირზენა“ უახლოეს მომავალში მოსკოვის მიმართულებით რეისების სიხშირეს გაზრდის. როგორც რადიო „კომერსანტთან“ „აირზენას“ გენერალური დირექტორი აცხადებს, მოსკოვის მიმართულებაზე მოთხოვნა ყოველთვის აქტიური იყო, თუმცა ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტიურობით ტურისტები გამოირჩევიან.**

იასე ზაუტაშვილის განცხადებით, „აირზენა“ რუსეთის სხვა ქალაქების მიმართულებების დამატებასაც აპირებს. თუმცა, როდის მოხდება სიხშირის ზრდა, ამ ეტაპზე არ კონკრეტდება. ამასთან, ზაუტაშვილის განცხადებით, სატარიფო პოლიტიკის ცვლილება არ იგეგმება და ორივე მიმართულებით ბილეთის ღირებულება კვლავ 350 ევრო იქნება.

მოსკოვის მიმართულებით ფრენებს თბილისიდან ყოველდღიურ რეჟიმში ორი ავიაკომპანია „აირზენა“ და „სიბირი“ ახორციელებენ.

# ამერიკაში მოვალეების ციხეები მოქმედებს

**ამერიკაში სრული სიამოვნება ვერ მიიღეს იმით, რომ მსოფლიოში პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი გამოკეტეს ციხეებში. ამიტომ ამ ქვეყნის შტატების უმეტესობამ უკვე დაიწყო ადამიანების გისოსებს მიღმა შეყრა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არ შეუძლიათ გადაიხადონ ვალები, ჯარიმები და სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხები.**



დაპატიმრების 5000-ზე მეტ ორდერს ხელი მოაწერეს აშშ-ის მოსამართლეებმა ჯერ კიდევ 2010 წლიდან მოყოლებული. ზოგიერთ შტატში მოვალეებისთვის ორდერები შეიძლება გამოწერილ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მოვალე უგულებელყოფს სასამართლოს დადგენილებას ვალების გადახდასთან დაკავშირებით ან თუ განსასჯელი, უბრალოდ, არ დაესწრება სასამართლო პროცესს.

არადა, ჯერ კიდევ 150 წლის წინ ამერიკა თვლიდა, რომ ეს ცუდი იდეა იყო.

მოვალეების ციხეში ჩასმა ამერიკაში ფართოდ იყო გავრცელებული 1800-იან წლებში. ამერიკამ მოვალეებისათვის თავისუფლების აღკვეთა გააუქმა შესაბამისი ფედერალური კანონის მიღებით 1833 წელს, მაგრამ ცალკეულ შტატებში ეს პრაქტიკა კვლავაც მოქმედებდა.

40 წლის წინ აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი მეთოდები არაკონსტიტუციური იყო თვით ცალკეული შტატებისთვისაც კი.

1970 წელს უმაღლესმა სასამართლომ საქმეში „უილიამსი ილინოისის შტატის ხელისუფლების წინააღმდეგ“ დაადგინა: იმის გამო, რომ ადამიანი ძალიან ღატაკია სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებისათვის, მაქსიმალური საპატიმრო ვადის დაწესება თანაბარი დაცვის უფლების დარღვევაა.

**საქმეში „ტეიტი შორტის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ სასჯელის სახით ჯარიმის დაწესება და ციხეში ავტომატური გამოკეტვა მხოლოდ იმის გამო, რომ მოპასუხე ღატაკია და არ შეუძლია დაუყოვნებლივ სრულად გადაიხადოს ჯარიმა, არაკონსტიტუციური ქმედებაა.**

სამწუხაროდ, ამერიკაში უმაღლესი სასამართლოს დადგენილებების შესახებ ცნობები, როგორც ჩანს, დიდი ხნის შემდეგ თუ აღწევს ზოგიერთთა ტვინამდე.

შტატების დაახლოებით მესამედში ადამიანებს, რომელთაც ვალების გადახდა არ შეუძლიათ, ციხეში ამწყვდევენ. 15 შტატში ტარდება სასამართლო მოსმენები იმ მოვალეებთან დაკავშირებით, რომელთაც თანხის გადახდის არანაირი საშუალება არ გააჩნიათ.

ის 15 შტატია სიაში, რომლებშიც ამგვარი კანონები მოქმედებს, არ არის ოჰაიო. ოჰაიოში არსებობს გარკვეული კონსტიტუციური მდგომარეობა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამგვარ პრაქტიკას. მაგრამ ახლახან გამოქვეყნდა დეტალური ანგარიში ამ შტატის შესახებ, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ამ შტატშიც არსებობს მოვალეების ციხეები.

ითბობს რა ხელს ღატაკებსა და უბედურებზე, ოჰაიო აიძულებს ღატაკებს, უსასრულო წრეები აკეთონ სასამართლო ინსტანციებში, უწერენ სულ უფრო მეტ ჯარიმებს, სვამენ ციხეში და უსასრულოდ ზრდიან მათ ვალებს.

სასამართლო ადამიანებს, რომელთაც ციხეში გამოკეტვა ელით, აცნობს საკუთარი ვალების სიდიდეს და მათი ფინანსური შესაძლებლობებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად ადგენს გადახდის ყოველთვიურ გრაფიკს. **ამ ადამიანებისთვის არასდროს არავის უთქვამს, რომ აქვთ უფლება, აიყვანონ ადვოკატი, სამაგიეროდ, სასამართლომ აცნობა, რომ, თუ არ დაიცავენ ვალების გადახდის გრაფიკს, გადაუხდელობის შემთხვევაში ციხეში ამოყოფენ თავს.** გრაფიკით დადგენილ დღეს თუ მოვალე საჭირო თანხას არ გადაიხდის, მისი დაპატიმრების ორდერი იმ დღესვე გაიცემა, რის შემდეგაც პოლიციელები ამ ადამიანს 10 დღით გაუშვებენ ციხეში. 10 დღის გასვლის შემდეგ, როგორც წესი, ამ ადამიანებს ათავისუფლებენ, ოღონდ უწერენ დამატებით გადასახადებს დაპატიმრებისა და ტრანსპორტირებისთვის. ამერიკელი ღატაკებისთვის, რომელთაც ვალების გადახდა, უბრალოდ, არ შეუძლიათ, ეს ციკლი დაუსრულებლად გრძელდება.

ყველაზე უარესი ისაა, რომ მთელ ამ უკანონო სისტემას არანაირი აზრი არ აქვს სოციალური ან ეკონომიკური თვალსაზრისით.

შტატის ქალაქებში ყოველდღიურად ათასობით ადამიანი დგას თავისუფლების აღკვეთის კოშმარის წინაშე მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ღატაკები არიან.

**აშშ-ის კონსტიტუცია, ოჰაიოს შტატის კონსტიტუცია და ოჰაიოს სარევიზიო კოდექსი სრულად კრძალავს მოვალეებისთვის ციხეების არსებობას. კანონის თანახმად, მანამ, ვიდრე ვინმეს ციხეში ჩასვამენ ჯარიმების გადაუხდელობის გამო, სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ადამიანი გადახდისუნარიანი. იმ ადამიანის ციხეში გამოკეტვა, რომელსაც არ შეუძლია გადახდა, კანონის დარღვევაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლოები კვლავ განაგრძობენ ამ საზარელ პრაქტიკას.** გარდა ამისა, მოვალეების ციხეები, პრაქტიკულად, უაზროდ ფლანგავენ გადასახადების გადამხდელთა ფულს იმ ადამიანების გისოსებს მიღმა გამოკეტვით, რომლებიც ვერასდროს შეძლებენ ყველა ჯარიმის გადახდას, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში უფრო ნაკლებია, ვიდრე მათი დაპატიმრებისა და ციხეში ყოფნის ხარჯები...

საბედნიეროდ, როგორც ზემოხსენებულ ანგარიშშია აღნიშნული, ოჰაიოს შტატის ზოგიერთი სტრუქტურა გონს მოეგო, თუმცა, სავარაუდოდ, მხოლოდ დროებით — ვიდრე მათ თვალყურს ადევნებენ უფლებადამცველი კომისიის წარმომადგენლები.

სხვათა შორის, ვალების გადაუხდელობის გამო თავისუფლების აღკვეთა მათით არ შემოიფარგლება, ვინც სასამართლო-სავალე ციკლში გაიბლანდა, ვისაც ჯარიმები აქვთ გამოწერილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულებების გამო. ციხეებში ასევე ხვდებიან ის ადამიანებიც, რომლებიც ვალების კოლექტორების მზაკვრობის მახეში გაებნენ.

20 მოსამართლის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ დაპატიმრების საფრთხის წინაშე მდგარი მოვალეების რაოდენობა ფინანსური კრიზისის შემდეგ გაიზარდა. ზოგიერთმა პატიმარმა თავისუფლების აღკვეთის წინ არც კი იცოდა, რომ მათ წინააღმდეგ ვალების გადაუხდელობის გამო სარჩელი არსებობდა. ეს მოვალეებისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ზოგიერთ მოვალეს დაეკისრა ვალების გადახდა პატიმრობის ვადის ამოწურვამდეც კი.

2011 წელს გახმაურდა ილინოისის შტატის მკვიდრის — რობინ სანდერსის ისტორია.

იგი სახლში მიდიოდა, როდესაც პოლიციელმა დააკავა ზედმეტად ხმაურიანი ხმის ჩამხშობის გამო. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ჯარიმა გამოეწერა ქალისათვის და გაეშვა, პოლიციელმა იგი დააპატიმრა და პირდაპირ ციხეში უკრა თავი.

სწორედ მაშინ გაიგო რობინმა, რომ მის სახელზე გამოწერილი იყო დაპატიმრების ორდერი მეკუპინის ოლქის სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო.

სანდერსს სამედიცინო მომსახურებისთვის 730 დოლარი მართებდა, მაგრამ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ მის წინააღმდეგ ვინმემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

ქალმა 4 დღე გაატარა ციხეში, ვიდრე მამამისმა გირაოთი მის დასახსნელად 500 დოლარი იშოვა. ფული კოლექტორულ სააგენტოს გადაეცა.

ასე რომ, **ამერიკაში ახლა მოქალაქეებს ავად გახდომის შემთხვევაში რეალურად სთავაზობენ მკურნალობას, რათა გამოჯანმრთელდნენ და შემდეგ ციხეში ჩასხდნენ; ან შეუძლიათ ავადმყოფობით დაიხოცონ, ციხის გვერდის ავლით. სულ ესაა არჩევანი.**

aftershock.su

## «პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთელი თავისი შარმი დაკარგა»

**გერმანული გამოცემა „Tagesspiegel“ საქართველოს პრეზიდენტის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას ანალიტიკურ სტატიას უძღვნის და „ერთიანი ეროვნული მოძრაობის“ მიმართ პესიმისტურ დასკვნებს აკეთებს.**

ამა წლის ოქტომბერში მიხეილ სააკაშვილს ათწლიანი პრეზიდენტობის ვადა ეწურება. „მის სანიმუშო დემოკრატისა და კორუფციასთან მებრძოლის იმიჯს ბზარი გაუჩნდა. სულ ახლახან ოპოზიციამ გამოაქვეყნა საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქვეყნის მეთაურის პოსტზე ყოფნისას სააკაშვილი ფუფუნებაში სახელმწიფო ხარჯით ცხოვრობდა. ამ საბუთების წყალობით, გახდა ცნობილი, რომ ქართველი გადამხდელები დუბაიში სააკაშვილის ძვირადღირებული გართობების, ბავშვების სწავლისა და ქსენია სობჩაკისთვის ნაჩუქარი სამკაულების საფასურს საკუთარი ჯიბიდან იხდიდნენ. სააკაშვილმა ვერც დედაქალაქის ცენტრში შეკრებილი თანამოაზრეების გულების ანთება შეძლო, რომლებიც პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის და მისი პარტიის მიმართ პროტესტის გამოსახატავად შეიკრიბნენ.

საქმეები კარგად არც სააკაშვილის პარტია „ერთიან ეროვნულ მოძრაობაშია“. არავინ იცის, თუ რამდენ ხანს მოახერხებს პრეზიდენტი პარტიის დაშლისგან გადარჩენას. ასე, პრეზიდენტის მიტინგზე გამოსვლისას ტრიბუნა პარტიის გენერალურმა მდივანმა, ვანო მერაბიშვილმა დატოვა, რომელსაც ადრე შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა, ახლა კი შიდაპარტიული დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

თავის მხრივ, ჩინელი ანალიტიკოსი ლიუ გუან ხუა ვარაუდობს, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მთელი რიგი სხვა სტრუქტურების მეთოდოლოგია უკვე აფერხებს რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მსოფლიოს სულ უფრო ბევრ ქვეყანაში. თუმცა აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ეკონომიკური სტატისტიკა და მისი ანალიზის მეთოდები უფრო დახვეწილია. ასე რომ, მსოფლიო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგია გამიზნულია არა ინდუსტრიალურად განვითარებული, არამედ ყველა სხვა ქვეყნისთვის.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკული საკონცენტრაციო ბანაკი

**ამერიკელი ინტელექტუალები, მაგალითად, ნოამ ხომსკი ამერიკას უწოდებს „წამყვან სახელმწიფო-ტერორისტს“, რომელიც რეგულარულად არღვევს ყველა საერთაშორისო კანონსა და წესს. უკანასკნელი წლების განმავლობაში აშშ „ელექტრონულ საკონცენტრაციო ბანაკად“ იქცა ათი ათასობით ამერიკელისთვის. ამერიკის, როგორც სამართლიანი ქვეყნის, იმიჯი უბრალო ადგილობრივი მცხოვრებლების ისტორიებით ვერანაირ შემოწმებას ვერ უძლებს.**



ბოლო პერიოდში ამერიკულ პრესაში ბევრს წერენ სტივენ ვოშბერნის სევდიან ისტორიაზე. რიგითი ამერიკელი ვოშბერნი, აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ვეტერანი, აშშ-ში ცხოვრობს, მისი მეუღლე კი — ირლანდიაში. მეუღლესთან ჩასვლა ვოშბერნს არ შეუძლია, რადგან მისი სახელი ჩაწერილია „No-Fly List“-ში — იმ ადამიანების ჩამონათვალში, რომლებიც თითქოსდა მიდრეკილნი არიან ტერორიზმისკენ და რომელთა თვითმფრინავში ჩასხდომა ამის გამო აკრძალულია. ირლანდიამდე რაიმე სხვა საშუალებით ჩაღწევა რთული საკითხია, რის გამოც სტივენს მეუღლე დიდი ხანია არ უნახავს და, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს ვერ ნახავს.

ანტიტერორისტულ სიაში საკუთარი სახელის აღმოჩენის შემდეგ ვოშბერნმა ჩათვალა, რომ შეცდომის მსხვერპლი გახდა და ამ შეცდომის გამოსწორების თხოვნით უშიშროების სამინისტროს მიმართა. მაგრამ ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ამერიკელებმა მას ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თხოვნაზე უარი უთხრეს.

ეს ისტორია ამხელა საზოგადოებრივ რეზონანსს ვერ გამოიწვევდა, საქმე რომ მხოლოდ ერთეულ ან თუნდაც ათობით შემთხვევას ეხებოდეს და ბიუროკრატიული თვითნებობით ან ზედმეტი სიფრთხილით იხსნებოდეს. **სინამდვილეში „NO-FLY LIST“-ში იმ ადამიანების ჩამონათვალი, რომელთაც თვითმფრინავში შესვლა ეკრძალებათ, მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, 21 ათას პუნქტს მოიცავს.** აშშ-ის სახელისუფლო სტრუქტურების მიერ შექმნილ ამ სიაში გაერთიანებულნი არიან ადამიანები, რომელთაც ეკრძალებათ საჰაერო ხომალდებით მოგზაურობა როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ავიახაზებით.

სიის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ მასში მოცემულია მხოლოდ ადამიანთა სახელები და არა რაიმე კონკრეტული ინფორმაცია პოტენციური დარღვევების თაობაზე. ამის გამო ფრენა ეკრძალებათ სიაში რეალურად შეყვანილი ადამიანების სრულ სეხნიებსაც. ამასთან, ადამიანებს არ ეძლევათ ინფორმაცია იმის შესახებ, არიან თუ არა მოხვედრილნი ზემოხსენებულ სიაში.

ცოტა ხნის წინ სამოქალაქო თავისუფლებათა ამერიკულმა კავშირმა (ACLU) სასამართლოს მიმართა იმ 13 ადამიანის სახელით, რომლებიც საიდუმლო სიაში მოხვდნენ და ამის გამო არ შეუძლიათ იფრინონ ამერიკაში, გაფრინდნენ ან საიდანმე ჩაფრინდნენ ამ ქვეყანაში. ამ ადამიანებს შორის ოთხი სამხედრო ვეტერანია, არიან ბავშვებიც და ინვალიდებიც, რომეთათვის არ არსებობს პასუხები კითხვებზე, თუ რატომ მოხვდნენ ამ სიაში და როგორ უნდა ამოშალონ იქიდან საკუთარი სახელები. გადაადგილების საშუალებებიდან თვითმფრინავის გაქრობამ მათ ცხოვრებაზე, სამსახურზე, მეგობრებსა და ნათესავებთან კონტაქტებზე სერიოზულად იმოქმედა.

მაგალითად, ერთ-ერთი მოსარჩელე, ამერიკის მოქალაქე სადიგ ლონგი, რომელიც 10 წელი ემსახურა ამერიკის სამხედეო-საჰაერო ძალებს, ახლა ყატარში ცხოვრობს. მან იყიდა ბილეთები აშშ-ში გადასაფრენად, რათა მძიმე ავადმყოფი დედა მოენახულებინა. გაფრენამდე ერთი დღით ადრე მას ავიაკომპანიიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მას რეისზე ვერ დაუშვებდნენ, რადგან ეკრძალება ამერიკაში ჩაფრენა. მხოლოდ ნახევარწლიანი დაუსრულებელი გარკვევების შემდეგ დაუშვეს ლონგი აშშ-ში. როდესაც დედის მონახულების შემდეგ მან კვლავ ყატარში დაბრუნება გადაწყვიტა და მისმა იურისტმა გამაფრთხილებელი წერილი გაგზავნა გამოძიების ფედერალურ ბიუროში, აღმოჩნდა, რომ ლონგი კვლავ შავ სიაში იყო და ახლა უკვე ყატარში ველარ დაბრუნდებოდა.

საქმე რომ მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებს ეხებოდეს, კიდევ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიტერორისტული პარანოიის გამო მათში რაღაც ტერორისტული შენიშნეს, მაგრამ ორი წლის წინ ამ შავ სიაში შიდა უშიშროების სამინისტრომ შეიყვანა იმხანად ექვსი წლის გოგონა ალისა ტომასი. მხოლოდ მშობლების ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაუშვა კლივლენდის აეროპორტის დაცვამ მისი ხმელეთზე დაშვება. **მოზარდ მაიკლ ჰოკსს კი ნიუ-ჯერსის უშიშროების სამსახურები საგულდაგულოდ ჩხრეკენ ორი წლის ასაკიდან — ამერიკის ხელისუფლება მასაც პოტენციურ ტერორისტად თვლის მას შემდეგ, რაც ბავშვს ორი წელი შეუსრულდა.**

ამ სიაში არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან ეჭვმიტანილნი ტერორისტულ საქმიანობაში. ამიტომ ამით ირღვევა როგორც იმ უდანაშაულო ამერიკელთა კონსტიტუციური უფლებები, რომლებიც არასდროს ყოფილან ბრალდებულნი რაიმე დანაშაულის გამო და უფრო მეტიც, მრავალი წლის მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ საკუთარ ქვეყანას.

დღეს, როდესაც მსოფლიოში პრაქტიკულად აღარ დარჩა ქვეყანა, რომელშიც ამერიკამ არ სცადა „დემოკრატიის შეტანა“, ფუნდამენტური უფლებების ფეხქვეშ გათელვის მსხვერპლნი უკვე ამერიკის მოქალაქეები ხდებიან.

**pravdaimif**

# მსოფლიო სავალუტო ფონდის ორმაგი ბუღალტერია

**ეკონომიკური გათვლების დასავლური „მეთოდები“ კრიზისების პროვოცირებას ახდენს. ჯერ კიდევ 1950-იან წლებში ლამის მთელ მსოფლიოში აშშ-სა და მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ დანერგილი ეკონომიკისა და ცხოვრების დონის შეფასებები რეალობას არ ასახავს. უფრო მეტად ეს ემსახურება რეალობის ფალსიფიცირებას, შენიღბვასა და გაყალბებას, რითაც საბოლოო ჯამში სარგებლობენ როგორც აშშ, ისე მსოფლიო სავალუტო ფონდი. სწორედ ამის გამო გამოდის, რომ ევროკავშირი და ევროპის ცენტრალური ბანკი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად განიხილავს კრიზისულ მდგომარეობებს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ვინ იქნება შემდეგი?**



უპირველეს ყოვლისა, საქმე ისაა, რომ საერთო შიდა პროდუქტი და მისი ცვლილების დინამიკა ითვლება მსოფლიო სავალუტო ფონდის მეთოდებით ცალსახა ღირებულების მაჩვენებლების შესაბამისად. და თუ დამზადებული საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის ღირებულებები იზრდება, ფიზიკური მოცულობის, საწარმოო სფეროში მიმდინარე ტენდენციების მიუხედავად, იზრდება საერთო შიდა პროდუქტიც. გარდა ამისა, ეს კვალიფიცირდება, როგორც რეალური ეკონომიკური ზრდა ამა თუ იმ ქვეყანაში.

**მაგრამ თუ საქონლის რაოდენობით განსაზღვრული წარმოების მოცულობა იზრდება და ფასები არ იცვლება ან მცირდება, კეთდება დასკვნა, რომ ეკონომიკურ ზრდას ადგილი არ აქვს. ვინაიდან პროდუქტის დამზადებისა და გასაღების მაჩვენებელი, ღირებულების თვალსაზრისით, არ იზრდება, ინვესტორები თვლიან, რომ ამგვარ ეკონომიკაში დაბანდება არ ღირს.**

მსოფლიო სავალუტო ფონდის ამგვარი შეფასებები და მათთან დაკავშირებული ინსტიტუტებისა თუ სააგენტოების ანალიზები მუდმივად იგზავნება სხვადასხვა ქვეყანაში.

**მაინც რას ითვალისწინებენ კონკრეტულად? წარმოებული საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულებას? თუ მათი გასაღების საერთო ღირებულებას შიდა თუ გარე ბაზრებზე?** ეს ნიუანსები დასავლელი ანალიტიკოსების ნაშრომებში, როგორც წესი, არ კონკრეტდება. თუმცა, ცხადია, რომ წარმოების მოცულობასა და ქვეყნის შიგნით გასაღებას შორის სხვაობა შესაძლებლობას იძლევა, გაანალიზდეს როგორც სამრეწველო და ფასების პოლიტიკა, ასევე მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა. და, შესაბამისად, დადგინდება ის, რაც შაბლონურად კვალიფიცირდება „ეკონომიკურ ზრდად“.

სამაგიეროდ, დასავლურ ანგარიშებში მკაცრად კონტროლდება ისეთი ფაქტორი, როგორიცაა პოლიტიკური კონიუნქტურა. ის აუცილებლად ფიგურირებს საერთო შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების პროგნოზებში. ამ კონიუნქტურაზე დამოკიდებულებაში ზრდის სწრაფი ტემპი ან ვარდნა, როგორც წესი, უკავშირდება კონკურენტების დასუსტების აუცილებლობას ან დასავლეთისთვის უფრო მომგებიანი საქონლის ამა თუ იმ ბაზარზე დამკვიდრებას.

ამრიგად, შეცდომა იყო ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის წინასწარმეტყველება საბერძნეთში, ირლანდიაში, იტალიასა და პორტუგალიაში? თუ მათი დეფოლტი დაგეგმილია? პრინციპი „როგორ დავითვალოთ“ მომგებიანია, პირველ რიგში, მსოფლიო სავალუტო ფონდისა და აშშ-ისთვის. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში მოხვდება, შეიძლება ძალიან მალე მოახვიონ თავს „დახმარების“ კაბალური ან სულაც მძარცველური პირობები.

პორტუგალიელი ეკონომისტის — ალვარო გომეშის თქმით, **„ზედაპირული ან შეგნებულად დამახინჯებული ეკონომიკური სურათის შექმნის მეთოდები წარმატებით დაინერგა მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში. ამიტომ მრავალ ხელისუფლებასა და ანალიტიკოსს არ შეუძლია, დროულად შენიშნოს კრიზისული სიტუაცია“.**

**თავის მხრივ, ჩინელი ანალიტიკოსი ლიუ გუან ხუა ვარაუდობს, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მთელი რიგი სხვა სტრუქტურების მეთოდოლოგია უკვე აფერხებს რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მსოფლიოს სულ უფრო ბევრ ქვეყანაში. თუმცა აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ეკონომიკური სტატისტიკა და მისი ანალიზის მეთოდები უფრო დახვეწილია. ასე რომ, მსოფლიო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგია გამიზნულია არა ინდუსტრიალურად განვითარებული, არამედ ყველა სხვა ქვეყნისთვის.**

**Файл-РФ**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნადეჟდა ალილუევამ ჩაკეტილ ოთახში მოიკლა თავი. ეს გასროლა კრემლში გაყოფს სტალინის ცხოვრებას მანამდე და მას შემდეგ პერიოდებად. ამ გასროლით დაიწყება ქვეყანაში ოცდაათიანი წლები: თითქოს მის საპასუხოდ გაისმება სხვა გასროლების ხმა და ძნელი შეიქნება ამ წრიდან თავის დაღწევა.**




## ტელეკომპანია HTB-ს ფილმის საგაზეთო ვარიანტი

# სტალინი ჩვენთანაა

**იგი იყო ადამიანი, რომელმაც ათწლეულობით წინასწარ განსაზღვრა ქვეყნის ბედი. ის იყო ლიდერი, რომელმაც თანამედროვე ევროპის სახე შექმნა. მისი სახელი დაუკავშირეს სასტიკ დანაშაულობებს და დიად გამარჯვებებს. მისი ადგილი ისტორიაში ამოშალეს, მისი პიროვნება მითების გალავნით შემორკალეს, რომლის იქით რეალობა დაიკარგა.**
**ფილმის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მათი ნაწარმოები არ უნდა ნახონ იმათ, ვისაც სტალინი ყველა დროისა და ყველა ხალხის გენიად მიაჩნიათ, არც იმათ, ვისაც იგი ჯოჯოხეთის მოციქული ჰგონიათ. ეს ფილმი არის მცდელობა ბელადის ისეთად წარმოჩენის, როგორიც სინამდვილეში იყო, შავ-თეთრი მითების გარეშე. რატომაა იგი დღემდე ჩვენთან და ზოგიერთებს დღესაც მის თაყვანისმცემლებად მოაქცევს, სხვებში კი სიძულვილს იწვევს? ამ კითხვებზეც იპოვით პასუხებს HTB-ს მრავალსერიან მონათხრობში.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-14 (197-201)



### მეორე სერია (მესამე ნაწილი)

სტალინი ორ ფრონტზე იწყებს თამაშს: ეჟოვს უბრძანებს, ბოლომდე მიიყვანოს „კრემლის შეთქმულების საქმე“, ყურადღება არ მიაქციოს დაკვებულ თანამდებობებსა და ავტორიტეტებს და დასაპატიმრებლები დააპატიმროს. მეორე მხრივ, რეგიონულ ლიდერებს უფლებას აძლევს, თავიანთ ტერიტორიებზე თავად წარმართონ ბრძოლა ხალხის მტრების წინააღმდეგ.

რეგიონული კომიტეტების მდივნები მოითხოვენ, გადაიდოს არჩევნები მტრის სიმრავლის გამო. ისინი, საკუთარ სკამებს ჩაჭიდებული პარტჩინოვნიკები, დაუყოვნებლივ იწყებენ დასახვრეტთა გაზრდილი სიების გაგზავნას კრემლში.

კრემლი თანახმაა.

**იური ჟუკოვი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— სტალინი იძულებული იყო, დათანხმებოდა რეპრესიებს. მაგრამ შემდეგ, ეტყობა, უდიდესი სიამოვნებით სამაგიერო გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩაიდინეს ეს საშინელი ბოროტება. სამხარეო და საოლქო კომიტეტების თითქმის ყველა მდივანი დააპატიმრეს და დახვრიტეს, გამონაკლისი მხოლოდ ხრუშჩოვი იყო.

შეიძლება, რა თქმა უნდა, წარმოვიდგინოთ, რომ ყველაფერი კრემლის დიქტატორის ბოროტი ნების შედეგი იყო, მაგრამ მასობრივი წმენდის მექანიზმი არ იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: დაბეზღების ათასობით წერილი იგზავნება შინსახკომში მეზობლებზე, თანამშრომლებზე, ცოლებზე, ქმრებზე, საყვარლებზე — ყველაზე, ვინც ისეთი არ ჩანს, როგორი უნდა იყოს.



სამოქალაქო ომი გრძელდება.

ეჟოვის სახელი და დიდება ქვეყანას ბურავს.

აკინი ჯამბულ ჯაბაევი კი სიმღერას უძღვნის სახალხო კომისარს — სტალინის ულალატო მეგობარს.

1936 წელს ეჟოვი აღმოაჩენს შეთქმულების ახალ დადასტურებას. სტალინის უახლოესი ადამიანების დაკავების შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება ბელადის ქცევაშიც.

აბელ ენუქიძისა და კრემლის კომენდანტის — რუდოლფ პეტერსონის ჩვენებების მიხედვით, შეთქმულებს ჩაფიქრებული ჰქონდათ სტალინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის, კაგანოვიჩის დაპატიმრება პეტერსონის მიერ ალყაშემორტყმულ კრემლში. ძალაუფლება დროებითი დიქტატორის ხელში გადავიდოდა, რომელიც რევოლუციურ არმიას წარმართავდა რევოლუციის მტრებისა და სტალინის წინააღმდეგ.



### მესამე სერია (პირველი ნაწილი)

ნადეჟდა ალილუევამ ჩაკეტილ ოთახში მოიკლა თავი. ეს გასროლა კრემლში გაყოფს სტალინის ცხოვრებას მანამდე და მას შემდეგ პერიოდებად. ამ გასროლით დაიწყება ქვეყანაში ოცდაათიანი წლები: თითქოს მის საპასუხოდ გაისმება სხვა გასროლების ხმა და ძნელი შეიქნება ამ წრიდან თავის დაღწევა.

ამბობდნენ, რომ ისინი — ცოლი და ქმარი ჩხუბობდნენ, კამათობდნენ, ჭორები პოლიტიკურ უთანხმოებაზეც ვრცელდებოდა. ოჯახის ბედი ქვეყნის ბედის პირველსახედ იქცა.

ოცდაათიანი წლები დანაკარგებისა და გულის გატეხის დროდ ჩამოყალიბდა. სტალინისთვის ეს წლები აბსოლუტური ძალაუფლებისკენ აღმასვლის დროდ იქცა.



ასე ჩანს შორიდან. ახლოდან მუდმივ დამარცხებათა რიგია — პირად ცხოვრებასა თუ პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ეს ის დროა, როცა ძალაუფლებისთვის ბრძოლა გადამწყვეტ სტადიაში შედის. ცოლის გარდაცვალება ამ ბრძოლის პირველი დანაკარგი იქნება.

სულ ახლახან ისე ჩანდა, რომ ცხოვრება აეწყო, მაგრამ თურმე პირიქით ყოფილა — ნგრევა და დაშლა დაწყებულა.

სულ რამდენიმე წლის წინათ მას საკუთარი კერა გაუჩნდა, ოჯახი, ანუ ის, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს ჰქონია. მხოლოდ 50 წლისამ იგრძნო ოჯახური სიმყუდროვე. მოჩვენებითი ჰარმონია. ადგილი, სადაც შეეძლო ისტორიის ქარიშხლებისგან თავის შეფარება.



პირველი ცოლი, რომელიც პარატიფისგან გარდაეცვალა, მხოლოდ მეხსიერებას შემორჩა ისევე, როგორც მისი რამდენიმე ბუნდოვანი ფოტოსურათი. მხოლოდ ერთი წელიწადი იყვნენ შეუღლებულები.

პირველი ვაჟი — იაკობი რევოლუციონერ მამას, შეიძლება ითქვას, არც იცნობდა, იგი პროფესიონალი იატაკქვეშელის ცხოვრებას ეწეოდა, დაპატიმრებულს კი ხან რომელ გადასახლებაში ამოაყოფინებდნენ თავს, ხან — რომელში.

6 თვისა იყო იაკობი, უდედოდ რომ დარჩა. ბებიამ გაზარდა. მამამ კრემლში იხმო და მკაცრი და მომთხოვნი აღმზრდელის როლი მოირგო. პირველი ნაადრევი ქორწინებაც დაუწუნა, არც მეორისგან დარჩება აღფრთოვანებული — იაკობი ებრაელ გოგოს მოიყვანს.



მაგრამ იაკობი მოახერხებს და შეურიგდება მამას. სიამაყის მიზეზს მისცემს იმით, რომ 1941 წლის მაისში დაამთავრებს არტილერიის აკადემიას. ერთი თვის შემდეგ წავა ფრონტზე, მაგრამ უკვე 1941 წლის 16 ივლისს ტყვედ ჩავარდება.

შემდეგ კი იწყება საიდუმლოება.


ЭТО ЯКОВ ДЖУГАШ
омандир батареи 14-го гаубичного
анковой дивизии, который 16-го
итебском вместе с тысячами дру
По приказу Сталина учат вас
омы, что большевики в плен не
рмейцы все время переходят к н
омиссары вам лгут, что немцы пло
Собственный сын Сталина сво

1941 წლის ივლისში გერმანელების მიერ ფრონტის ხაზზე გადმოყრილი ფურცლები იტყობინება, რომ სტალინის შვილი ტყვედაა ჩავარდნილი.

ოფიციალური ვერსიით, იაკობი 1943 წლის აპრილში საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა.

შემორჩენილია სულ რამდენიმე, სპეციალისტების აზრით, ნაყალბევი ფოტოსურათი, რომლებიც, ისევე, როგორც იაკობის სიკვდილის ვერსია, დღემდე საკამათო და საეჭვოა: არც ერთი მსხვილი პლანი, არც ერთი კინოფირი. რატომ არ გამოიყენა გებელსის პროპაგანდამ ისეთი უტყუარი კოზირი, როგორიც იაკობ ჯუღაშვილის ხანგრძლივი ტყვედყოფნა იყო? ან, იქნებ, იაკობი უკვე ბრძოლაში იყო დაღუპული, როცა ფაშისტებმა „დაატყვევეს“?

ყველა დოკუმენტი, რომლებიც იაკობს ეხება, დღემდე ამერიკის არქივებშია ჩაკეტილი გრიფით „საიდუმლო“.




**იური ჟუკოვი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— თუ იაკობ ჯუღაშვილი გერმანელების ტყვეობაში ასე დიდხანს იმყოფებოდა, თავს მოსაკვეთად დავდებ, ათობით, ასობით ფოტოსურათი და დოკუმენტური კინოფირი იქნებოდა გადაღებული და გამოქვეყნებული. მაგრამ რადგან ამის მსგავსი არაფერი ჩანს, მაშასადამე, იაკობი ტყვედ ჩავარდა სასიკვდილოდ დაჭრილი და ტყვეობაშივე დალია სული.



ნადეჟდა ალილუევა სტალინს მხურვალედ უყვარდა, რაც მათ მიმოწერაშიც მჟღავნდება. „გკოცნი ძალიან ბევრს, მაგრამ, ბევრს. შენი იოსები“, — წერდა იგი ცოლს.

ცოლიც სიყვარულით და ერთგულებით უპასუხებდა და სამოქალაქო ომის ფრონტებზეც თან ახლდა ქმარს. ნადეჟდა ალილუევა მთავრობის აპარატის რიგით მბეჭდავ-მემანქანედ მუშაობდა. მათი ბოლოდროინდელი მიმოწერიდან ჩანს, რომ ძალიან ახლო და გულითადი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. მართალია, წინადადებები თავშეკავებულია, მაგრამ ეს ხანგრძლივი კონსპირაციული ცხოვრებიდან გამოყოლილი ჩვევით აიხსნება.



1929 წლის 1 სექტემბერი:

„გამარჯობა გოგონა. შენი წერილი მივიღე. ჩემი ორი მიიღე? თურმე ნალჩიკში მე ახლოს ვიყავი ფილტვების ანთებასთან. ახლა გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე ნალჩიკში. ორივე ფილტვში ხიხინი მაქვს და ხველაც თავს არ მანებებს. საქმეებია, ეშმაკმა დალახვროს! 6-7 თავისუფალ დღეს თუ გამოვნახავ, სოჭისკენ დაიძარი. ვკოცნი ჩემს ტატკას“.

„ძვირფასო იოსებ, შენი წერილი მივიღე. ძალიან მიხარია, რომ შენი საქმეები კარგად მიდის.

იოსებ, თუ საშუალება გაქვს, გამომიგზავნე ასე 50 რუბლი. პრომაკადემიაში ფულს მხოლოდ 15 სექტემბერს მომცემენ. ახლა კი უკაპიკოდ ვზივარ. თუ გამოაგზავნი, კარგი იქნება“.

სტალინს სამი შვილი ჰყავს — იაკობი, ვასილი და უმცროსი — სვეტლანა. ამათთან ერთად, აღსაზრდელად აყვანილი არტიომ სერგეევი, დაღუპული რევოლუციონერის ვაჟი. არტიომი, ანუ ტომი, როგორც მას სტალინი ეძახდა, ვასილთან და სვეტლანასთან ერთად ბელადის ღვიძლი შვილივით იზრდება. კრემლის ბი-

მართალი ისტორია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლეგენდა, რომ ბერია თვითონ იყო ფსევდოთავდასხმის ორგანიზატორი, გაჩნდება შემდეგ: მან ეს გააკეთაო იმისთვის, რომ შემდეგ თვითონვე ოპერატიულად გაეხსნა საქმე, მაგრამ დოკუმენტები სხვას ღალადებს.



ნაში და სტალინის აგარაკზე გატარებულ წლებს იგი იხსენებდა, როგორც ბედნიერ დროს თავის ცხოვრებაში.

არტიომ სერგეევი დიდხანს იცოცხლებს, გარდაიცვლება 2008 წელს.

რუბენ სერგეევი, არტიომის ვაჟი, იხსენებს მამის მონაყოლს და ამბობს, რომ სტალინი თავის ახლობლებთანაც საკმაოდ მკაცრი იყო, არ ზოგავდა არც საკუთარ თავს, არც ბავშვებს. მისი აზრით, ბავშვებს ბევრ რამეზე უნდა ეთქვათ უარი სწორედ იმის გამო, რომ ბელადის შვილები იყვნენ. ეს უამრავ დაპირისპირებასა და კონფლიქტს იწვევდა.

მაგრამ სახლის კარი ღიაა და ოჯახში კეთილგანწყობილების ატმოსფერო სუფევს.



რუბლიოვო-ოდინცოვოს რაიონში მდებარე აგარაკზე ოდინცოვოდან სტალინი ადგილობრივი გლეხის საზიდრით მიდის — უამინდობაში მანქანა ტლაპოში ეფლობა.

არავითარ „სულიკოს" სტალინი ამხანაგებთან ერთად არ მღერის, არ უსმენს.

არტიომ სერგეევს კარგად ახსოვს ის ფირფიტები, რომლებსაც პატეფონით ატრიალებდა სტალინი: ვალსი „На сопках Манджурии", „Врагу не сдается наш гордый Варяг" და მაშინ ჯერ კიდევ ემიგრანტ ვერტინსკის სიმღერები.

ბავშვებს მხიარული სიმღერები მოსწონთ, სევდიანი მელოდიები სწყინდებათ. სტალინი ვასილისა და არტიომს ჭკუას არიგებს, — გაიზრდებით და ყველაფერს გაიგებთო.

სტალინის ახალგაზრდა ცოლს თავის ძლიერი ტკივილები აწუხებს. ყოველწლიურად შვეიცარიაში სამკურნალოდ ჩადის. დიაგნოზი კისრის არტერიების შევიწროებაა, რაც აუტანელ შაკიკს იწვევს: მემკვიდრეობით მიღებული დაავადება მკურნალობას არ ექვემდებარება.

წლების განმავლობაში აწამებდა თავის ტკივილები ნადეჟდას.



შემდეგ და შემდეგ მიაბამენ ლეგენდებს ამ ავადმყოფობას და საერთოდ მის ცხოვრებას, რომელიც უამისოდაც მძიმედ ასატანი იყო. მას ეჩვენებოდა, რომ მეუღლე სულ უფრო შორდებოდა მას: სტალინი მთელ დღეს სამსახურში ატარებს, ნადეჟდა სწავლობს. იცვლება წერილების ტონიც. სოჭში დასასვენებლად მყოფი სტალინი ცოლის წერილებს არ უპასუხებს.

ეჭვიანობის ჭია ღრღნის ცოლს.

1932 წლის 30 ნოემბრის ღამეს ნადეჟდა ალილუევა კრემლის ბინაში მიდის. იკეტება ოთახში. რა მოხდა შემდეგ, რა მიზეზებმა გამოიწვია ტრაგედია, დღემდე საკამათოა.

იმ ღამეს სტალინი აგარაკზე გაემგზავრება. ცოლი რამდენიმეჯერ დაურეკავს, მაგრამ სტალინს არ სურს ცოლთან საუბარი. ისინი ვოროშილოვთან იყვნენ სტუმრად. იქ წაიჩხუბეს. ჩხუბი მათ ცხოვრებაში იშვიათობა არ არის.

ნადეჟდას თავის ტკივილები აწუხებს, ქმარს უსიამოვნება აქვს სამსახურში. ორივე დაძაბულია უკიდურესად.

ნადეჟდა ალილუევა თავს იკლავს.

პისტოლეტი „ვალტერი", რომელიც თვითმკვლელობის იარაღად გამოიყენა, ალექსანდ-



რე სვანიძემ, სტალინის პირველი ცოლის ძმამ, კობას თბილისელმა მეგობარმა აჩუქა.

ამ მომენტიდან თითქოს რაღაც საბოლოოდ ჩაწყდა სტალინის პიროვნებაში, მით უფრო, რომ საყვარელი ქალის მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ ჭორები დაუყოვნებლივ გაჩნდა და გავრცელდა პოლიტიკური ელიტის წრეებშიც და კრემლის დამლაგებელთა შორისაც.

მოარული ხმების სიმრავლე ადასტურებს, რომ ურთულეს დროში მოუწიათ მათ ცხოვრება.




მათი ქალიშვილი სვეტლანა დაწერს ამ დღეების შესახებ:

„მე მიყვებოდნენ ამის თაობაზე მას შემდეგ, რაც გავიზარდე. მამა შეძრა მომხდარმა, იგი შეძრა იმან, რომ ვერ იგებდა, რატომ მოხდა ეს ტრაგედია, ასეთი საშინელი დარტყმა ზურგში რატომ მიაყენეს. იგი ძალიან ჭკვიანი იყო და ესმოდა, რომ თვითმკვლელი ყოველთვის ფიქრობს ვიღაცის დასჯას — ესეც შენო, მიუგებს ნიშანს. ეს მან იცოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რატომ, რისთვის დასაჯეს იგი ასე. და გარშემო მყოფთ ეკითხებოდა, განა უყურადღებო იყო, განა არ უყვარდა, განა პატივს არ სცემდა, როგორც ცოლს, როგორც ადამიანს?! განა ასე მნიშვნელოვანია, რომ მას არ შეეძლო კიდევ ერთხელ წასულიყო მასთან ერთად თეატრში? პირველ დღეებში იგი თავზარდაცემული იყო. ამბობდა, რომ აღარ სურს სიცოცხლე".



დედის დაკრძალვის დღეს 11 წლის ვასილი მოთქმით მტირალ მამას ამშვიდებდა. ისინი ერთად მიჰყვებოდნენ კუბოს.

ნადეჟდა ალილუევა მოსკოვის ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაკრძალეს. ცოლის საფლავზე სტალინი სისტემატურად დადიოდა.

საფლავზე დადგმულ თეთრი მარმარილოს ქანდაკებაზე ნადეჟდა ალილუევა მხარზე ხელდადებულია გამოსახული. სიმბოლისტთა ენაზე ეს ნიშნავს, რომ გარდაცვლილმა თავი მოიკლა, ანუ, როგორც რუსები ამბობენ, თვითონ დაიკრიბა ხელები გულზე.

ამ მომენტიდან სტალინისთვის სრულიად სხვა ცხოვრება იწყება. მისი გარემოცვიდან არასოდეს არავის უნახავს, რომ იგი ოდესმე რომელიმე ქალთან დარჩენილიყო. მისი რომანებისა და საყვარლების შესახებ ჭორებს, რომლებითაც სტალინის მითოლოგიის გამდიდრება სურთ, არავითარი საფუძველი არ აქვს.



**იური ჟუკოვი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— ასეთი ლაყბობა, არასოდეს დაუდასტურებია ვინმეს, არც ვლასიკს, არც ვინმე სხვას, ვინც იმ დროს მუდმივად მის გვერდით იმყოფებოდა. ეს სიბინძურე პერესტროიკის წლებში დაიწყო. ბულვარული ლიტერატურის, ყვითელი პრესის მეშვეობით სურდათ, ეშოვათ ფული და მოიგონეს, რომ მას 150 საყვარელი ჰყავდა. ამაზე დაწერეს წიგნები.

ცოლის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, სტალინის დაბადების დღეზე მივლენ ახლო მეგობრები. 1934 წელია. ახლახან მოკლეს კიროვი. ზინოვიევი და კამენევი დაპატიმრებულები არიან. სტალინის პირველი ცოლის ძმის მეუღლე მარია სვანიძე ასე აღწერს იმ საღამოს:




„იოსები ადგა და თქვა: რახან აკადემია ვახსენეთ, მოდით დავლიოთ ნადიას ხსოვნისა. მე ვწერ და თვალები კვლავ ცრემლით მევსება, ისევე, როგორც იმ მომენტში. მე და ნიურამ იოსებს ლოყაზე ვაკოცეთ. მისი სახეს სევდის ბეჭედი ედო. მძიმე წუთი იყო... ორი მძიმე დანაკარგის შემდეგ იოსები ძალიან გამოიცვალა. უფრო რბილი, კეთილი, უფრო ადამიანური გახდა. ნადიას სიკვდილამდე იგი მარმარილოს მიუკარება გმირი იყო, ახლა კი შეგვძრავდა ხოლმე თავისი ქცევით, ვიტყოდი ზედმეტად ობივატელური, ადამიანური ქცევით".

იმავე, 1934 წლის დღიურში მარია სვანიძე შეაჩვენებს ხალხის მტრებს — კამენევსა და ზინოვიევს... 1941 წელს კი მას ქმართან ერთად დახვრეტენ ოპოზიციონერებთან ძველი კავშირის გამო.

ასე შეიკვრება სტალინის ცხოვრების პირველი ნახევრის წრე — უშედეგო მცდელობა, ეპოვა სიყვარული, მეგობრობა და სიმშვიდე.



1933 წლის ზაფხული. ცოლის სიკვდილის შემდეგ პირველი, რომელიც საოცრად ცხელი ამინდით გამოირჩა. იგი მიემგზავრება სამხრეთში დასასვენებლად და ჯერ კიდევ არ იცის, რა მოულოდნელობებს გადაეყრება.

სოჭში, უფრო ზუსტად, მაცესტაში არის გოგირდოვანი წყლების წყაროები, სადაც ყოველწლიურად ჩადის სტალინი ჯერ კიდევ ბავშვობაში ტრამვირებული სახსრების სამკურნალოდ.

25 ივნისს რკინიგზის სადგურიდან აგარაკისკენ მიმავალი სტალინის „ბიუიკი" სატვირთო ავტომანქანას შეეჯახება. მანქანები დიდი სიჩქარით არ მოძრაობდნენ, ამიტომ დაზიანებებიც უმნიშვნელოა. მაგრამ თავიანთი მანქანიდან გადმომხტარი ჩეკისტები დაუყოვნებლივ გახსნიან ცეცხლს სატვირთოს მიმართულებით.



სატვირთოს შოფერი, ვინმე არეშიძე, ძალიან შეშინებული და ძალიან მთვრალი, გარბის და იმ დროს ბუჩქნარით დაბურდულ სანაპიროზე მიიმალება.

სტალინის ავტომობილი გზას განაგრძობს: ჩვეულებრივი ავტოსაგზაო შემთხვევაა. მაგრამ მეორე დღესვე სოჭის ყველა შოფერს დაავალდებულებენ ხელმეორედ რეგისტრაციის გავლას.

მოქალაქე არეშიძე ჯარიმას გადაიხდის.

ამ ინციდენტის შემდეგ, ერთ თვეში სტალინი აფხაზეთში „ხოლოდნაია რეჩკას" აგარაკზე დაისვენებს.

მაღალ სტუმარს ადგილობრივი ხელმძღვანელობა ზღვაზე გასეირნებას შესთავაზებს — აქედან ბიჭვინთამდე კატარღით. იქ სახელდახელო პიკნიკიდან დაბრუნებისას მცირე შტორმი ორი საათით დააბრკოლებს მგზავრებს.

კატარღა უკვე უახლოვდებოდა ნავმისადგომს, როცა მისი მიმართულებით ატყდა სროლა. ტყვიები სცდება კატერს.

ეს უკვე შემთხვევითი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა არ არის. სროლა კატერის მიმართულებით, რომლის ბორტზე ქვეყნის პირველი პირები არიან, აშკარა ტერორიზმი და კონტრრევოლუციაა.



მეორე დღეს საქართველოს კომპარტიის ახალგაზრდა და ენერგიული პირველი მდივანი ლავრენტი ბერია პირადად ჩადის ამ ინციდენტის გამოსაძიებლად.

ლეგენდა, რომ ბერია თვითონ იყო ფსევდოთავდასხმის ორგანიზატორი, გაჩნდება შემდეგ: მან ეს გააკეთაო იმისთვის, რომ შემდეგ თვითონვე ოპერატიულად გაეხსნა საქმე, მაგრამ დოკუმენტები სხვას ღალადებს.

ბერია შეშინებული იყო. მისი კარიერა ნორმალურად დაწყებულიც არ ყოფილა და, შეიძლებოდა უცებ შეწყვეტილიყო, რადგან მის რესპუბლიკაში თავს ესხმიან ქვეყნის პირველ პირს, ბელადს, რომელიც ძლიერებისა და სტაბილურობის სიმბოლოა. ეს კონფლიქტი ხელს აძლევს მის მტრებს.



სანამ სტალინი ისვენებს, ბერია ორ დღე-ღამეს ფხიზლობს — მას ტერორისტების აღმოჩენა სურს.

აღმოჩნდება კი პროზაული რამ: მესაზღვრეები არ გაუფრთხილებიათ, რომ სტალინის კატარღა ორი საათით დაბრკოლდა და იგვიანებდა. და მათმა უფროსმა ლავროვმა გასცა ბრძანება, სამი გასროლით გაეფრთხილებინათ უცნობი კატარღა, რომ აღნიშნულ აკვატორიაში შესვლა აკრძალული იყო.

შედეგად, როგორც შოფერ არეშიძეს არ დააბრალეს ტროცკისტებთან კავშირი, ასევე მესაზღვრეების მეთაური ლავროვიც გაამართლეს, რადგან იგი წესდების სრული დაცვით მოქმედებდა.

მაგრამ ყველაფერი ძალიან მალე შეიცვლება. ტერორი, რომელიც ყოფილი რევოლუციონერებისთვის ასე ნაცნობი იყო, მიუახლოვდება ქვეყნის საზღვრებს.



1934 წლის დეკემბერში კიროვის მკვლელობის შემდეგ სიტყვა „ტერორიზმი" კვლავ პოპულარული გახდება საბჭოთა გაზეთების გვერდებზე. ევროპა უკვე მოცულია პოლიტიკური ტერორით. ჰიტლერი ჯერ კიდევ მზად არ არის, საომრად დაძრას არმიები, მაგრამ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები უცნაურად ქრებიან ერთმანეთის მიყოლებით.

**გაგრძელება იქნება**

**ტელესერიალის საგაზეთო ვარიანტი მოამზადა არმაზ სანებლიძემ**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ალბერტ II — მონაკოს პრინცი

**ასაკი – 54 წელი**
**გამეფების წელი – 2005**
**ქონება შეფასებულია 3 მილიარდ ევროდ (4,72 მილიარდი დოლარი)**

მონაკოს პრინცის მფლობელობაშია ხელოვნების ნიმუშების მდიდარი კოლექცია, შეგროვებული პრინცის ოჯახის მიერ. აგრეთვე, ის დიდ შემოსავალს იღებს მონტე-კარლოს კაზინოებისგან.

# ყველაზე მდიდარი თანამედროვე მონარქები

**აპრილში ნიდერლადების სამეფო გვირგვინი გადაეცემა 45 წლის მეფისწულ ვილემა-ალექსანდრეს. ნიდერლანდების მონარქიისთვის ეს დიდი მოვლენაა, რადგან ბოლო 120 წლის განმავლობაში მეფის ტახტზე ქალი იჯდა. დედოფალი ბეატრისა, რომელსაც პლანეტის მდიდარი მონარქების რეიტინგში მე-7 ადგილი უკავია, თავის ვაჟს გადასცემს არამარტო ტიტულს და გვირგვინს, არამედ მთელ ქონებასაც. ყველაზე მდიდარი მონარქების ჩამონათვალი 2013 წლის 31 იანვრის მდგომარეობით შეადგინა გამომცემლობა Forbes-მა.**

## ელისაბედ II, დიდი ბრიტანეთის დედოფალი



**ასაკი – 86 წელი**
**გამეფების წელი – 1952**
**ქონება შეაფასებულია 60 მილიარდ ევროდ (94,42 მილიარდი დოლარი)**

ინგლისის დედოფლის ქონების დათვლისას არ ითვალისწინებენ იმ უნიკალური ობიექტების ღირებულებას, რომლებიც სახელმწიფო ქონებად ითვლება, მაგრამ, თუ ჩავთვლით სასახლეს, უინძორის ციხესიმაგრეს, სენტ-ჯეიმსის სასახლეს და სხვა უძრავ ქონებას, რომლებიც დედოფალის ოჯახის განკარგულებაშია, აგრეთვე, ხელოვნების ნიმუშების კოლექციას, მაშინ ელისაბედ II რეიტინგის პირველ ადგილზე დგას.

## ჰასანალ ბოლკიაჰ — ბრუნეის სულთანი



**ასაკი – 66 წელი**
**გამეფების წელი – 1967**
**ქონება შეფასებულია 24 მილიარდ ევროდ (37,77 მილიარდი დოლარი)**

ბრუნეის სულთნის ყველაზე უფრო ცნობილ ქონებას წარმოადგენს ავტომანქანების კოლექცია, რომელიც ითვლის 3-6 ათას მანქანას (რომ არაფერი ვთქვათ ქვეყანაში ამოღებულ ნავთობზე). პრაქტიკულად, ყველა მათგანი გამოვიდა შეზღუდული სერიით ან ერთადერთ ეგზემპლარად. მთელ მსოფლიოში ცნობილია, აგრეთვე, სულთნის სასახლე („სინათლის სასახლე“) ფართობით 200 ათასი კვ.მ, 1788 ოთახით და 257 აბაზანით.

## აბდალა იბნ აბდელ აზიზ ალ საუდ — საუდის არაბეთის მბრძანებელი



**ასაკი – 88 წელი**
**გამეფების წელი – 2005**
**ქონება შეაფასებულია 40 მილიარდ ევროდ (62,95 მილიარდი დოლარი)**

საუდის არაბეთის ქონების მთავარ წყაროს წარმოადგენს ნავთობი, რომლის რეალიზაციის შედეგად ქვეყანა დღეში 1 მილიარდ დოლარს იღებს, რომ არაფერი ვთქვათ ძალიან ბევრ საუკეთესო ჯიშის არაბულ ცხენზე. აბდალა იბნ აბდელ აზიზ ალ საუდი ცხენოსნობის დიდი მოყვარული და საცხენოსნო კლუბის ერ-რიადეს ფუძემდებელია. ამასთან, ის უამრავ ანტიკვარსა და ექსკლუზიურ ავტომობილს ფლობს.

## შეიხი ხალიფა იბნ ზაიდ ალ-ნაჰაინ — აბუ-დაბის ემირი



**ასაკი – 65 წელი**
**გამეფების წელი – 2004**
**ქონება შეფასებულია 30 მილიარდ ევროდ (47,21 მილიარდი დოლარი)**

აბუ-დაბის შეიხი არის არაბეთის გაერთიანებული ემირატების მოქმედი მმართველი და ნავთობის წყალობით უზარმაზარ ქონებას ფლობს. პრაქტიკულად არაბეთის გაერთიანებული ემირატების ნავთობის მარაგის 80% თავმოყრილია აბუ-დაბის ემირატში, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ის დიდ ფულს აბანდებს მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, რასაც მისთვის დიდი შემოსავალი მოაქვს.

## პხუმიპონ ადულიადეჯი — ტაილანდის მბრძანებელი



**ასაკი – 85 წელი**
**გამეფების წელი – 1946**
**ქონება შეფასებულია 28 მილიარდ ევროდ (44,06 მილიარდი დოლარი)**

რეიტინში მე-4 ადგილზე მყოფი მონარქი შეიძლება სიაში ყველაზე უფრო მფლანგველად ჩავთვალოთ. მისი ქონების დიდი ნაწილი იხარჯება 3 ათასზე მეტი პროექტის რეალიზაციაზე, კონკრეტულად — ტაილანდის სასოფლო-სამეურნეო მიწების განვითარებაზე. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ის არის ტაილანდის უძრავი ქონების სამეფო სააგენტოს ხელმძღვანელი, სააგენტოს კი ქვეყანაში კოლოსალური მიწის ნაკვეთები აქვს. ამასთან, ის არის მფლობელი ძვირფასი ქვებისა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს მისი ქონების რაოდენობაზე.

## შეიხი მოჰამედ იბნ რაშიდ ალ-მაქტუმი — დუბაის ემირი



**ასაკი – 63 წელი**
**გამეფების წელი – 2006**
**ქონება შეფასებულია 25 მილიარდ ევროდ (პრაქტიკულად 39,34 მილიარდი დოლარი)**

ამჟამად შეიხი მოჰამედი არის გაერთიანებული არაბეთის ემირატების პრემიერ-მინისტრი. ისიც თავის სიმდიდრეს ნავთობს უნდა უმადლოდეს, არის, აგრეთვე, ძვირფასი ჯიშის ცხენების მფლობელი. ამასთან, მისთვის დიდი შემოსავალი მოაქვს ინვესტიციებს, რომელსაც ის მთელ მსოფლიოში აბანდებს.

## ჰამად ბინ ხალიფა ალ ტანი — ყატარის ემირი

**ასაკი – 61 წელი**
**გამეფების წელი – 1995**
**ქონება შეფასებულია 7 მილიარდ ევროდ (11,02 მილიარდი დოლარი)**



საკუთარი მამის ტახტიდან გადმოგდების გზით ხელისუფლებაში მოსული შეიხი ჰადამი ცნობილია, როგორც პროგრესული მმართველი: მისი მმართველობის დროს ყატარი გახდა პირველი სახელმწიფო რეგიონში, რომელმაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა. ყატარის ემირმა შექმნა სამაგალითო პირობები, რომლებიც იზიდავს უცხოელ ინვესტორებს მსოფლიოს ყველაზე უფრო მოწინავე კომპანიებიდან.

## საბაჰ ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ას-საბახ — ქუვეითის ემირი



**ასაკი – 83 წელი**
**გამეფების წელი – 2006**
**ქონება შეფასებულია 9 მილიარდ ევროდ (14,17 მილიარდი დოლარი)**

ქუვეითის მონარქის შემოსავლების ყოველწლიური წილი გროვდება ნავთობის რეალიზაციიდან, რაც უდრის 188 მილიონ ამერკულ დოლარს და წარმოადგენს მის ძირითად ქონებას. შეიხი საბაჰი აცნობიერებს, რომ ნავთობის მარაგი ოდესმე გამოილევა, ამიტომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანა მზად იყოს პოსტ ნავთობური პერიოდისთვის: ატარებს ეკონომიკურ რეფორმებს, ქმნის პირობებს უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად.



## ადამიანი-ტორშერი

**კომპანია Al-Hamad Design-მა ადამიანის ფორმის ტორშერები შექმნა. ეს არის მანეკენთა სერია, რომლებსაც თავის ნაცვლად სანათები აქვთ დამონტაჟებული. მათ Embarakiya ჰქვიათ.** ეს ორიგინალური, ადამიანის მსგავსი ტორშერი ტრადიციული აღმოსავლური სტილის სამოსშია გამოწყობილი. მას სინათლის სამი დონე აქვს და სურვილისამებრ დარეგულირება შესაძლებელია. მანეკენ-ტორშერს ხელი აქვს გამოწვდილი, რაც აღმოსავლურ სტუმართმოყვარეობას უსვამს ხაზს. გარდა ამისა, მასში დამონტაჟებულია სპიკერები, რომლებიც მოქმედებაში უცხო სხეულთა შეხების შემდეგ მოდიან.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბეატრისა — ნიდერლანდების დედოფალი



**ასაკი – 57 წელი**
**გამეფების წელი – 1980**
**ქონება შეფასებულია 10 მილიარდ ევროდ (15,74 მილიარდი დოლარი)**

საერთოდ დედოფალ ბეატრისის ქონება შეფასებულია 300 მილიონ ამერიკულ დოლარად, თუ არ გავითვალისწინებთ კომპანია Royal Dutch Shell-ის აქციების სამეფო წილს (დაახლოებით 25%), საიუველირო ნაკეთობებისა და ხელოვნების ნიმუშების ღირებულებას. თუ გავითვალისწინებთ ყველა ამ სიმდიდრეს, მაშინ ნიდერლანდების დედოფლის საერთო ქონება ათჯერ უფრო მეტი გამოდის, რაც მას აძლევს საშუალებას, იყოს ჩვენი დროის ყველაზე უფრო მდიდარი მონარქების ათეულში.

## ქაბუს ბენ საიდ ალბუსაიდ — ომანის სულთანი



**ასაკი – 72 წელი**
**გამეფების წელი – 1970**
**ქონება შეაფასებულია 6 მილიარდ ევროდ (9,44 მილიარდი დოლარი)**

იმამათის ომანისა და სულთანათ მასკატის გაერთიანებით, ქაბუს ბენ საიდ ალბუსაიდმა დააარსა საერთო ხელისუფლება. სულთანი ომანა, როგორც ამ რეგიონის სხვა მონარქები, არის „სანავთობე" ქონების მფლობელი. ამას გარდა, ის არის 1972 წელს აშენებული მეფის სასახლის კასრ ალ-ალამის მფლობელი, აგრეთვე, რამდენიმე იახტის მფლობელიც (რომელთაგან ერთ-ერთი არის 155 მეტრიანი — „ალსაიდ").

## ჰანს-ადამ II — ლიხტანშტეინის პრინციჰანს-ადამ II — ლიხტანშტეინის პრინცი



**ასაკი – 67 წელი**
**გამეფების წელი – 1989**
**ქონება შეფასებულია 4 მილიარდ ევროდ (6,29 მილიარდი დოლარი)**

პატარა ალპური სახელმწიფოს— ჰერცოგის მთავარ ქონებს წარმოადგენს საშინაო ბანკი LGT. ამასთან, ლიხტენშტეინის ახლანდელი მონარქი ფლობს XVII საუკუნის რამდენიმე სასახლეს ვენაში, ხელოვნების ნიმუშების განუმეორებელ კოლექციას, რომლებიც შეგროვებულია ჰერცოგის წინაპრების მიერ 4 ასეული წლის განმავლობაში, აგრეთვე, 20 ათას ჰექტარ მიწას.

## ჰამად იბნ ისა ალ-ხალიფა — ბაჰრეინის მბრძანებელი



**ასაკი – 63 წელი**
**გამეფების წელი – 2002**
**ქონება შეფასებულია 3,5 მილიარდ ევროდ (5,50 მილიარდი დოლარი)**

ბაჰრეინის მბრძანებელი არის არაბული ცხენების დიდი მოყვარული. 1977 წელს მან შექმნა ამირის თავლა, რომელიც ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა არაბული ცხენების გლობალური ორგანიზაციის სიაში. მას დიდი შემოსავალი აქვს ნავთობიდან, აგრეთვე, საერთაშორისო ინვესტიციებიდან, რომლითაც დაკავებულია სამეფო ფონდი.

## ანრი — ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი



**ასაკი – 57 წელი**
**გამეფების წელი – 2000**
**ქონება შეფასებულია 3 მილიარდ ევროდ (4,72 მილიარდი დოლარი)**

ევროპელ მონარქებს არ შეუძლიათ დაიტრაბახონ თავიანთი შემოსავლებით აღმოსავლეთის კოლეგებთან შედარებით, რომლებიც თავიანთ ქონებას ზრდიან ნავთობის წყალობით. ამიტომაც ჰერცოგ ანრის ქონება ეს არის: საბანკო ანგარიშები, უძრავი ქონება, ოქროს ნივთები, აგრეთვე, სხვადასხვა კომპანიის აქციები. აღსანიშნავია, რომ ჰერცოგის შემოსავლების ნაწილი გარემოს დაცვაზე იხარჯება.

## აღა ხან IV — ისმაილიტებისა და ნიზარიტების იმამი

**ასაკი – 76 წელი**
**გამეფების წელი – 1957**
**ქონება შეფასებულია 2 მილიარდ ევროდ (3,15 მილიარდი დოლარი)**



აღა ხან IV არის ისმაილიტებისა და ნიზარიტების უდიდესი სექტის სულიერი ხელმძღვანელი, რომლებიც ცხოვრობენ ტაჯიკეთში, ინდოეთში, სირიასა და ზანზიბარში. ვინაიდან ნიზარიტებს არ გააჩნიათ საკუთარი ქვეყანა, მათი ხელმძღვანელი გაიგივებულია მონარქთან. 1957 წელს დედოფალმა ელისაბედ მეორემ მას უბოძა ტიტული „მისი აღმატებულება". ის არის 900 სუფთა სისხლის არაბული ცხენის მფლობელი, აგრეთვე, ინგლისში ერთ-ერთი საცხენოსნო აუქციონის სახლის ნაწილის მფლობელი, რომელსაც მისთვის დიდი მოგება მოაქვს – 300 მილიონი ამერიკული დოლარი წელიწადში. აგრეთვე, ის იღებს შემოსავალს რამდენიმე ავიაკომპანიისა და ძვირფასი სასტუმროების მმართველობიდან, ტურისტული ბიზნესის ინვესტიციებიდან და არის უდიდესი სამრეწველო კომპანიების აქციების მფლობელი.

## 5 გადანერგილი ორგანოს მფლობელი დედა გახდა



**ამერიკის შტატ ფლორიდაში ნამდვილი სასწაული მოხდა. ქალი, რომელსაც მუცლის ღრუს თითქმის ყველა ორგანო გადანერგილი ჰქონდა, დედა გახდა.**

ფატიმა ალ-ანსარმა მაიამის ერთ-ერთ საავადმყოფოში აბსოლუტურად ჯანმრთელი გოგონა გააჩინა. ეს მსოფლიოში პირველი შემთხვევაა, როდესაც ქალმა, რომელსაც 5 ორგანო აქვს გადანერგილი, ბავშვის გაჩენა შეძლო. ექიმების თქმით, ფატიმას კიდევ შეუძლია ერთი შვილის გაჩენა.

ორგანოების ტრანსპლანტაციის ოპერაციები ფატიმას 2007 წელს ნაწლავური არტერიის თრომბის გამო გაუკეთეს. ეს დიაგნოზი ექიმებმა მას 19 წლის ასაკში დაუსვეს. ქალს გადაუნერგეს ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი, კუჭი, მცირე და მსხვილი ნაწლავი.

**მიუხედავად ამისა, როცა გაიგო, რომ ფეხმძიმედაა, გადაწყვიტა, ბავშვი გაეჩინა. ორსულობის დროს ქალს რამდენიმე გართულება ჰქონდა, თუმცა ახლა ფატიმაც და მისი ქალიშვილიც თავს შესანიშნავად გრძნობენ.**

## ცოცხალი ყულაბა



**ნიუ იორკში ვეტერინარებმა ტერიერს, მეტსახელად ჯეკის, მუცლის ღრუდან ასზე მეტი მონეტა ამოუღეს. ძაღლი უოლ-სტრიტზე მცხოვრებ ეკონომისტ ტიმ კელეჰერს ეკუთვნის.**

ძაღლმა პატრონის პატარა ჩანთა მოიპარა და საკვების ძიებაში კბილებით გაღრღნა. შედეგად საკვების ნაცვლად ცხოველმა მონეტებს მიაგნო. მომდევნო დღეს ძაღლს ფაღარათი დაეწყო. მედიკოსებმა ტერიერს რენდგენი გადაუღეს და მის მუცელში 1,11 დოლარის ოდენობის ხურდა ფული აღმოაჩინეს. ექიმებს ოპერაციის ჩატარება სასწრაფოდ მოუხდათ, ვინაიდან მონეტების შემადგენლობაში არსებული თუთია ცხოველის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა. ოპერაცია ორ საათს გაგრძელდა. ექიმ ემი ზოლკმენის თქმით, პატრონს ერთი დღეც რომ დაეგვიანა, ჯეკის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ტიმ კელეჰერმა საყვარელი ცხოველი შინ წაიყვანა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სენდვიჩის მოსამზადებელი ხელსაწყო

**ბუტერბროდი ყველითა და ლორით ყავასთან ერთად — საუზმე, რომლითაც დღეს უამრავი ადამიანი იწყებს დღეს. თუმცა სენდვიჩში შემავალ ყველა პროდუქტს ცალ-ცალკე მომზადება სჭირდება. ადამიანებს, რომლებსაც საუზმისთვის დრო არ ჰყოფნით, უნივერსალური სენდვიჩების მოსამზადებელი ხელსაწყო დაეხმარება.** Hamilton Beachs Breakfast Sandwich Maker — ასე ჰქვია რამდენიმე განყოფილებიან ხელსაწყოს, რომელშიც ერთდროულად იწვება კარტოფილი „ფრი“, კვერცხი, ლორი, ცხვება ბლინი და ცხელდება პური. ხელსაწყოს თითოეული განყოფილება კონკრეტულ ტემპერატურაზე მუშაობს, რათა საბოლოო ჯამში ყველა პროდუქტი ერთდროულად მომზადდეს. ერთადერთი, რაც ამ უნივერსალური მანქანის მფლობელს ევალება, ყავის მოდუღებაა და საუზმეც მზად არის. Hamilton Beachs Breakfast Sandwich Maker უკვე გაყიდვაშია. ონლაინ-მაღაზიებში მისი ფასი მხოლოდ 30 დოლარია.



# ყველაზე უცნაური სასჯელები

**მთელ მსოფლიოში და მათ შორის დასავლეთშიც ადამიანები აწყდებიან ძალიან მკაცრ, ზოგიერთ შემთხვევაში, უცნაურ სასჯელებსაც. მათგან ზოგიერთი კი განსაკუთრებით „გონივრული“ გამოგონებაა.**



**კანადაში** აკრძალულია არჩევნების შედეგების გამოქვეყნება ფეისბუქზე ან ტვიტერზე, სანამ არ შეწყდება ეგზიტ-პოლები. ეს არის 1938 წელს შემოღებული იმ კანონის გამოძახილი, რომელიც განკუთვნილი იყო უბანზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის, მაგრამ ახლა ის ეხება იმ ადამიანებსაც, რომლებიც მოიხმარენ სოციალურ ქსელებს. 2011 წლის აპრილში კანადის ოფიციალურმა პირებმა გააფრთხილეს სოციალური ქსელების მომხმარებლები, რომ ისინი ვალდებული არიან, დაიცვან ეს და სხვა კანონები 2011 წლის 2 მაისის არჩევნების დროს. მათი უგულებელყოფა ისჯება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთით ან 25000-დოლარიანი ჯარიმით.



**ბუტანში** თამბაქოს მოყვანა, იმპორტი ან მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში უკანონობად ითვლება. 2011 წლის იანვარში ამ თავისი კონსერვატორობით ცნობილმა ერმა მიიღო კანონი იმ ადამიანთა დასჯაზე, რომლებიც ეწევიან თამბაქოს კონტრაბანდას — მათ სამ წლამდე ციხე ელოდებათ.



2011 წლის იანვარში **ჩინეთის** მთავრობამ მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა და დააჯარიმა 302 000 დოლარით ფერმერი, რომელსაც ჰქონდა ყალბი სამხედრო ნიშანი მანქანაზე, რათა ესარგებლა ჩქაროსნული ტრასით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამან საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან საჯელი მკვლელობისა და გაუპატიურებისთვის გაცილებით მსუბუქია, ჩინოვნიკები იძულებული გახდნენ, რომ დაეწყოთ ახალი სასამართლო საქმე.



2011 წლის თებერვალში **მალავის პრეზიდენტმა ბინგუ ვა მუტარიკამ**, მიიღო კანონი საზოგადოებრივ ადგილებში გაზების გაშვებაზე სასჯელის შესახებ, იმ მოტივაციით, რომ ასეთი კანონი ხელს შეუწყობს „მოქალაქეთა თვითკონტროლს და დისციპლინას“. კანონი კრძალავს, აგრეთვე, დუელს, ისჯებიან ისინი, ვისაც თავი მოაქვთ მკითხავად და ისინიც, ვინც სასაფლაოზე სიმშვიდეს არღვევენ.



B “R“ ‘“M B “R“ ‘“M ‘ტარიკ B **“R“ ‘“M ‘ტარიკ** ნილი იყო უბანზე მომუ-
p‘ Ყ‘მთავრობამ მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა და და-
აჯარიმა 302 000 დოლარით ფერმპ‘ q‘, მიიღო კანონი
საზოგადოებრივ ადგილებში გაზების გაშვებაზე სასჯელის შე-
სახებ, იმ მოტივაციით, რომ ასეთი კანონი ხელს შეუწყობს „მო-
ქ ა ლ ა ქ ე თ ა
თვ [illegible]
[illegible]
ბაა.‘



**ტაილანდის** მეფის ან მის სურათზე მისი დაცინვისთვის ამის ჩამდენი თხუთმეტი წლით მოხვდება ციხეში მონარქის შეურაცხყოფისთვის.



**ავღანეთში,** თალიბანის ხელისუფლების დროს, მკერავი მამაკაცი, რომელიც ზომას აუღებდა კლიენტ ქალს, ციხეში მოხვდებოდა. ხოლო ყველა ქალს, რომლებიც ფრჩხილებზე ლაქს წაისვამდნენ, თითების მოჭრა ელოდა.



**სინგაპური** ცნობილია ყველაფერზე მაღალი ჯარიმებით, დაწყებული სალეჭი რეზინის მოხმარებით, დამთავრებული ტუალეტის ჩაურეცხავობით. ვინც ტრანსპორტში შეიტანთ არასასიამოვნო სუნის ხილს, დაეკისრება ჯარიმის გადახდა 3500 დოლარის ოდენობით. მათ კი, ვინც ვიზის ვადას გადააცილებს, წყალში დასველებული ხის როზგებით სცემენ.



არცთუ ისე დიდი ხნის წინ, **შანდუნის** პროვინციაში, ვინც ძალიან ხშირად სარგებლობდა ინტერნეტით, გზავნიდნენ კლინიკაში, სადაც უმკურნალებდნენ ელექტროშოკით. ჯანდაცვის სამინისტრომ ეს კანონი 2009 წლის ივლისში გააუქმა.



**მალაიზიაში** გოგონასთან ერთად ხელიხელ ჩაჭიდებული სიარულის ან მისი კოცნის გამო მამაკაცებს ერთწლიანი პატიმრობა ელით.



# ოპრა წლის ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავია

**ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი 2013 წლის ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავი ქალია. 2013 წლის ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავების რეიტინგი ჟურნალმა Forbes-მა გამოაქვეყნა. ტელეწამყვანმა ჟურნალის რეიტინგში 48% დააგროვა. რეიტინგში საუკეთესო ადგილები ჰოლივუდის წარმატებულმა რეჟისორებმა გადაინაწილეს. ქალი კი ათეულში მხოლოდ სამია.** რეიტინგის მეორე ადგილზე სტივენ სპილბერგი გავიდა (47%). მას მისი კოლეგა მარტინ სკორსეზე მოსდევს (42%). მეოთხე ადგილი ამერიკელ კინორეჟისორს, პროდიუსერსა და მსახიობს, რონ ჰოვარდს, ერგო (41%). პირველ ხუთეულს რეჟისორი ჯორჯ ლუკასი ასრულებს (41%). მეექვსე ადგილზე ექიმი და ტელევარსკვლავი მაჰმეტ ოზია (40%). მეშვიდე ადგილს ჟურნალისტი ბარბარა უოლტერი იკავებს (37%). რეიტინგში ერთადერთი მუსიკოსი ბონოა (37%). მეცხრე ადგილი ფინანსურ კონსულტანტსა და ტელეწამყვან სიუზ ორმანს ერგო. ათეულს რეჟისორი და მსახიობი კლინტ ისტვუდი (36%) ასრულებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




ვინც **საუდის არაბეთში** გააუპატიურეს, თანაგრძნობასა და სიბრალულს არ უნდა ელოდოს. სასამართლომ, შესაძლოა, სწორედ მსხვერპლი გაამწესოს ციხეში. 2007 წელს ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლს სასამართლომ 200 წკეპლა და 6 თვით ციხეში ყოფნა მიუსაჯა, კანონის დარღვევის გამო, რომელიც კრძალავს მამაკაცების საზოგადოებაში ყოფნას, თუ ისინი არ არიან ახლო ნათესავები, მოძალადეებს კი მხოლოდ 10 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.



გიყვართ მანქანის სწრაფი ტარება? **კანზასში** ამისათვის შეიძლება გისოსებს მიღმა 30 დღით აღმოჩნდეთ.

თუ **დიდ ბრიტანეთში** ვინმემ კონვერტზე მიაკრა საფოსტო მარკა დედოფალ ელისაბედის გამოსახულებით, ოღონდ გადმობრუნებულ ფორმაში, მას სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულებენ და ციხე არ ასცდება.





ნუ დააყენებთ მანქანას **სამხრეთ კაროლინაში** ინვალიდებისთვის განკუთვნილ ადგილზე. 2006 წელს 29 წლის ახალგაზრდას მიუსაჯეს, მკერდზე ეტარებინა აბრა წარწერით: „მე არ ვარ ინვალიდი, უბრალოდ, იქ გავაჩერე მანქანა, მაპატიეთ!"



**ჩინეთში** კორპორატიული პასუხისმგებლობა ნიშნავს კომპანიის მთლიან პასუხისმგებლობას თანამშრომელთა საქციელზე. თაღლითობის, ქრთამის ან სხვა დანაშაულისთვის შეიძლება კომპანიის ხელმძღვანელს მიუსაჯონ სიკვდილით დასჯა. ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი დაისაჯა აფიორისთვის, რაც მდგომარეობდა გულუბრყვილოების დაბრიყვებით გიგანტური ჭიანჭველების მოშენების ყალბი პროგრამით.



**ტაილანდში** საღეჭი რეზინის ღეჭვის გამო 600 დოლარით ჯარიმდებიან.



კარგად დაფიქრდით, სანამ **იაპონიაში** ჩახვალთ გაცივების საწინააღმდეგო წამლებით, რომლებიც სრულიად უსაფრთხოდ ითვლება აშშ-ში. იაპონიაში ისინი ითვლება რეცეპტორულ პრეპარატებად, თქვენ იქნებით დეპორტირებული ან გარკვეულ დროს გაატარებთ ციხეში.



**იემენში** ღორის ხორცის ქვეყანაში შეტანა სიკვდილით ისჯება.



**დანიაში** პატიმრობა ელის საზოგადოებრივ ადგილებში ნიღბით გამოსულ პირს. კანონი იქნა მიღებული იმისათვის, რათა ხელისუფლებას ჰქონდეს შესაძლებლობა, დაათვალიეროს, თუ ვინ გამოდის საპროტესტო აქციაზე.





# «ცერნის» მეცნიერებმა ყველაზე მაღალი ტემპერატურა მიიღეს

**დიდ ადრონულ კოლაიდერზე მომუშავე ფიზიკოსებმა რეკორდი მოხსნეს და მზის შუაგულზე 350 000-ჯერ უფრო მაღალი ტემპერატურა მიიღეს. მეცნიერებმა ტყვიის იონები ერთმანეთს შეაჯახეს და შექმნეს დამანახშირებელი ტემპერატურის მქონე სუბატომური სუპი, ცნობილი, როგორც კვარკ-გლუონური პლაზმა. პლაზმა 5.5 ტრილიონ გრადუსამდე გახურდა, რაც ექსპერიმენტებში მიღებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.**

„ცერნის" ფიზიკოსთა მიღწევა დაახლოებით 40%-ით მეტია ძველ რეკორდზე, რომელიც ბრუკჰეივენის ეროვნულ ლაბორატორიაში რელავისტური მძიმე იონების კოლაიდერში განხორციელდა ოქროს იონების შეჯახებით. თუმცა „ცერნის" მეცნიერთა განზრახვა მხოლოდ რეკორდის დამყარება არ ყოფილა.

**მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ასეთი უკიდურესად მაღალი ტემპერატურის შექმნით მეტ ინფორმაციას მიიღებენ იმაზე, თუ რა სახე ჰქონდა სამყაროს დიდი აფეთქებიდან მალევე და როგორი სიტუაცია სუფევდა. ისინი თვლიან, რომ, დღევანდელი სიტუაციისგან განსხვავებით, ჩვენი სამყაროს ისტორიაში არსებობდა პერიოდი, როცა კვარკები და გლუონები — მატერიის საშენი ძირითადი ბლოკები — არ იყვნენ გამომწყვდეული რთულ ნაწილაკებში, როგორიცაა პროტონი და ნეიტრონი. ამის ნაცვლად ისინი თავისუფლად გადაადგილდებოდნენ მატერიის ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც კვარკ-გლუონური პლაზმა ეწოდება.**

ნაწილაკების მსოფლიოში ყველაზე მძლავრ ამაჩქარებელში – დიდ ადრონულ კოლაიდერში – ტყვიის იონების შეჯახებით დროის მოკლე პერიოდში შეიქმნა ადრეულ სამყაროში არსებული პირობების მსგავსი სიტუაცია. ექსპერიმენტებში მილიარდამდე მსგავსი შეჯახების ანალიზით შესაძლებელი გახდა, უფრო დაზუსტებულიყო მატერიის თვისებები, როცა ის ასეთ ექსტრემალურ მდგომარეობაშია.

მეცნიერებმა განახორციელეს ALICE-ის (A Large Ion Collider Experiment) ტიპის ექსპერიმენტი. ALICE-ის ჯგუფმა ახალ მიღწევაზე პრეზენტაცია გააკეთა კვარკის მატერიის კონფერენციაზე ქალაქ ვაშინგტონში. მათი თქმით, მიღებული ტემპერატურა 38%-ით აღემატება წინა მაჩვენებელს.

ALICE-ის წარმომადგენელმა პაოლო გიბელინომ დაადასტურა, რომ გაზომვა სრულყოფილად ზუსტი არ ყოფილა და ენერგიის გრადუსებში გადაყვანა არ განუხორციელებიათ. თუმცა იქვე აღნიშნა, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც შეიძლება ეჭვი შევიტანოთ წინასწარ შედეგებში და ვთქვათ, რომ გამოთვლებით მიღებული მაჩვენებელი არ იქნება 5,5 ტრილიონ გრადუს ცელსიუსის სიახლოვეს. სამეცნიერო ჟურნალ „Nature"-სთვის მიცემულ ინტერვიუში გიბელინო აღნიშნავს, რომ ზუსტი შედეგის დადგენისთვის რამდენიმე კვირაა საჭირო.

ამის პარალელურად ბრუკჰეივენის რელავისტური მძიმე იონების კოლაიდერზე მომუშავე მეცნიერები აცხადებენ, რომ კვარკ-გლუონური პლაზმის შესახებ სულ უფრო მეტ ინფორმაციას იგებენ. მათი თქმით, ოქროს იონების შეჯახებით თანდათან უახლოვდებიან იმის გარკვევას, თუ როგორ გარდაიქმნება კვარკ-გლუონური პლაზმა ადრონებისგან შემდგარ ნორმალურ აირად. როგორც წყალი არსებობს სხვადასხვა მდგომარეობაში, რაც ტემპერატურასა და წნევაზეა დამოკიდებული, ასევე უნდა არსებობდეს ის ზღვარი, რომელიც კვარკ-გლუონურ პლაზმას ჩვეულებრივი მატერიისგან განასხვავებს. სწორედ ესაა ბრუკჰეივენის მეცნიერთა კვლევის საგანი.



## ბიძინა ივანიშვილი:
# აფხაზეთის გავლით რკინიგზა აუცილებლად გაიხსნება

**აფხაზეთის გავლით რკინიგზა აუცილებლად გაიხსნება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, 23 აპრილს განაცხადა. თუმცა, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, დაჩქარებულად ამ პრობლემის გადაწყვეტა არ იქნება იოლი.**

**„პერსპექტივაში ეს რკინიგზა აუცილებლად გაიხსნება. დღეს და დაჩქარებულად ამ პრობლემის გადაწყვეტა არ იქნება იოლი, რადგან ბევრი კითხვები და ინტერესები არსებობს. ეს უკავშირდება კონფლიქტებს, ეს უკავშირდება ჩვენს დამოკიდებულებას და ურთიერთობებს რუსეთთან, ჩვენს ძმებ აფხაზებთანაც. ეს უნდა მოხდეს აუცილებლად და ეს მოხდება ყველა დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვით, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის უფლებების დაცვით. ეს არ არის მარტივი პროცესი, ამას სჭირდება განვითარება, სჭირდება დალაგება, რადგან ეს ძალიან გადაჯაჭვულია პოლიტიკასთან“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

# «კოაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ»

**კოაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა 23 აპრილს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ განაცხადა, როდესაც ევროსაბჭოს დეპუტატის კითხვას უპასუხა.**

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, კოაბიტაცია ქართველებისთვის ახალი სიტყვაა, „მაგრამ შევეგუეთ“ და ძალიან ჩვეულებრივი პროცესი გახდა.

**„ჩვენ ვახერხებთ თანაარსებობას ყოფილ ხელისუფლებასთან. ორივე მხარემ, პოზიციამაც და ოპოზიციამაც კინკლაობისა და ჩხუბის მაგივრად უნდა მოვახერხოთ ერთად დგომა, რადგან ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და არ გვაქვს ერთმანეთში საქმის გარჩევის დრო და მაქსიმალურად საერთო ძალისხმევით უნდა მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის სწორი გზით წაყვანა“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის განცხადებით, კოაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა სხვადასხვა რამაა და არ უნდა მოხდეს პოლიტიკისა და სამართლიანობის ერთმანეთში არევა.

**„ძალიან ხშირად ამ ტერმინებს ერთმანეთში ურევენ, რაც იწვევს გაუგებრობას“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

სიმაღლეში მომატება!



გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დაირეკეთ ახლავე!

574 47 39 04

0790 30 94 35

## განცხადება

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591

# ფლორისტმა ერთსქესიანი წყვილის ქორწილში ყვავილების მიტანაზე უარი განაცხადა

**ახლახან ვაშინგტონის შტატში მცხოვრებმა ფლორისტმა ერთსქესიანი წყვილის ქორწილში ყვავილების მიტანაზე, თავისი რელიგიური შეხედულებების გამო, უარი განაცხადა.**



ყვავილების მაღაზიის მეპატრონემ ახალგაზრდა ადამიანებს თავაზიანად აუხსნა, რომ ქორწინება ქალისა და კაცის კავშირია. მას უყვარს და თანაუგრძნობს მათ, როგორც ადამიანებს, მაგრამ არ შეუძლია ცოდვის ჩადენა.

მას შემდეგ, რაც მაღაზიის მეპატრონემ ორი ჰომოსექსუალის ქორწინების გაფორმებაზე უარი განაცხადა, ერთ-ერთმა მომავალმა მეუღლემ მომხდარი სიტუაცია სოციალურ ქსელში თავის გვერდზე გამოაქვეყნა. სექსუალური უმცირესობების უფლებების შელახვის ფაქტი მთელ სოციალურ ქსელში გავრცელდა, რის შემდეგაც ყვავილების მაღაზიის მეპატრონეს უამრავი „სიძულვილის წერილი“ მიუვიდა. მას ასევე დაემუქრნენ, რომ მის შვილებს ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ. ერთსქესიანთა მხარდამჭერებმა მიუწოდეს ყველას, გვერდი აუარონ ფანატიკოსი რელიგიური ქალის მაღაზიას.

ემოციური და ფსიქოლოგიური ზეწოლის გარდა, მაღაზიის მეპატრონეს კანონის დარღვევაში დასდეს ბრალი. ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის კანონი ვაშინგტონის შტატში შარშან ნოემბერში მიიღეს, ამიტომ სექსუალური უმცირესობების მსგავსი დისკრიმინაცია ვაშინგტონში აკრძალულია. მაღაზიის მეპატრონის ადვოკატი ბრალდებას სასაცილოს უწოდებს, რადგან მის კლიენტს არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანები სამსახურში აყავს, თანაგრძნობით ექცევა ყველა თავის თანამშრომელს, მაგრამ მას სრული უფლება აქვს, არ წავიდეს თავისი სინდისის წინააღმდეგ და არ შეუწყოს ხელი აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების განვითარებას.

**„ჩვენ აგვყავს ჰომოსექსუალები სამსახურში. მე მყავს გეი მეგობრები და ეს არასდროს ყოფილა ჩემთვის პრობლემა. მე, უბრალოდ, არ მსურს, ხელი შევუწყო გეი-ქორწინებას. იყო ტოლერანტული და გაგებით მოეკიდო ჰომოსექსუალიზმის განვითარებას, იმას ნიშნავს, რომ მოთმინება გამოიჩინო ბოროტების, უკანონობისა და ცოდვის მიმართ“,** — აცხადებს ქალბატონი.

მსგავსი სიტუაცია უკვე არ არის პირველი. ამ წლის თებერვალში საქმე აღიძრა მცხობელის წინააღმდეგ, რომელმაც ლესბოსელი წყვილისთვის საქორწინო ტორტის გამოცხობაზე უარი განაცხადა. დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მკაცრად დგას კითხვები არა მარტო ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებაზე, არამედ გეების რეაბილიტაციის ცენტრების წინააღმდეგ საქმის აღძვრის თაობაზე, ჰომოსექსუალების მიერ შვილის აყვანის კანონის საკითხზე.

# ვილი ბრანდტის სასიყვარულო დოსიე

**1974 წლის 1 მაისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ვილი ბრანდტს მისი სასიყვარულო თავგადასავლების ოფიციალური დოსიე წარუდგინეს. კანცლერი შოკირებული იყო არა იმით, თუ რა იყო იქ აღწერილი, არამედ იმით, რომ ეს ყველაფერი ოფიციალური საბუთის სახით იყო წარდგენილი.**



**„ერთ-ერთი მოგზაურობისას სპეცმატარებელში შვედი ეროვნების ქალი იყო დაშვებული, სხვა დროს — ფრანგი. ჰამბურგში, ლუქსის ნომერში ყველაზე ხშირად ჟურნალისტი ქალი მოდიოდა, ბერლინში — იუგოსლაველი ქალი, პარიზში — ცნობილი პუბლიცისტი ქალი. მეძავებიც მოდიოდნენ ხოლმე“,** — აღნიშნული იყო პირად დოსიეში.

ამ სიის შედგენისას გამოიკვეთა, რომ ვიზიტები ხშირად გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის თვალწინ ხდებოდა. ბრანდტის რეფერენტი, კაპიტანი გიუნტერ გიომი, რომელიც ქალბატონებს კანცლერის პირად აპარტამენტებში უშვებდა, დოსიეს წარდგენამდე რამდენიომე დღით ადრე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებას ეჭვი ჰქონდა, რომ გიომი სასიყვარულო ღამეების დროს ჩაწერილ საუბრებს აღმოსავლეთ ბერლინში აგზავნიდა.

**„კანცლერის გამართლება იმით, რომ არაფერი იცოდა, სავსებით შეუძლებელი იყო, რადგან ორი თვით ადრე მას შეატყობინეს გიომის საქმიანობის შესახებ. მაგრამ, ამის მიუხედავად, ბრანდტმა „ქალბატონების დისტრიბუტორი“ თანამდებობაზე კიდევ რამდენიმე კვირით დატოვა. კონტრდაზვერვის მეთაურმა ნოლაუმ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს სთხოვა, დაერწმუნებინა ბრანდტი, რომ ქვეყანა ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, იყოლიოს კანცლერი, რომლის შანტაჟირება შესაძლებელია. ცოტა ხანში ბრანდტმა დატოვა თანამდებობა და ადგილი გელმუტ შმიდტს დაუთმო“,** — წერს Die Welt.

# საერთაშორისო სემინარი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

**18 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საერთაშორისო სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბონის უნივერსიტეტის მეცნიერული განვითარების ცენტრი და საქართველოს აგრარულ სექტორში მომუშავე მეცნიერები და პრაქტიკოსები.**

სემინარის თემა — **სასოფლო-სამეურნეო განვითარების პრობლემები აგრარულ სექტორში აქტუალური და პრობლემურია საქართველოსთვის.**

სემინარი გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ. ინფორმაციული ხასიათის მოხსენებები გააკეთეს ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა ქრისტოფერ ვან აშემ, დოქტორმა ანასტასია შტალტოვნამ, გერმანიის გარემოს დაცვის ექსპერტმა ურლის კინდერმანმა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, პროფესორმა დიმიტრი ბედოშვილმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა თამაზ კუნჭულიამ და სხვებმა. საინტერესო იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანას“ დორექტორ მარიამ ჯორჯაძისა და შპს „ლომთაგორას“ დირექტორის — კახა ლაშხის გამოსვლები.

დაისახა საერთო თანამშრომლობის გეგმა.

**სალომე კიკნაველიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრესსამსახურის მენეჯერი**

საქართველო & მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894